6191
1990/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ჰყიოდეს.
ვაჟა

ISSN 0130—1624

დროშა

მაისი
№ 5 1990

ეროვნულ
მიზეზებისა
გაუქარწყლოს
ეროვნულ
რეჟიმონასს!

619
1990/5

მამული, საუკუნელო!

დროშა

№ 5 მაისი. (401). 1990

ჟურნალი გამოდის 1926 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



19316

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ოთარ ქინქლაძე. დამოუკიდებელი საქართველო.
კაატა სურგულაძე. 1918 წლის 26 მაისი.
ედუარდ ვოლოდინი. ახალი რუსეთი ცვალებად მსოფლიოში.
ნოდარ შამანაძე. წარწერა ეკლესიაზე.
შალვა ამირანაშვილი. ალგეთი.
დავით დემეტრაშვილი. უცხოპლანეტელები და კაცობრიობა.
არნოლდ გეგეჭკორი. მდინარეთა დედოფლები.
დიმიტრი შველიძე. კონსოლიდაცია.
კარლო კობერიძე. კარუსელი (მოთხრობა).
იამზე გასილია. სიყვარული გზად და ხიდად.
ნუგზარ აფხაზავა. პარალელები.
ნათელა გიორგობიანი. ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები.
„ფეხბურთის მეფე“ თანაშემწის როლში (მოამზადა გივი გამრეკელმა).
ვასილ მჭედლიშვილი. უგერებელი სიჭაბუკე.
იუმორი.
სპორტი.
კროსვორდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამოცემლობა

● „დროშა“, 1990 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ოთარ ჭინჭლაძე

დამოუკიდებელი საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო იყო დამოუკიდებელი.

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა.

გვქონდა ჩვენ ეს დღე.

გვქონდა და წაგვართვეს.

1921 წლის თებერვლის სუსხიან ზამთარში წაგვართვეს. ძალით. მოტყუებით. ღალატით. შეიარაღებული ბრძოლის, ოკუპაციის გზით და შედეგად.

საბჭოთა რუსეთმა სიტყვა გატეხა და თავისუფლება წაგვართვა.

ახლა ჩვენ წართმეულის დაბრუნება გვწადია. ამისათვის ვიღვწით.

ვიღვწით ყველა ერთად და ცალ-ცალკეც.

ერთად იმიტომ რომ, ერთი, ესე იგი საერთო მიზანი გვაერთიანებს, ხოლო ცალ-ცალკე იმიტომაც, რომ ერთი და საერთო მიზნისაკენ სავალი გზა შესაძლოა რამდენიმე იყოს.

ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა თუნდაც იმიტომ, რომ თავად ბუნებაც ასეა მოწყობილი: ერთსა და იმავე ადგილზე კაცი სულ სხვადასხვა გზით შეიძლება მიხვიდე.

ამასსავე გვიდასტურებს საზოგადოებრივი ცხოვრებაც იმ განსხვავებით, რომ წყურვილის მოსაკლავად წყაროსთან მართლაც შეიძლება სულ სხვადასხვა გზით მიხვიდე, ხოლო თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მაცოცხლებელ წყაროსთან კი მრავალთაგან წინასწარ არჩეული ერთადერთი სწორი გზა მიგვიყვანს.

ამ ერთადერთი სწორი გზის არჩევანი არ შეიძლება კაცს შეგეშალოს, თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნებაზე უფრო მკაცრია და გაუტანელი. იგი არაფერს გაპატიებს. თითონ ადამიანია დღეს ასეთი და საზოგადოებაც, საერთოდ.

ამიტომ არ შეიძლება აქ რაიმე, თუნდაც ოდნავი შეცდომის დაშვებაც კი.

შეცდომებზე ვსწავლობთო, იტყვიან. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ იმდენი შეცდომა გვაქვს დაშვებული და მიუხედავად ამისა, მაინცა და მაინც დიდი განსწავლულობით ვერა და ვერ დავიკვეხნით, რომ არა მგონია მარტოოდენ შეცდომებზე სწავლა იყოს ჩვენი წინსვლის ერთადერთი და ნაცადი გზა.

სცადოს მაინც, შეცდომებზე სწავლა, ვისაც უნდა.

გაკვეთილი გაკვეთილია. ისიც ისტორიის.

და სწავლა სიბერემდეო. ესეც ხომ ითქვა.

მე კი ჩემს სათქმელს ვიტყვი.

ძალა რომ აღმართს ხნავს, ეს დიდი ხანია ყველასათვის ცნობილია და აქედან ახალს რასმეს ვერაფერს ისწავლი. მაგრამ, ხერხი რომ ღონეს სჯობიაო — აქედან კია მგონია მე შესაძლებელი, რომ კაცმა რაიმე ისწავლო, რამეთუ თავად ხერხის მიგნებაშია საქმე, მის მუდმივ ძიებაში და ამ ძიების გზების სწავლაში.

პოლიტიკა კი, მოგეხსენებათ, ხშირად სწორედ ხერხის მიგნებას გულისხმობს, და ესაა საწადელი მიზნის მიღწევის საწინდარი.

ახლა ჩვენ, სწორედ ასეთი ხერხის მიგნებისა და სწორი არჩევანის წინაშე ვდგევართ.

მოვლენები კი საოცარი სისწრაფით ვითარდება და ბევრრამ გაუთვალისწინებელიც, მოულოდნელიც, გარდამტეხი მნიშვნელობისაც კი ხდება.

მე კარგად მახსოვს, თუ რაოდენ ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებმა სკკპ, როგორც საბჭოთა ხალხის ავანგარდის, ხელმძღვანელი როლის უარყოფის ცდას და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მეექვსე და მეშვიდე მუხლებში ცვლილებების შეტანას. ამის შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა და უკვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ა. წ. მარტის პლენუმმა თავადვე მიიღო გადაწყვეტილება საკანონმდებლო ინიციატივის წესით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობის განსახილველად შეიტანოს პოლიტიკური სისტემის საკითხებზე (სსრ კავშირის კონსტიტუციის მეექვსე და მეშვიდე მუხლები) სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

და მოსახდენი მოხდა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობის მონაწილე მორჩილი უმრავლესობა დაშოშმინდა, ხოლო პრეამბულიდან ამოიღეს სიტყვები: „გაიზარდა მთელი ხალხის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი“. ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებიც.

თავისი სიტყვა თქვა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთოთხმეტე სესიამაც, რომელმაც მიიღო კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ.

ახლა ჩვენ მრავალპარტიულობისა და პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში ვცხოვრობთ.

შეცვლილი ვითარება ტაქტიკური ნახაზისა და პრაქტიკული მოქმედების შეცვლას ითხოვს, ხოლო ნებისმიერი ცვალებადობა წინასწარ დაფიქრებას, განსჯას და შორს გამიზნული გადაწყვეტილების დროულად მიღებას.

გაჭირდა ამხანაგი სსრ კავშირის პირველი პრეზიდენტის არჩევა. ამას ყრილობაზე გამართული დისკუსიაც მოწმობს და ხმის მიცემის შედეგებიც.

ჩემი ყურადღება ერთმა საგულისხმო დეტალმაც მიიპყრო.

სსრ კავშირის მომავალი პრეზიდენტი ყრილობის მონაწილე ქართველ დეპუტაციას შეხვედრია და გულახდილად უთქვამს, რომ დღეს მას მხარის დაჭერა სჭირდება, რადგან მისი პრეზიდენტობა ქვეყნისათვის აუცილებელიაო. ისიც უთქვამს, რომ საქართველოს სიხარულს და წუხილს მუდამ ვიზიარებო და ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ ჩვენი სუვერენიტეტი გაფართოვდება, გამყარდება და თუმცა ის სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლას არ გვირჩევს, მაინც შეგვიწყობს ხელს დამოუკიდებლობის აღდგენაში.

ვნახოთ?

ჯერ-ჯერობით კი თავს სსრ კავშირიდან გასვლის ისეთი მექანიზმი მოგვახვიეს, რომელიც არგასვლას უფრო გავს, ვიდრე გასვლის კონსტიტუციური უფლების გარანტიას.

რას იზამ?

ძალა ისევ ხნავს აღმართს.

ჯერჯერობით.

ამასობაში ჩვენ, მაინც ჩვენსავე თავს, საქმეს და საკუთარ მიწაწყალს მივხედოთ.

ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, შეუნელებელი ყურადღებით, ფიზიკური თვალით და გამჭრიახი გონებით.

მიხედვაც არ კმარა.

ვუპატრონოთ უნდა მიწა-წყალსაც, ერთმანეთსაც და ყველაფერს, რასაც ქართული ჰქვია, ეროვნული და საშვილიშვილოა.

არა სიტყვით, არამედ საქმით. რეალური და კონკრეტული საქმით.

ასეთად მეჩვენება მე, მაგალითად, სასოფლო რეგიონების ათვისებისა და გაჯანსაღების სამთავრობო პროგრამის განხორციელება. იგი სოფელში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლის მსურველ თბილისის მცხოვრებთათვის ითვალისწინებს ახალ ეკონომიკურ საფუძველზე სოფლის მეურნეობრიობის, ფერმერობის, იჯარის, გლეხური მეურნეობის, ოჯახური ნარდის განვითარების პირობების შექმნას.

დიდი საქმეა.

დაგვიანებული, მაგრამ მაინც ჭეშმარიტად ეროვნული და არა მარტო დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების გათვალისწინებით.

ცხადია, თბილისი განტვირთვას ითხოვს. ახლა აქ, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის თითქმის ერთმა მეოთხედმა მოიყარა თავი და უკვე თავად ეს ფაქტია ავის მომასწავებელი.

რა ვქნათ და რა ვიღონოთ?

მე მაინც მგონია, რომ მთელი ჩვენი ყურადღება, არსებული ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობები სოფლების განაშენიანებას, კეთილმოწყობას და აღორძინებას უნდა მოხმარდეს. ქალაქს მოვაკლოთ და პირი სოფლისაკენ ვიბრუნოთ. ესე იგი, სოფლად შეგქმნათ მატერიალური, კომუნალური და კულტურული ცხოვრების არანაკლები, არამედ შესაძლოა, უკეთესი პირობებიც კი, ვიდრე ქალაქადაა. შრომის, ყოფის, გართობის და საერთოდ ცხოვრების პირობები. მე თუ მკითხავთ, ეს მით უფრო აუცილებლია, რომ მმართველობითი აპარატის აუცილებელი, ამასთან მნიშვნელოვანი შემცირების, აგრეთვე ზოგიერთ არარენტაბელურ და საერთოდ გაუმართლებელ, თუნდაც ეკოლო-

გიური თვალსაზრისის მიზანშეუწონელ, საწარმოთა გაუქმების პირობებში, ხელოვნურად გაზრდილმა ქალაქის მოსახლეობამ პირი სოფლისაკენ უნდა იბრუნოს და მიტოვებულ სახლ-კარს დაუბრუნდეს იმ იმედითა და გარანტით, რომ იგი იქ უკეთ იცხოვრებს და მეტ სარგებლობასაც მოიტანს.

პოზიციის საყოველთაო და რადიკალური შეცვლაა საჭირო, თორემ ქალაქი ვერ განიტვირთება და არც ჩვენს საერთო ეროვნულ საქმეს ეშველება რა.

რა კარგია ჩემი სოფელი!

ეს სიტყვებია საქმით გასამაგრებელი და მაშინ იბრუნებს სოფლისაკენ პირს ახალგაზრდობა.

საქმე კი მაშინ გამოჩნდება, როცა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების“, აგრეთვე „სსრ კავშირში „საკუთრების შესახებ“ კანონების შესაბამისად მათი „ქართული ვარიანტი“ მომზადდება, რაც ამავე კანონების თანახმად უშუალოდ რესპუბლიკის კომპეტენციას შედგენს საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში ისევე, როგორც საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგება ჩვენივე რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტებით უნდა მოხდეს.

ეს შესაძლებლობები ჩვენ ხელიდან არ შეიძლება გავუშვათ.

რაღა თქმა უნდა, მე საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების მომხრე ვარ და იმისიც, რომ მიწა სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში იყოს მიღებული, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობია და იმასაც ვიტყვი, რომ კერძო საკუთრების დაშვების მომხრე ვარ, რაც საკუთრების სხვა ფორმებთან ერთად, მინდა საკანონმდებლო წესით ვაღიაროთ. ესე იგი, უწინდებურად ნუღარ გადავწერთ ცენტრის მიერ მიღებულ დოკუმენტებს, არამედ კრიტიკულად შევაფასოთ ისინი და ბოლომდე დავიცვათ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“.

ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის საიმედო გარანტი ღონიერი ქართული სოფელია.

მაგრამ, ქალაქსაც რომ შველა უნდა.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები. მათ შორის მსხვილი და ამავე დროს ზარალიანიც. ისეთიც, რომელიც ნედლეულს სსრ კავშირის შორეულ რეგიონებიდან ღებულობს და ხშირად უკვე აღარც ღებულობს.

მაგალითად.

თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკას ესაჭიროება 350 ტონა აბრეშუმის პარკი, რომლის ნახევარი კახეთში მზადდება, ხოლო დანარჩენი შუა აზიის რესპუბლიკებიდან შემოდიოდა და ეს ორი წელია, რაც შეწყდა. ასე რომ, ფაბრიკის არსებობა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. არადა მეაბრეშუმეობის განვითარებას საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში დიდი სარგელობის მოტანა შეუძლია.

რა არის საჭირო?

თუთის ხეების გაშენება. ახლა ისინი მოუვლელია, მწირი და გამოუსადეგარი ფართობები ეთმობა, უმნიშვნელოა მოსავლიანობაც.

სხვა მსგავსი მაგალითების მოტანაც მრავლად შეიძლება.

დადექი მიკროფონით ხელში და იყვირე: დამოუკიდებელ საქართველოს გა-უ-მარ-ჯოს!

უშველის ეს ჩვენ გაჭირვებას?

კი უშველის, თუ სიტყვას საქმითაც გავამაგრებთ.

გავამაგროთ!

თუნდაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით უფრო მობილურ, ახალი სახის თუ მოდელის პროდუქციის გამოშვებაზე სწრაფად და იოლად გადასვლისათვის მზადმყოფ, აგრეთვე პერიოდული ტექნიკური გადაირაღებისათვის უფრო მოხერხებულ მცირე საწარმოებზე თანდათანობით გადასვლის გზით. ამასთან, მცირე მოცულობის საწარმო საგრძნობლად გააიოლებს შრომითი კოლექტივის საკუთრებად სახელმწიფო საწარმოს მთელი ქონების გარდაქმნას, დაიჯარებული ქონების გამოსყიდვას ან კანონით გათვალისწინებული სხვა ხერხებით ქონების შეძენას. ასეთი სახის საწარმოთა განვითარება საქართველოსათვის ისეთ წამყვან დარგებში, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა მით უფრო მიზანშეწონილად მეჩვენება, რომ გიგანტომანია ქართველი კაცის ბუნებისათვის [illegible] მიუღებელი „მანიაა“.

ქალაქელი ქართველი კაცისათვის ხელოსნობაც უფრო [illegible] ლობელია, ვიდრე დიდი კოლექტივის წევრობა და ამიტომ მიმაჩნია, რომ საჭიროა მივიღოთ კანონი, აგრეთვე შევქმნათ რეალური პირობები კერძო ხელოსნობის განვითარებისათვის. იყო თბილისი ცნობილი კარგი ოსტატებით და ჯერ კიდევ არ არის გვიან ამ საქმის აღორძინება. ხვალ უკვე გვიან იქნება.

არც ის არ არის ჯერ დაგვიანებული, რომ ახლადფეხადგმული კოოპერატიული მოძრაობა, რომელსაც ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა, სწორი გზით განვითარდეს და კიდევ უფრო ფართე მასშტაბები მიიღოს. მაგრამ, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, თვით კოოპერატორებს მართებთ ზრუნვა. საქმე ის არის, რომ ქალაქად მომრავლებული საზოგადოებრივი კვების ამ სახის ობიექტები სოფლის გლეხურ მეურნეობებში მიღებული პროდუქციით უნდა უზრუნველყოფდნენ თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და არ ეწეოდნენ საშუამავლო სპეკულაციას სახელმწიფო ვაჭრობასა და მომხმარებელს შორის. სოფელთან პირდაპირი კავშირისა და მისგან მიღებული პროდუქციის გარეშე ასეთი კოოპერატივების იმედიან პერსპექტივას მე, მაგალითად, ვერ ვხედავ. სამაგიეროდ, დიდად პერსპექტიულად მეჩვენება სამშენებლო, აგრეთვე მომსახურების სფეროს კოოპერატივები, რომელთა განვითარებასაც, ცხადია, ობიექტურად ხელსაყრელი პირობების შექმნა სჭირდება.

ობიექტურად ხელსაყრელი პირობების შექმნაა საჭირო ისეთი სახისა და ხარისხის პროდუქციის შესაქმნელადაც, რომელსაც გასაღების ბაზარი ექნება, თორემ თუ ვერაფერი გაყიდე და ვერც ვერაფერი იყიდე — ვერ იქნები ვერც დამოუკიდებელი და მით უფრო თავისუფალი.

ერთი რამ კიდევ მაქვს სათქმელი.

ოპოზიცია ძალას იკრებს, იძენს სიტუაციური ანალიზის უნარსაც და ყოველივე ეს მის მოწიფულობას ადასტურებს.

გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, სადაც გადაწყდა, შეიქმნას პარიტეტულ საწყისებზე ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინირებული ხელმძღვანელობის ცენტრი.

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

საქართველოს მხედრიონის ინიციატივით მოეწყო საგანგებო შეხვედრა ურთიერთმიტევებისა და ურთიერთშენდობის დღის აღსანიშნავად.

19 მარტი ასეთი დღეა.

დიდებული დღე და მრავლისმეტყველი.

მრავლისმეტყველი გახდა 9 აპრილის „სისხლიანი კვირის“ წლისთავიც, რომელმაც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უთუოდ წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი წარმოაჩინა.

მაგრამ, ამ მოძრაობას უღირსი თანამგზავრებიც აედევნენ, რომელთა შორისო, ამბობენ, გამომძალველებიც აღმოჩნდნენო. სამარცხვინო საქმე გვჭირს და დროზეა ასეთი ფაქტებისადმი მიხედვა საჭირო.

უნდა ვიაროთ წინ!

დამოუკიდებლობისაკენ სავალ გზაზე გათვალისწინება სჭირდება მოსალოდნელ სიძნელეებს, დაბრკოლებებს, ხელისშემშლელ გარემოებებს.

თუნდაც ლიტვის მაგალითი.

წინა კაცი უკანასი ხიდია.

აჩქარებითა სოფელი არავის აუშენებია. ესეც ხალხური სიბრძნიდან მოდის. აჩქარებითაო! მართალია ეს. ჩვენ კი გვეჩქარება, ძალიან გვეჩქარება და გასაკვირიაო რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი, მაგრამ იმაში კი უთუოდ მართალი ვარ, რომ აჩქარებას დასანანი შეცდომებიც და ზოგიერთი რამ გაუთვალისწინებელიც ახლავს ხოლმე თან.

ავიცდინოთ უნდა ყოველივე ეს თავიდან.

ვეცადოთ მაინც.

და უშეცდომოთ ავირჩიოთ სწორედ ის გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს.

1918 წლის 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის 26 მაისი საქართველოს ისტორიული ცხოვრების უბედნიერესი თარიღია, რომელსაც მნიშვნელობით და საზეიმო შინაარსით წარსულის ვერც ერთი სხვა თარიღი ვერ შეეტოლება. ამ დღეს განხორციელდა ქართველი ხალხის საუკუნოებრივი ნაოცნებარი. აღსდგა დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც 1801 წელს ცარისტული რუსეთის მიერ იყო ანექსირებული და კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელქვეშ გმინავდა; გამარჯვებით დაგვირგვინდა ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ანექსიის დღიდანვე დაედო სათავე და ას ჩვიდმეტი წლის მანძილზე გრძელდებოდა.

საჯაროობამ და დემოკრატიზმმა გზა გაუხსნა „ემიგრანტულ" ლიტერატურას. ქართველ მკითხველს მიეცა საშუალება, უშუალოდ გაცნობოდა იმ მოღვაწეთა შეხედულებებს, რომლებიც 26 მაისის სათავეებთან იდგნენ და სამი წლის მანძილზე წარმართავდნენ მის საშინაო და საგარეო ცხოვრებას.

ისტორიოგრაფიის გამრავალფეროვნებამ დაარღვია დოგმატიზმი და დადგენილი სტერეოტიპები, გზა გაუხსნა თავისუფალ აზროვნებას. დღეს უკვე აუცილებელია, გაირკვეს 26 მაისის შემაპირობებელი ფაქტორები, დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიანი ცხოვრების შინაგანი და საგარეო ასპექტები, მისი დაცემის მიზეზები. 1921 წლის შემდეგ უცხოეთში ემიგრირებულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ცხარე დავა წარმოებდა დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისა და მისი დაცემის მიზეზთა შესახებ. 20 — 30-იან წლებში დაიწერა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელის, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, კონსტანტინე კანდელაკის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, გრიგოლ ერაძის და სხვათა ნაშრომები და მოგონებანი, რომელთაც რიგ საკითხებში კონცეპტუალურად დაუპირისპირდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოთავეთა — ალექსანდრე ასათიანის, სპირიდონ კედიას, რევაზ გაბაშვილის, მიხაკო წერეთელის, დავით ვაჩნაძის და სხვათა წიგნები და პუბლიცისტური სტატიები. ამ პოლემიკაში ძირითადი მაინც ორი საკითხია: როგორ იშვა სუვერენული საქართველო, რამ შეაპირობა მისი სიცოცხლის ხანმოკლეობა.

1918 — 1921 წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისადმი მიძღვნილ ზოგ სტატიაში ის აზრი გამოსჭვივის, თითქოს 26 მაისის აქტი იყო „გობით მორთმეული თავისუფლება" და სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა დემოკრატიულ-დამოუკიდებელ საქართველოს, არ იყო ამ მისიისათვის მოწოდებული; რომ ამ პარტიის მოთავეობამ შეაპირობა ბევრი გამოუსწორებელი შეცდომა, რომლებმაც, საბოლოო ჯამში მარცხამდე მიიყვანა ისინი.

წამოჭრილი პრობლემები ფრიად რთულია და მათზე ერთნაირ პასუხი უმართებულო იქნებოდა. აუცილებელია ამ პერიოდის ხელახლად ყოველმხრივი შესწავლა, რაც პირველ რიგში ძველი სტერეოტიპებიდან თავისუფალ ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის ამოცანაა. ამ მიმართულებით კვლევით საქმიანობას იგი შეუდგა კიდეც.

შემთხვევითი იყო თუ არა 1918 წლის 26 მაისს მოპოვებული ეროვნული თავისუფლება? ეს საკითხი პირველ რიგში საჭიროებს იმის გარკვევას, რა დონეზე იდგა იმ დროს ქართველი ხალხის ეროვნული პოტენციალი, იყო თუ არა იგი შემზადებული ამ აქტისათვის და ხელეწიფებოდა თუ არა მისი მოპოვება და შენარჩუნება იმ კონკრეტულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1918-1921 წლები საერთოდ ურთულესი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. ეს იყო ხანა, როცა პირველი მსოფლიო ომი დასასრულს მიუახლოვდა და გამარჯვებული მხარე პარიზის საზავო კონფერენციაზე წყვეტდა მომავალი მსოფლიოს ბედ-იღბალს, როცა რუსეთის იმპერიაში განხორციელდა სოციალისტური გადატრიალება და მის შედეგად გამოწვეულ ხანგრძლივ სამოქალაქო ომს თან ახლდა მანამდე გაუგონარი კატაკლიზმები და სამეურნეო ნგრევა. ამ მსოფლიო ქაოსში ყველაზე მძიმე და მტკივნეული იყო მდგომარეობა მცირე ერებისა, რომელთა ბედ-იღბალი წყდებოდა მათ დაუკითხავად, ხშირ შემთხვევაში კი მათი ინტერესების საპირისპიროდ.

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას საქართველოში სასახელო ტრადიციები გააჩნია. იგი დაიწყო რუსეთისაგან თავსმოხვეული ანექსიის პირველი დღიდანვე. კოლონიური რეჟიმისადმი ხალხის შეურიგებლობის კლასიკური მაგალითია ის მასობრივი აჯანყებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამაღლდა საერთო ევროპულ დონეზე. განსაკუთრებით ძლიერი ხასიათი მიიღო მან 1900-1905 წლებში. ამ დროს კავკასია და ბალტიისპირეთი ტონს აძლევდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას მთელს იმპერიაში. მართალია, პირველი რევოლუცია დამარცხდა და ცარიზმმა შეძლო დაეთრგუნა ხალხის განმათავისუფლებელი მისწრაფებანი, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით. ეროვნული ენერგიის აკუმულაცია ისევ მიმდინარეობდა და იზრდებოდნენ ახალი ძალები გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. ხელახალი შეტევის ხანა დადგა 1917 წლის თებერვლიდან, როცა რუსეთში დაემხო თვითმპყრობელური რეჟიმი და ერთბაშად პოვა გასაქანი მანამდე გაუგონარმა დემოკრატიულმა თავისუფლებამ.

ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი რა ძალები მოქმედებდნენ მაშინ საქართველოში, ან რომელ პოლიტიკურ პარტიას ჰქონდა რეალური ძალა და გავლენა. რომ სათავეში ჩადგომოდა ბრძოლას დამოუკიდებელი საქართველოსთვის?

ეროვნული ავტონომიისათვის თანმიმდევრულად იბრძოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. ამ პარტიას XX საუკუნის დამდეგიდანვე ჩაეყარა საფუძველი. მას მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა ქართველ ინტელიგენციაში და მის რიგებს ამშვენებდა ჩვენი ქვეყნის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე (არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, თედო სახოკია, სამსონ ფირცხალავა, შალვა ალექსი-მესხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე და სხვ.). მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტური პარტია მაინც მცირერიცხოვანი იყო, მას ხალხში ფესვები ღრმად გადგმული არ ჰქონია. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამ პარტიას საგანგებო აქტიურობა არ გამოუჩენია. ის საერთო-სარუსეთო მოვლენათა მსვლელობით იყო გატაცებული და მთელ იმედებს ამყარებდა დამფუძნებელ კრებაზე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა იმპერიის ხალხთა ბედ-იღბალი საერთოდ და მათ შორის საქართველოს თვითმმართველობის საკითხიც.

დამოუკიდებლობისათვის ყველაზე თანმიმდევრულ მებრძოლ ძალას წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იგი კანონზომიერადაა მიჩნეული ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრედ. ამ პარტიის კონტურები პირველი რევოლუციის შემდგომ წლებში მოიხაზა. მისი ეროვნული კონცეფცია გამოიკვეთა პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან, როცა რეალურად დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. მაგრამ პარტიამ ამ დროს მაინც ვერ შეძლო ორგანიზაციული გაფორმება. იგი მხოლოდ 1917 წელს ჩამოყალიბდა. პარტიის დამფუძნებელი ბირთვი ფრიად ძლიერი იყო. იგი აერთიანებდა ისეთ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ გიორგი გვაზავა, რევაზ გაბაშვილი, პეტრე სურგულაძე, სპირიდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი, მიხეილ წერეთელი, გიორგი და მიხეილ მაჩაბელები, შალვა ქარუმიძე და სხვები. ახლად შექმნილ პარტიას ხალხში არ ჰქონია ფართე პოპულარობა. იგი ჯერ კიდევ არ იყო მზად დამოუკიდებელი ხელისუფლების მოთავეობისათვის. ამას არც მაშინ, არც შემდეგ არ უარყოფდნენ თვით მისი ლიდერები.

მასებზე ზეგავლენის მხრივ ყველაზე ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც საიმპერიო მასშტაბითაც ჰქონდა დიდი გავლენა. ამ პარტიის ლიდერები (კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი და სხვ.) სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან ებრძოდნენ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას და მაღალი ავტორი-

ტეტით სარგებლობდნენ. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ ზოგი მათგანი საერთო სარუსეთო რევოლუციური ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა.

სოციალ-დემოკრატიის რიგებში გაერთიანებული იყო საქართველოს მუშათა და გლეხთა უმრავლესობა. დამფუძნებელი კრების არჩევნებში მან ხმების უდიდესი უმრავლესობა მოიპოვა. პარტიის წევრთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა და 1920 წლისათვის მან 80 ათასს მიაღწია.

საგანგებო კვლევის საგანია ის, თუ რამ შეაპირობა საქართველოში სოციალ-დემოკრატიის ასეთი ფართო ზეგავლენა წვრილბურჟუაზიულ ფენებზე. ეს პარტია ხომ აღმოცენების დღიდანვე დაუპირისპირდა იმ ეროვნულ მიმართულებას, რომელსაც დიდი ილია და მისი პლეადა ედგა სათავეში. ისიც ხელახლა შესწავლილია, თუ რით აიხსნება ამ პარტიის ორი ფრაქციის (მენშევიკები, ბოლშევიკები) შეურიგებლობა.

მათი იდეური გათიშულობა ჯერ კიდევ „მესამე დასიდან" გამოიკვეთა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებაც იყო. ბოლშევიკები იმთავითვე უკიდურეს ეროვნულ ნიჰილიზმს ქადაგებდნენ და შეურიგებლობას იჩენდნენ განსხვავებული პოზიციების მიმართ. ასეთად დარჩა ეს პარტია ბოლომდე. 900-იან წლებში ეროვნული მოძრაობისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი მენშევიკებიც. ორთავე ფრაქციის ისტორიაში შავ ლაქად ჩანს ეს ნიჰილიზმი და ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბინძური მეთოდებით ბრძოლა, რასაც შედეგად მოჰყვა ერის სულიერი მამის ტრაგიკული აღსასრული. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ პირველი მსოფლიო ომის წლებში, უფრო გამოკვეთილად 1917 წლიდან, მენშევიკურ ფრაქციას დაეტყო ერთგვარი შემობრუნება ეროვნული პოზიციისაკენ და საქართველოს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან საერთო ენის გამონახვის მისწრაფება, რაც გამოვლინდა კიდეც 1917 წლის აპრილში ინტერპარტიული საბჭოს ჩამოყალიბებაში. მაგრამ, ეს ნაწილობრივი შემობრუნება მაინც არ ნიშნავდა იმას, რომ სოციალ-დემოკრატიამ (მენშევიზმმა) ხელი აიღო თავის კოსმოპოლიტურ ტენდენციებზე და მხოლოდ ეროვნული ინტერესებით შემოიფარგლა. იგი კვლავ წინა პლანზე აყენებდა რუსეთის დემოკრატიის საერთო ბედ-იღბალს და სეპარატიზმი მავნედ ეჩვენებოდა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც ამ დროს დიდი გავლენა ჰქონდათ რუსეთში, არ გამოიყენეს ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროს აღსდგნენ ეროვნული ძალები ფინეთში, პოლონეთში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში. სწორედ 1917 წელს მოიპოვა ფინეთმა ეროვნული დამოუკიდებლობა. კარლო ჩხეიძე და კაკი წერეთელი კი საქართველოს დამოუკიდებლობაზე ამ დროს არც კი ფიქრობდნენ. ირაკლი წერეთელი თავის ორტომიან ნაშრომში „მოგონებანი თებერვლის რევოლუციაზე", რომელიც 1963 წელს გამოიცა პარიზში, აღნიშნავს, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ წინა პლანზე იდგა რუსეთის დემოკრატიის საერთო ბედ-იღბალი, ქართული სოციალ-დემოკრატიაც ამ დინებაში იყო ჩართული და იგი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის არ იბრძოდა ისეთი მიზანსწრაფულობით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბალტიისპირეთში და პოლონეთშიო.

ყველაზე გაბედული, თანმიმდევრული, ეროვნული ნაბიჯი მეფის ხელისუფლების დამხობისთანავე ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ გადადგა. მან უკვე მაის-სექტემბერში საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინა თავისი ასწლიანი ბრძოლა ავტოკეფალიისათვის. ამ დიდ ეროვნულ საქმეს მოთავეობდნენ პირველი კათალიკოს პატრიარქი 1917-1918 წლებში კირიონ მეორე (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე. მათ მხარში ედგნენ გიორგი გვაზავა, ივანე ზურაბიშვილი, კოტე აბხაზი, პავლე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი და მრავალი სხვები, უმთავრესად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან.

მეორე უმნიშვნელოვანესი აქცია ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში იყო თბილისის უნივერსიტეტის დაარსება. 1917 წელს ეროვნული საუნივერსიტეტო მოძრაობა ივანე ჯავახიშვილის მესვეურობით გახდა ის უმნიშვნელოვანესი აქცია, რომელმაც აიყოლია მთელი ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. 1918 წლის იანვარში უნივერსიტეტის გახსნა ნიშნავდა ინტელექტუალურად საქართველოს სუვერენიტეტის შემზადებას. უნივერსიტეტში შეკრებილი სამეცნიერო ძალები და სტუდენტობა ამიერიდან ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდნენ 26 მაისის აქტის შემზადებაში.

ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა ობიექტურად დაჩქარა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ პეტროგრადში. ნიშანდობლივია რომ საქართველოს არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, გარდა ქართველი კომუნისტებისა, არ დაუჭირა მხარი ბოლშევიკების მოქცევას რუსეთის ხელისუფლების სათავეში, სწორედ ამ დროიდან დაისვა სოციალ-დემოკრატების წინაშე საკუთარი ქვეყნის მოვლა-პატრონობის ამოცანა. 1917 წლის 15 ნოემბერს შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატის სათავეში აღმოჩნდა ქართული სოციალ-დემოკრატია. იგივე სოციალ-დემოკრატია მესვეურობდა ამიერკავკასიის სეიმს, რომელიც 1918 წლის დამდეგს ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ შეიქმნა ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან. ქართული სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მან 1917 წლის მიწურულში უნარიანად დაიცვა თბილისი უდიდესი საფრთხისაგან, რაც მას თურქეთის ფრონტიდან დაძრული რუსეთის არმიის შემოსევით ემუქრებოდა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქცია, რომელიც წინ უსწრებდა 1918 წლის 26 მაისს, იყო საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს იქნა მოწვეული. საქართველო [illegible] ტელექტუალურად შემზადებული [illegible] სუვერენიტეტის აღდგენისათვის, გამოჩნდა ქართველ თავადაზნაურთა საკრებულოს დიდი პატრიოტული გადაწყვეტილებიდან — გადაეცა მთელი მისი ქონება ქართველი ერისთვის. ეს იყო კლასობრივ გრძნობაზე ეროვნული გრძნობის თვალსაჩინო გამარჯვება. ნოემბრის ყრილობაც, სადაც ყველა პარტია (გარდა კომუნისტებისა) და საზოგადოებრივი ორგანიზაცია მონაწილეობდა, გაიხსნა სწორედ ამ ქონების მიღების გამო. კრებას თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი. მთავარი მომხსენებელი იყო ნოე ჟორდანია. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ჩვენის აზრით, არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმას, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატიას დამოუკიდებლობისაკენ უბიძგებდა პარტიული თუ სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამ აქტში ეს ინტერესები დაემთხვა ერთიმეორეს 26 მაისის შემზადების სასარგებლოდ. ამ დამთხვევამ შეაპირობა ერთსულოვანი ნეგატიური პოზიცია ბრესტის ზავის მიმართაც და თურქეთის აგრესიის ვითარებაში ორიენტაცია გერმანიის დელეგაციაზე, რომელთან მოლაპარაკებაში მთავარ როლს ამ პარტიის წარმომადგენლები ასრულებდნენ.

ემიგრანტულ ლიტერატურაში ატეხილ დავას იმის თაობაზე, თუ რომელი პარტიის დამსახურებაა 1918 წლის 26 მაისი, ცალმხრივობის ბეჭედი აზის. ეს დიადი მონაპოვარი სრულიად საქართველოს დამსახურებაა. იგი იყო საერთო ეროვნული ძალისხმევის შედეგი და მონაპოვარი. ამაშია მისი სიდიადე და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

ცალმხრივობა იგრძნობა კამათში იმის თაობაზეც, თუ რამ შეაპირობა 1918 წლის 26 მაისის მონაპოვართა დღემოკლეობა. ზოგი ავტორი 1921 წლის თებერვლის ტრაგედიაში ხედავს წილს მმართველი პარტიისა, რომელმაც ვერ შეძლო სწორი პოლიტიკური ორიენტაციის აღება და იმ დამპყრობლურ მისწრაფებათა ამოცნობა, რომელსაც იმთავითვე შეიცავდა საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა.

ამ პრობლემის გარკვევასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხთა მთელი კომპლექსი, რომლებიც სიღრმისეულ და ფართო მასშტაბით კვლევას საჭიროებს.

დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო ცხოვრებას არ ახასიათებდა კრახის ტენდენციები. მართალია, მას უჭირდა ეკონომიკურად, მაგრამ ეს გასაჭირი არ იყო გარდაუვალი. ქვეყანა თანდათან გამოდიოდა კრიზისული მდგომარეობიდან, სძლევდა იზოლაციას და უცხოეთთან კონტაქტების გაფართოებით ახერხებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში აღმავლობის გზების დასახვას. დამოუკიდებლობის გამოცხადების წელი ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე მომდევნო. 1920 წლისათვის კი საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ფინანსები იმ დროის შესაბამისად სრულიადაც არ ქმნიდა ხელჩაქნეულობის შთაბეჭდილებას.

კრახის მიზეზი საგარეო ვითარებაში მდგომარეობდა. დემოკრატიული საქართველოს საგარეო პოლიტიკა ეფუძნებოდა მტკიცე ნეიტრალიტეტს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მისი ამოცანა იყო, დაეცვა თავი დიდ სახელმწიფოთა დამპყრობლური მისწრაფებებიდან. იგი ვერც ერთ დაჯგუფებას ვერ მიემხრობოდა. მაგრამ როგორ იდგა საქართველოს საკითხი იმ დროის საერთაშორისო პოლიტიკაში? რა ძალები უპირებდნენ მას ჩაყლაპვას და რა გზით შეიძლებოდა მათგან გადარჩენა?

ყველაზე აგრესიული და საშიში იყო რუსეთი. ცარიზმის იმპერიულ პოლიტიკაში საქართველო მის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად იგულისხმებოდა. „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეა დომინანტობდა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომაც და პრინციპში ერთნაირად იყო გააზრებული თეთრ გენერალ დენიკინის, თუ წითელი კრემლის მესვეურთა შეგნებაში. ერთა თვითგამორკვევის დეკლარაციის მიუხედავად, საბჭოთა ხელმძღვანელობაში არავის მოსვლია აზრად საქართველოს დამოუკიდებლობის კანონზომიერება. ცნობილია, რომ 1917 წელსვე იყო იმის მცდელობა, რომ საქართველოში რუსეთის არმიის ძალებით დაემხოთ ადგილობრივი დამოუკიდებელი ხელისუფლება. საქართველოს დამოუკიდებლობა კრემლში მუდამ მიაჩნდათ უკანონოდ და ეძებდნენ ხელსაყრელ ვითარებას მისი ხელყოფისათვის. ასეთი ხელსაყრელი დრო დადგა მას შემდეგ, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა დენიკინი და მისი დევნისას გადმოლახა კავკასიის საზღვარი. აზერბაიჯანში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ საქართველოს ბედ-იღბალი საბოლოოდ გადაწყდა. პრაქტიკული მოქმედების დაწყება კონკრეტულ ხელსაყრელ ვითარებაზე იყო დამოკიდებული. სწორედ აქ ისმის საკითხი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მიზანშეწონილობის შესახებ. მართალია, ეს ხელშეკრულება მთავრობამ პარლამენტის დასტურის გარეშე დადო რუსეთთან, მაგრამ მაშინაც, როცა იგი დამფუძნებელი კრების სამსჯავროზე გამოიტანა, მან ერთსულოვანი მხარდაჭერა პოვა. ისეთი ძლიერი მემარჯვენე ოპოზიციაც კი, როგორიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო, მას სრული მხარდაჭერით შეხვდა. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 11 მაისის სხდომაზე ამბობდა: „ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ჩვენი ეროვნული გამარჯვება... რუსეთმა იცნო დამოუკიდებლობა იმ საქართველოსი, რომელსაც თვითონ ფლობდა. ამით წინასწარ წყდება სხვა სახელმწიფოების მიერ ჩვენი ქვეყნის იურიდიულად ცნობის საკითხი“.

ასე გაიაზრეს ეს ხელშეკრულება დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილმა სხვა პარტიებმაც. მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ იგი ბოლშევიკების მხრივ შეტევის წინ სულმოთქმის ფანდი იყო და საქართველოს განმეორებით მოელოდა ის, რაც იწვნია 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ 1801 წლის ანექსიით. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე ჩნდება — ხალხური სიბრძნეა. შეიძლება დღეს ჩანს ამ ხელშეკრულების ნეგატიური შედეგები, მაგრამ იმ ვითარებაში ეს არ იგრძნობოდა და თუ შეცდომა იქნა დაშვებული, ცოდვა ყველამ უნდა გაიზიაროს, თუმცა სუვერენიტეტის ბედ-იღბალი შეცდომის გარეშეც გადაწყვეტილი იყო.

რუსეთის შემდეგ საქართველოს სამტროდ მოდარაჯებულ ძალას თურქეთი წარმოადგენდა. ბრესტის საზავო ხელშეკრულებით წაქეზებული თურქეთი მუდამ ეძებდა იმის შესაძლებლობას, რომ მიეკუთვნებინა საქართველოს სამხრეთი პროვინციები. ეს ვერ შეძლო მან 1918 წლის მაისში სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. მაგრამ ომში მარცხის მიუხედავად ეძებდა ხელსაყრელ შემთხვევას, რომ თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა დასავლეთში რევოლუციის ექსპორტზე იმედგაცრუება განიცადა და გეზი აღმოსავლეთზე აიღო, ადვილად მოიძებნა დაახლოვების გზა ქემალისტურ თურქეთსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის. თურქეთს წილი ედო აზერბაიჯანში საბჭოური რეჟიმის უსისხლოდ დამყარებაში და არც ის იყო ცალმხრივი ინიციატივა, თურქეთმა რომ თავისი ჯარები შემოუსია აჭარას სწორედ იმ პერიოდში, როცა საბჭოთა არმია ოთხი მიმართულებით საქართველოს სასიცოცხლო ცენტრებს უტევდა.

როგორი იყო ევროპული ქვეყნების პოზიცია ამიერკავკასიისათვის ამ ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში? ევროპის ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობას კავკასია-საქართველოს საკითხი აწუხებდა იმდენად, რამდენადაც იგი მათ სამომავლო ეკონომიკურ ინტერესებს შეეხებოდა ამ ქვეყნებში. აქედან გამოდიოდა ე. წ. „მანდატის“ საკითხიც, ამას უკავშირდებოდა ამიერკავკასიის ეროვნულ სახელმწიფოთა იურიდიული ცნობის საკითხიც. სანამ საბჭოთა რუსეთს უჭირდა, ევროპის ქვეყნებს გეზი დენიკინზე ჰქონდათ აღებული, როცა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ თეთრი მედროშის იმედები გადაიწურა, ამ ქვეყნებმა ბოლშევიკური რუსეთისაგან გასამჯნავად ერთის მხრივ „კორდონების“ შექმნას მოჰკიდეს ხელი; მეორეს მხრივ საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე აიღეს გეზი. საქართველოს დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვის ყველა გზას მიმართავდა, მაგრამ ამაოდ.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ სწორედ ამ დროს ინგლისის პრესაში გაჩაღდა კამპანია საქართველოს წინააღმდეგ. იხსენებდნენ რომ პირველ მსოფლიო ომში თურქეთის ჩაბმისთანავე ქართველებმა კავშირი შეკრეს მათ მტრებთან — გერმანიასთან და თურქეთთან და მოღალატეებად გვთვლიდნენ. ინგლისმაც და საფრანგეთმაც საქართველო საერთაშორისო მფარველობის გარეშე დატოვეს. გენერალ ოდიშელიძის ხელმძღვანელობით ევროპაში იარაღის შესაძენად გაგზავნილ კომისიას მათ გზა გადაუღობეს, და ფულიც დააბრუნეს უკან. დამოწმებად იც გავიხსენოთ, რომ 1920 წლის შუაგომაზე სწორედ ინგლისის მაშინდელმა პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა კრასინის პირით სანქცია მისცა საბჭოთა რუსეთს, დაეწყო სამხედრო ლაშქრობა საქართველოში.

დემოკრატიული საქართველოს მარცხის შემაპირობებელ ფაქტორთა ანალიზისას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ როგორ დონეზე იდგა საქართველოს სამხედრო პოტენციალი, რატომ დატოვა მან თბილისი კოჯორ-ტაბახმელასთან გმირული ბრძოლების შემდეგ, ან რატომ არ გამაგრდა მცხეთასთან თუ სურამის უღელტეხილთან. სამწუხაროდ, იმ კონკრეტულ სიტუაციაში დამოუკიდებელი საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყვეტილი იყო. მას უტევდნენ არა მარტო თბილისის მიმართულებით, არამედ მამისონიდან, სოჭა-აფხაზეთიდან, თითქმის ყველა უღელტეხილიდან. მას უტევდა თურქეთიც. საქართველოს მესვეურებს კიდევ არ ეგონათ, რომ ევროპისაგანაც განწირულნი იყვნენ და მას დახმარებისათვის მიაშურეს ისე, რომ კაპიტულაცია არ გამოუცხადებიათ. მაგრამ ევროპის მესვეურთა პოზიცია არ გასცილებია სიტყვიერ თანაგრძნობას.

ამრიგად, დემოკრატიული საქართველო კატასტროფის წინ აღმოჩნდა სრული იზოლაციის ვითარებაში და მის წინააღმდეგ მოიმართა მტრული საგარეო ძალები. ისტორია მწარე, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელი გაკვეთილია. საერთოდ, კეთილშობილის პოზიციიდან დახმარების იმედი პოლიტიკაში გამორიცხულია.

ხანმოკლე იყო 1918 წლის 26 მაისის ბედნიერება, ზეიმი. მაგრამ იგი მაინც დარჩა უბრწყინვალეს თარიღად იმიტომ, რომ „26 მაისი ჩვენი გამაერთიანებელია, ჩვენი მთლიანობის სიმბოლოა, ჩვენი საერთო დროშაა“. ამას დემოკრატიული დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანია წერდა 1931 წელს, საქართველოს დემოკრატიული წყობილების დაცემის 10 წლისთავზე. ეს სიტყვები დღესაც ძალაშია. ასევე ძალაშია მისი მოწოდება, რომ „საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს შინაგანი განხეთქილების არც ერთი მომენტი, არც პოლიტიკური, არც სოციალური, არც კულტურული და საზოგადოებრივი. ჩვენ ყველა ვიბრძვით არსებობის ძირეული, უდაო და მიუცილებელი საფუძვლისთვის. ჩვენ გვინდა, ვიყოთ ჩვენი თავის ბატონი და პატრონი, როგორც ერი, როგორც ხალხი, როგორც პიროვნება. ყველა ეს უფლება წართმეული გვაქვს და ეს საერთო უბედურება აერთებს ყველას, განურჩევლად რწმენისა, პროგრამული სხვადასხვაობისა და სოციალური მდგომარეობისა“.

ამ დევიზით უნდა ვიზეიმოთ 1918 წლის 26 მაისი. ეროვნული მთლიანობაა ის მკვიდრი საძირკველი, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს მომავალი სუვერენული საქართველო.

პაატა სურგულაძე.

ახალი რუსეთი ცვალებად მსოფლიოში

რეალისტური პროგნოზი

სსრ კავშირის მთლიანობის პრობლემა დღეს უკიდურეს სიმწვავით დგას. ამის განხილა შეიძლება თუნდაც მოკავშირე რესპუბლიკებში სხვადასხვა მოძრაობისა და ფრონტის პროგრამების და დეკლარაციების მიხედვით.

რა ელოდება ამ შემთხვევაში საბჭოთა რუსეთს და როგორი რეალობანი უნდა გაითვალისწინოს მან! ამ საკითხებზე მსჯელობს თავის სტატიაში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ედუარდ ვოლოდინი

მწარეა და სამძიმო ამ თემის დაწყება. მწარეა და ძნელი იმის გამო, რომ ჩვენ წილად გვხვდა თანაზიარობის მძიმე ტვირთი იმ დიდი სახელმწიფოს დაშლისა, როგორიც რესპუბლიკების კავშირია, და ზესახელმწიფოსი, მისი ყოფილი ცენტრისა, სოციალიზმის ბანაკს რომ უწოდებდნენ.

სეპარატისტული პროცესები მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის დასავლეთისა და სამხრეთის ყველა საზღვარზე. ნაციონალიზმი თვითნებურად მოთავეობს ამ პოლიტიკურ მოძრაობას და გამოყოფის პრობლემა პოლიტიკური ლოზუნგისა და პრაქტიკული მოქმედების სახით უკვე დააყენეს სხვადასხვა ფრონტის ლიდერებმა.

აქ უნდა განვმარტოთ ცნება „ნაციონალიზმი". ის იხმარება არა იმიტომ, რომ გამოყოფა უკიდურეს ნაციონალიზმად აღიქმება არა როგორც სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა, არამედ როგორც სწორედ რუსეთისაგან გამიჯვნა, და წინდაუხედაობა იქნებოდა, თუ აბსტრაქციას — „ცენტრს" უკიდურესი „ეროვნული აღმაღორძინებლების" სრულიად კონკრეტული მოქმედებისა და გეგმების ასახსნელად გამოვიყენებდით. ნაციონალიზმით არ უნდა განვსაზღვროთ ადამიანთა კანონიერი გრძნობა და მოქმედება თავისი ეროვნული თვითმყოფობის, კულტურული განუმეორებლობისა და კონფესიონალური (სარწმუნოებრივი) მიმდევრობის დასაცავად. ცნება „ნაციონალიზმს" რომ ვიყენებ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ეროვნული მოძრაობის საყოველთაო შეუღლებულობა განაპირა მხარეებში ყველაზე მძაფრ რუსოფობიასთან (რუსულ შეუწყნარებლობასთან), რაც მაშინვე ამახინჯებს საკუთრივ ეროვნულ მოძრაობებს და მათ შინაარსს. ამისათვის თანამედროვე ნაციონალისტებს კიდევ მოუწევთ პასუხის გაცემა სწორედ თავიანთი ხალხების წინაშე.

ნაციონალიზმი როგორც ცნება იმიტომაც გამოიყენება კიდევ, რომ ფრონტების ლიდერები რესპუბლიკის მცხოვრებლებს უკვე ყოფენ ეროვნული ნიშნის მიხედვით სრულფასოვნებად და არასრულფასოვნებად და ერთდროულად უგულებელყოფენ იმ მკვიდრი ხალხების კანონიერ უფლებებსაც ეროვნულ ცხოვრებაზე, რომელთაც შეუძლიათ ან სურვილი აქვთ, რომ შექმნან და განავითარონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომია.

როგორც ვხედავთ, არის იმის შესაძლებლობა, რომ ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ეროვნული განსაკუთრებულობის გაშლისა და სრულყოფისათვის ღრმა აზრითა და ჰუმანიზმით აღსავსე მოძრაობა, რომელიც მუდამ თვითგამომრკვევი და გულგახსნილია მსოფლიოსათვის, და ნაციონალიზმი როგორც ეროვნულ განსაკუთრებულობაზე დამყნილი პარაზიტობა თითქოსდა ამაღლებული აბსოლუტამდე, რომელსაც უნდა გაუთანაბრდეს ეროვნული განაპირა მხარის ყველა მცხოვრები.

რაც შეეხება რუსოფობიას, აქ მას არ შევეხები, თუმცა ვიტყვი, რომ ის შესამჩნევად დაიკლებდა, თუ „ცენტრი" შეეშვებოდა უცნაურ მშვიდობისმყოფლურობას, რომელიც უფრო შაშში მიმციობანას თამაშსა ჰგავს რუსეთისა და რუსების ეროვნული ღირსების ხარჯზე. დიახ, კაცმა რომ თქვას, განა ჩვენი საქმეა, ყურადღებას რომ ვაქცევთ განაპირა მხარეების ნაციონალისტების ღვარძლიან უსაქციელობას მაშინ, როდესაც ჩვენს მხარეზეა რუსეთის როლის ისტორია და ცოდნა, შემონახული იმავე ხალხებში, რომელთა ნაციონალისტური ლიდერები ბრაზით უქცევენ გვერდს ამავე ისტორიას და ამავე ცოდნას? და ისტორიული ცხოვრების ჩვენი გამოცდილებით არც კი უნდა ვუპასუხებდეთ ამავე პროვინციელ ბონაპარტეებს — ისინი ხომ არც არიან წარმომადგენლები იმ ხალხებისა, რომლებთანაც ერთად ჩვენ ასეული წლების მანძილზე ვაშენებდით ქვეყანას და ვიცავდით სახელმწიფოს.

ახლა ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეა ის, რომ გახაპირა მხარის ხაციონალისტებს არ მივცეთ რესპუბლიკების მოსახლეობის ხარისხის მიხედვით დაყოფის უფლება. შეიძლება გამოეყონ ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია ან სხვა რეგიონები, ძაგრამ ახლანდელ ჯერ კიდევ მოკავშირე რესპუბლიკებში რუსეთის გარდა ვერავინ შეძლებს, რომ ხალხების ან მათი წარმომადგენლების თანასწორუფლებიახობის გარანტად დარჩეს. „ცენტრი" აქ უძლურია, თორემ არ დაუშვებდა რესპუბლიკების მიერ რასისტული კანონების მიღებას. „მსოფლიო საზოგადოებაც" და „დასავლეთის დემოკრატიებიც" გეოპოლიტიკური განლაგების ცვლილების სახელით დუმდნენ და მომავალშიც განაგრძობენ დუმილს მოწინავე ბალტიისპირეთისა და რელიქტური სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კანონთა პარალელიზმის საბაბის შესახებ. მხოლოდ რუსეთს შესწევს უნარი, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სხვა საშუალებების გამოყენებით შექმნას თავისი წარმომადგენლობები ეროვნულ მოკავშირე რესპუბლიკებში და არ მისცეს ნება ნაციონალისტებს, რომ პოლიტიკურ დოქტრინად აღიარონ რასისტური თეორია, რომელიც დამამცირებელია მათივე ხალხისათვის. ესაა კანონზომიერი პოლიტიკური მოქმედება რუსეთისა, რომელიც შედის თავისი პოლიტიკური ისტორიის იმ ახალ ეტაპში, როცა არავითარი ისტორიული მოკავშირე არა რჩება, ვინმეს დახმარების იმედი გამორიცხულია და მხოლოდ რუსების საკუთარი ძალისხმევით შეიძლება შეაჩეროს შინაგანი სტაგნაცია (შეფერხება) და მსოფლიო დესტაბილიზაცია.

მსოფლიო-ისტორიული დრამა შედის ახალ აქტში, მაგრამ შეიძლება კი მისი მოქმედება ერთმნიშვნელოვნად ტრაგიკულად დახასიათდეს? რაც უნდა ითქვას, მარტო დარჩენა სიხარულს ვერავის მიანიჭებს. ამასთან, ახლანდელი ასეთი ვითარება არ შეიძლება კვლავაც გაგრძელდეს თავისი არაბუნებრიობის გამო. შეიძლება კი ხანგრძლივი და მყარი იყოს ბლოკის ქვეყნების კავშირი, თუ ის იმთავითვე გამჭოლად იდეოლოგიზებულია, ხოლო ეკონომიკური საფუძველი ემყარება სხვა ქვეყნების ეკონომიკის პირდაპირ ან შენიღბულ დოტაციებს? იქნებ ამიტომაც ასე წარმატებით დავკარგეთ, მაგალითად, წარმოდგენა ჩვენს სლავურ ერთობაზე.

სურათი არ იცვლება კავშირის შიგნით რესპუბლიკებს შორის ურთიერთობებსაც. ბედულების გამ[illegible] წლების მანძილზე დოტაციები რუსეთის ბიუჯეტიდან მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში მიდიოდა „ფაქტობრივი უთანასწორობის სალიკვიდაციოდ", ვიდრე დონორი წარმატებით არ გამოიფიტა. დაუძლურებული კი განა ვინმეს სჭირდება და აინტერესებს? აი ერთ-ერთი ობიექტური მიზეზი განაპირა მხარის ნაციონალიზმის გაჩენისა, აი ერთ-ერთი ახსნა იმისა, რომ ნაციონალიზმი სვამს საკითხს სსრ კავშირის დაშლის შესახებ.

* * *

დგება ვაუკაცობის და ანგარიშსწორების დრო. ვაუკაცობისა იმიტომ, რომ რუსეთმა კვლავ უნდა მოიკრიბოს გულისყური და მიაღწიოს თვითგამორკვევას ახალ მსოფლიოში თავისი ადგილისა და ისტორიული მიზნის ნათელსაყოფად. „ცენტრი" რაღაც ქიმერად იქცევა. და მისი ხელისუფლებისაგან განთავისუფლებული რუსეთი თვითონ ირჩევს თავისთვის ისტორიულ როლს.

დგება ანგარიშსწორების დრო იმიტომ, რომ რესპუბლიკები საერთო საცხოვრებლიდან ცალ-ცალკე ბინებში კი არ გადადიან, არამედ გლეჯენ სისხლძარღვოვან სისტემას, ცოცხლად ჭრიან და ანგრევენ სახლს, რომელიც შენდებოდა არა 1940 ან 1917 წლებიდან, არამედ ათასწლეულზე მეტხანს. აქ აუცილებლად საჭიროა ქონების გაყოფა, რათა მეტად აღარ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები და გადაუხდელი ანგარიშები.

სირთულე აქ არის, მაგრამ ის იმდენად ძნელი გადასაწყვეტი როდია, როგორც ეს დასაწყისში შეიძლება ჩანდეს. რუსეთის სტატისტიკა კარგ დონეზე იდგა და როგორც მინიმუმი საკმარისად კარგად შეიძლება ვიანგარიშოთ — ვინ ვის ძარცვავდა და როგორი კოლონიალიზმი იყო მთელ მეცხრამეტე საუკუნეში. და თუ რუსეთი ვინმესთან ვალში აღმოჩნდება, მან ის უნდა დაუბრუნოს. ცნობილია უკანასკნელ ათწლეულებში საერთო საკავშირო ბიუჯეტის შედგენაც და განაწილებაც. აქაც აუცილებლად საჭიროა ანგარიში, რათა უმწიფარმა გადაწყვეტილებებმა თავის მობეზრება არ გამოიწვიონ... რუსეთის მხრივაც და მომმე მოკავშირე რესპუბლიკების მხრივაც.

გაცილებით უფრო რთულია საზღვრების პრობლემა. გამოცალკევება თანამედროვე საზღვრებში, რასაც მხოლოდ ნაციონალისტური სიბრმავე

აფიქრებინებს კაცს, თავისთავად იგულისხმება, არ მოხდება. უაზრობად ჩაითვლება, რომ რაღაც მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკათშორის საზღვრებს, რისთვისაც ოციან წლებში რუსეთის სისხლი დაიღვარა და რომლებიც თვითნებურად შეიცვალა შემდგომ ათწლეულებში. ყველა რესპუბლიკის საქმეა, რომ ეს პრობლემა ურთიერთშორის გადაწყვიტონ, მაგრამ ასევე პრინციპულია რუსეთის საქმე, ყველა რესპუბლიკასთან დაადგინოს თავისი საზღვრები. ამისათვის არსებობს სახელშეკრულებო აქტები, დაწყებული როგორც მინიმუმი XV საუკუნიდან.

ბუნებრივია, რომ აუცილებლად საჭიროა პროპორციულად გავანაწილოთ რესპუბლიკებზე ახლანდელი სავალუტო დავალიანება და საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირისათვის გადასახდელი ვალები. ესეც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ყველა რესპუბლიკა საფუძვლიანად და ყოველმხრივ მოვლინოს სახელმწიფოთა და ხალხთა ახალ მსოფლიო გაერთიანებას.

დასასრულ, ქვეყნის დაცვა ყოველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელშეუვალი უფლება და მოვალეობაა. რუსეთის არმია რუსეთის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს, ასევე კავშირის შემადგენლობიდან გასული ყოველი რესპუბლიკის საქმეა, რომ შექმნას საკუთარი სამხედრო ფორმირებანი ან საერთოდ არ შექმნას ისინი. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, მომავალში რუსეთმა რაიმე სამხედრო ხელშეკრულება დადოს ახალ სახელმწიფოებთან — ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. ეს საფუძვლად დაედება შემდგომ პოლიტიკურ-ეკონომიკურ შანტაჟს, რუსეთის საქმე კი არ არის, განაგრძოს ძველი და უიმედო თამაშები...

ჩემი პროგნოზი არ ითვალისწინებს რუსეთის არსებობას რომელიმე კონფედერაციის შემადგენლობაში, რომელიც არავის „ცენტრის“ გარდა არ სჭირდება...

* * *

მაშ ასე, განვაგრძოთ. რუსეთი მარტო რჩება. აუცილებელი როდია, ამ პროგნოზს ხორცი შეესხას, მაგრამ ის არც იმდენად ფანტასტიკურია, რომ მისი უგულებელყოფა შეიძლებოდეს. აუცილებლად საჭიროა, გავითვალისწინოთ განვლილი გზა და მზად ვიყოთ ასეთ ვითარებასთან ვაჟკაცურ შეხვედრისათვის, აგრეთვე ცხოვრების ყველა გარემოებაში მამაცური მოქმედებისათვის.

რუსეთი რჩება მარტო, მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ის გახდება მეორეხარისხოვანი სახელმწიფო, რომელიც ამოვარდება მსოფლიო პოლიტიკის ორკესტრიდან? ძალზე ცდებიან ისინი, რომლებიც ამას ითვალისწინებენ და ვარაუდობენ. რუსეთი რჩება ძატერიკად, ევრაზიულ კონტინენტად მთელი ნედლეულის ძარაგითა და საწარმოო პოტენციალით, ინტელექტუალური ძლიერებით და, თუ საჭიროა შეხსენება, რაკეტულ-კოსმოსური კომპლექსითა და მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი არმიით. ყოველივე ამის ერთობლიობა მას ტოვებს დიდ სახელმწიფოთა შემადგენლობაში. და ამას კვლავ რომ არ დავუბრუნდეთ, აღვნიშნავ, რომ ახალი რუსეთი უბრალოდ მხედველობაში აღარ მიიღებს თავისი ტერიტორიის საუფლისწულოებად დაყოფის შესახებ ახლა გააქტიურებულ იდეებს. ამისათვის უკვე აღარ ეცლება რუსეთის ხალხსა და მთავრობას.

ძალებმოკრებილი რუსეთი ბოლოს და ბოლოს თვითშეცნების გზას გაჰყვება და დაინახავს თავის ხალხებს, მათ ბედს, პრობლემებსაც, იმედებსაც. მართლაც, ისე როგორ უნდა დაბრმავდე, რომ არ იცოდე და არ უწყოდე ჩვენი ვოლგისპირელი ძმების ბედი, რომლებთანაც ერთად ჩვენ ასწლეულების განმავლობაში მხარდამხარ ვიცავდით სამშობლოს დამოუკიდებლობას. ან განა ბევრი რამ ვიცით ბაშკირებსა და ყალმუხებზე, რომელთა კავალერია რუსული არმიის სიამაყეს წარმოადგენდა? და რა იციან რუსებმა ალტაელებზე, რომლებმაც თავისთვის, ჩვენთვის და კაცობრიობისათვის შემოგვინახეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურა? ახლა ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ხალხების სულიერი სიუხვე, სიკეთე და გულახდილობა — განა გახდნენ კი ისინი ჩვენი საერთო ბედის შემადგენელნი და შევიდა კი მთლიანად მათი სულიერი გამოცდილება რუსეთის საერთო ცხოვრების შინაარსში? აი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, თავისი ეროვნული ხასიათი ნარტების ეპოსით რომ შექმნეს, განა ვუგებთ მათ ჩვენ, რუსები, ყოველმხრივ და გულში ჩამწვდომად? დახეთ, მე ჩვენი შიდარუსული ეროვნებათაშორისი პრობლემების მხოლოდ ნაწილი ჩამოვთვალე, მაგრამ ეს ჩამოთვლაც საკმარისია, რომ რუსეთის ცხოვრების მრავალფეროვნება და მისი შეცნობისა და ათვისების მნიშვნელობა დავინახოთ.

ჩვენ გველის მძიმე მუშაობა სრულიად რუსეთის სამეურნეო კავშირების, ბაზრის აღსადგენად და გლეხობის აღდგენა-აღორძინება, საჭიროა ცენტრალური რუსეთის, ვოლგისპირეთისა და რუსული ჩრდილოეთის განვითარების პროგრამა. აღორძინდება აქ ცხოვრება — აღდგება რუსეთი, და სწორედ რუსეთის ამ ისტორიულ ცენტრში გადაწყდება საშობლოს ბედი. ურალის, კუზბასის, ციმბირის მთელი რიგი რაიონების კრიზისული მდგომარეობის დროს კატასტროფა რუსეთის ცენტრში უკვე რეალობაა, და ახლა არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სათავეების რეანიმაციაა.

დაძაბულობითა და თვითჩაღრმავებულობით უნდა ვივარაუდოთ ისტორიული ხსოვნისა და სულიერების აღორძინება. მიუხედავად კულტურულ-ისტორიული დარბევისა, რითაც მდიდარია უკანასკნელი ათასწლეულები, რუსეთმა და მისმა ხალხებმა შექმნეს ისეთი კულტურა და შეიძინეს ისეთი სულიერი გამოცდილება, რომ ისინი გასცდნენ ეროვნულ ჩარჩოებს და საყოველთაო-ისტორიულ მოვლენად იქცნენ. ვიცით მათი მოცულობა და შინაარსი, წარმოდგენილი გვაქვს რუსეთის ხალხებთან მათი დაბრუნების გზები. ჩვენს შეგნებაში მასობრივი კულტურის უსულგულო საცხონელის დანერგვისათვის მებრძოლებმა როგორადაც უნდა იწინასწარმეტყველონ რუსეთის ჩამორჩენილობა, რუსული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობა უდავოა, და ახალი რუსეთის ამოცანაა, თავისი მოქალაქეები აღზარდოს ამ ეროვნულ-ხალხურ საფუძველზე.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების თვითგამორკვევა ახალ პირობებს შექმნის იდეოლოგიური და კონფესიონალური (სარწმუნოებრივი) პროცესების თანაფარდობისათვის. ეს პირობები მოითხოვენ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სიცხადეს და არაორაზროვნობას, ისინივე, უთუოდ, ახალ იმპულსს მისცემენ კონფესიების განვითარებას, რაც რუსეთის ხალხების ეროვნულ ბედს განსაზღვრავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსებისა და სხვა ხალხებისათვის, რომელთაც თავისი ბედი ქრისტიანობას დაუკავშირეს, მკვეთრად გაიზრდება მართლმადიდებლობის მნიშვნელობა, ხოლო სახელმწიფოსაგან გამოყოფილი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია მორწმუნეთა სულიერი მოძღვრებითა და ათეისტებს შორის თავისი ყოფნით განავითარებს და განამტკიცებს საზოგადოების ზნეობრივ საფუძვლებს, მით უფრო საჭიროა, ზუსტად განსაზღვროთ სახელმწიფო — სახელმწიფო იდეოლოგია, რათა მან ხელი შეუწყოს ერთობას რუსეთის ცხოვრების მოწყობის საქმეში და სხვადასხვა კონფესიისა და მსოფლმხედველობის თანაარსებობას.

* * *

ყოველივე ის, რაც ითქვა, კიდევ ერთ პატიოსან დასკვნას მოითხოვს — ჩვენ გველის მძიმე ბედი, დაძაბული შრომა და შეგნებული თვითშეზღუდვა. პირველად არ ხდება ეს რუსეთში, რომელსაც ახსოვს ივანე კალიტას დრო, XVII საუკუნის არეულობა, ომისშემდგომი ჟამთა სიავე. გაუძლო მაშინ რუსეთმა, გაუძლებს მომავალშიც, თუ ყველა გაიგებს, რომ უამისოდ ხალხი სრული არ იქნება, რომ ურუსეთოდ მსოფლიო წარმოუდგენელია. „ჩვენ რუსები ვართ, ჩვენ ყველაფერს დავძლევთ“, — უთქვამს დიდ სუვოროვს. დაე ასე იყოს.

რა ვუყოთ დანარჩენ მსოფლიოს? განა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ქსენოფობია (უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი) ჩვენი ისტორიული პერსპექტივა გახდება?

არა, რა თქმა უნდა. რუსეთი კვლავაც გულღია იქნება მსოფლიოსათვის, ოღონდაც ეს გულღიაობა თვისებრივად შეიცვლება. ნაცვლად მსოფლიოს იდეოლოგიური ექსპანსიისა, რომელიც ემყარებოდა ეკონომიკურ დოტაციას საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე, რუსეთი მიბრუნდება მსოფლიოსაკენ თავისი ამოუწურავი სულიერი და კულტურული გამოცდილებით, რასაც თავისუფლად ამოირჩევს ყველა, ვისაც ის გამოადგება. ის მზად არის, როგორც ადრე, თავისუფალი არჩევით შეითვისოს ყოველივე საუკეთესო სხვა ხალხების კულტურული გამოცდილებიდან. მაგრამ ამიერიდან ის არავის მისცემს იმის ნებას, რომ უკარნახონ მას, თუ როგორ მოიქცეს და რა აკეთოს. საკუთარ სახელს რომ იბრუნებს, ამით რუსეთს უბრუნდება ღირსება და საკუთარი ისტორიული მიზანი.

რუსეთი ერთიანი სულისკვეთებით განიმსჭვალა.

„ლიტერატურნაია როსია“
№ 4, 1990 წ.

ნოდარ შამანაძე

მერჯევის გაუქმებულ და გაპარტახებულ ეკლესიაში ომის წინა წელს თუ შეხვიდოდით, თქვენს ყურადღებას უეჭველად მიიპყრობდა ჭერთან ახლოს კედელზე ნახშირით წარწერილი: „დღეს აქ ვქეიფობთ ამბროსი, აკაკი, იაკობი, გიორგი და ჭაჭია შამანაძეები. ხვალ კი ჯარში მივდივართ. უფალო, თუ სადმე ხარ, გზა დაგვილოცე!“

ეს წარწერა მოქეიფე ჭაბუკთა მშობლებს სულ მალე სანანებლად გაუხდათ. ამბროსის მამამ ისღა იღონა, ომის დაწყებისთანავე ეკლესიასთან მიიყვანა იალაღზე ნებივრად გაზრდილი ბუღა და უფალს შესწირა, თანაც შესთხოვა: ჩემს უგნურ ბიჭს ცელქობა აპატიე და ფრონტიდან უვნებელი დამიბრუნეო.

თითქოს მსხვერპლშეწირვამ გაჭრაო, პავლემ მესამე დღეს შვილის იმედიანი ბარათი მიიღო.

პირველ ხანებში საქმე მართლაც კარგად მიდიოდა, ჩანთააკიდებული ფოსტალიონი თვეში ორ-სამჯერ მაინც მიაკითხავდა ხოლმე პავლეს და მერე იქიდან გვარიანად შემთვრალ-შეჭიკჭიკებული მოღიღინებდა. 43 წლის გაზაფხულზე კი წერილები შეწყდა.

პავლე საოცრად კეთილი და გულთბილი კაცი იყო, მეზობლობასა და ნათესაობაში ბადალი არ ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ მისი დარდ-ვარამი ცეროდენებსაც გვაწუხებდა. ამბროსის წერილს ჩვენც მოუთმენლად მოველოდით.

გახსენება

ივნისის წყნარი, მზიანი დღე იყო. მე და ჩემი თანასოფელი ფილიპე ევსევის-ძე ბერიძე წისქვილიდან შინ ვბრუნდებოდით. თოფრაკებით ნახევარ-ნახევარი ბათმანი ფქვილი მოგვქონდა. ივანწმინდა რომ ამოვიარეთ და ქემერტელიძეების შელმართიც ამოვათავეთ, ღობის პირას, კაკლის ჩრდილში, ჩვენი სოფლის ფოსტალიონი დავინახეთ, წამოწოლილიყო, მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო და ჩასძინებოდა. ჩანთა კი იქვე ედო ცხვირწინ.

— ნეტაი, ვის წერილებს ძინავს ახლა იმ ჩანთაში?! — მითხრა ფილიპემ.

— მივიდეთ, ვნახოთ!

ფილიპე შეყოყმანდა. ჩემი თოფრაკი წინ დავუდე:

— ამას მიმიხედე, მე მივალ!

ფოსტალიონს ფეხაკრეფით მივუახლოვდი, დავჯექი შორიახლოს და გავისუსე. რომ დავრწმუნდი ღრმად ძინავს-მეთქი, ჩანთას მივსწვდი, დავითრიე და წერილებს გაფაციცებით დავუწყე თვალიერება. სამკუთხა ბარათი მხოლოდ ხუთიოდე აღმოჩნდა. მისამართები გაკრული ხელით იყო დაწერილი და ასოების გარჩევა გამიჭირდა. ერთ ბარათზე გვარი და სახელი შედარებით ადვილად ამოვიკითხე. თვალს არ დავუჯერე. ხელახლა წავიკითხე. სიხარულით ხელები ამითრთოლდა, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ის წერილი უბეში ჩავიდე, დანარჩენები კი ჩანთაში ჩავაბრუნე და სწრაფად წამოვდექი. ფილიპე თვალს მადევნებდა. ბარათი უბეში რომ ვიკარი, თურმე ესეც შემამჩნია:

— ვისი წერილი აწაპნე?

სიხარულის დამალვა ძნელი ყოფილა. ვუთხარი. ფილიპემ ხელი წამატანა:

— მანახვე!

— წავიდეთ და განახვებ! — შევპირდი. ის წინ გადამიდგა: — მანახვე, თვარა ვიყვირებ!

ამოვიღე და ვუჩვენე. თვალი ვერ მოვასწარ, მან ბარათი ისე წამტაცა და გაიქცა. გამოვეკიდე. ორშარაში რომ შევუხვიეთ და ის იყო, უნდა დავწეოდი, ფილიპემ ყვირილი გაბა:

— პავლე ბიძია, ამბროსის წერილია, ამბროსისი!..

ასეთი შეძახილი იმ დროს მკვდარსაც კი ფეხზე წამოაყენებდა. ეზოებში ვინც იყვნენ, ყველანი ღობეებს მოაწყდნენ. ზოგი შარაგზაზეც გამოვიდა. გამოჩნდა პავლეც. ჯოხზე დაყრდნობილი მოხანხალებდა. ფილიპე ხელში აიტაცა და შუბლზე აკოცა. შევატყვე, ხელები უკანკალებდა. სათვალე ორჯერ გაუვარდა, სანამ მოირგებდა. ბარათი რომ გაშალა, ემცხეთა: რუსულად იყო დაწერილი. დაიწყო კითხვა. ჯერ წამოწითლდა, მერე თანდათან მკვდრის ფერი დაედო და უცებ მოცელილივით ჩაიკეცა. შეიქნა წივილ-კივილი, გადაძახილ-გადმოძახილი. განსაკუთრებით კატუშა იფოფრებოდა, პავლეს პატარა გოგო. მივიხედ-მოვიხედე, ფილიპე აღარ ჩანდა, წყალი რომ მოარბენინეს და გულწასულს ასხურეს, დრო ვიხელთე და მეც გამოვიძურწე, ცოცხალ-მკვდარი გავუყევი გზას შინისაკენ.

იმ ბარათის ამბავი კი მთელ სოფელში მეხივით გავარდა იმ დღესვე. უფროსი ლეიტენანტი, გვარად რიაზანოვი ფრონტიდან იწერებოდა: „ვერაგი ფაშისტის ტყვიამ ხელიდან გამომაცალა ერთგული ძმა და მეგობარი ამბროსი პავლეს-ძე. ჩემი ხელით გავუთხარე საფლავი და მივაბარე კურსკის მიწას. შეგიძლიათ იამაყოთ სამშობლოსათვის თავდადებული შვილის უკვდავი სახელითო“.

კიდევ გახსენება

1970 წლის ორ სექტემბერს თბილისში, შაორის რესტორანში, ვისხედით მე, ფილიპე ბერიძე — უკვე ცნობილი კრიტიკოსი და მთარგმნელი, მისი ძმა ადამი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და ანზორი — ადამის ვაჟიშვილი. იმ ზაფხულს ანზორი ინსტიტუტში ჩაირიცხა და ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად შევიკრიბეთ.

თამადა მე ვიყავი. კარგად რომ შევზარხოშდით, ფილიპემ ჭიქა აიღო და სრულიად მოულოდნელად პავლე შამანაძის შესანდობარი წარმოთქვა. საიდან სადაო, მხრები აიჩეჩა ადამმა და გაიცინა. მეც გავიცინე. ფილიპეს ასეთ შემთხვევაში უეცარი აფეთქება სჩვეოდა, ახლა კი მშვიდად გადმოგვხედა და ნაღვლიანი ხმით გვითხრა:

— წუხელ პავლე დამესიზმრა. თავის ჭიშკარს მოყრდნობოდა და გზასავე ყურებოდა. რომ დამინახა, გამიცინა, ფინიც ხელი დამიქნია. მე რამდენიმე ნაბიჯი წინ წავედგი და შევჩერდი. მოდი, მოდი, რაღას უყურებო, მიყვირა და ჭიშკრიდან გადმოიწია. მივედი თუ არა, აღარ მახსოვს... რომ გამომეღვიძა, ისევ მისი ხმა ჩამესმოდა ყურში...

ფილიპე იმ ღამეს ტრაგიკულად დაიღუპა, პავლეზე ფიქრიც თან გაიყოლა.

რა ბედი ეწიათ იმ ბიჭებს, ამბროსისთან ერთად მერჯევის სასაფლაოზე რომ იქეიფეს და თავიანთი ვინაობა ეკლესიის კედელზე ნახშირით მიაწერეს? ჭაჭია ილიკოს-ძე შამანაძე ომის წინ ლვოვში იმყოფებოდა. მის შემდეგ, რაც იქ სოდომ-გომორობა გამეორდა, ჭაჭიასი ვერც ავი გაიგეს და ვერც კარგი. ჩაიარა უკვალოდ გულანთებული ჭაბუკის სიცოცხლემ. ხოლო მისმა ძმამ გიორგიმ ყირიმის მიწაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. იაკობ და აკაკი ფილიმონის-ძე შამანაძეებსაც ბიძაშვილების ხვედრი ხვდათ. ორივენი ქერჩში იბრძოდნენ და მტერთან შეტაკებისას დაიღუპნენ. ჯერ აკაკის „შავი ქაღალდი“ მოვიდა, მერე — იაკობისა.

ფილიმონსა და ილიკოს კიდევ ჰყავდათ ბიჭები, რომლებიც ომის ქარიშხალს გადაურჩნენ, დაცოლშვილდნენ, გამრავლდნენ. პავლე კი კატუშას იმედითღა სულდგმულობდა. გადაწყვიტა, ადრიანად დაოჯახებინა. სასიძოც მალე გამოჩნდა — არგვეთელი ჟორა ბაზაძე.

სასიმამრომ ჟორას ულტიმატუმივით წაუყენა: გოგოს იმ პირობით მოგათხოვებ, პირმშოს მე თუ მომცემ, შამანაძედ გამაზრდევინებ და, ამგვარად, მოდგმას და წარმომავლობას შემანარჩუნებინებო. სასიძო დასთანხმდა. გაუმართლათ, კატუშას ბიჭი ეყოლა. ნუგზარი დაარქვეს, პავლეს მამის სახელი.

პავლემ სიცოცხლის ბოლო წლები შედარებით მშვიდად გაატარა. ხუმრობა ხომ არ იყო, ალმასივით ბიჭი ეზრდებოდა, მემკვიდრეს სტოვებდა.

გავიდა წლები. „წინაპართაგან წავიდა ყველა...“ ომი რომ დამთავრდა, პავლეს დიდხანს აღარ უცოცხლია. მას მეუღლეც მალე მიჰყვა. მოულოდნელი ჟორას გარდაცვალება იყო. უეცრად გახდა ავად, ექიმის მოყვანაც ვერ მოასწრეს. კატუშამ ქმრის სიკვდილს ვერ გაუძლო, მალე ისიც მიწას მიაბარეს.

ნუგზარ ჟორას-ძე შამანაძე სანაქებო ვაჟკაცი დადგა, შრომა-გარჯით თავი ისახელა, ბაბუის დანატოვარ ოჯახს სახელიც შემატა და დოვლათ-ბარაქაც. მეუღლეც გამრჯე და ხელგამომავალი გამოადგა, უკვე სამი შვილის დედაა, ერს და ქვეყანას მომავალს უზრდის.

ამას წინათ პავლეს ეზო-კართან გავიარე. ჭიშკრის წინ ხუთიოდე წლის ბუთხუზა ბიჭუნა იდგა.

— ვისი ხარ, ვაჟკაც? — ვკითხე.

— ნუგზარ ბაზაძის.

— ბაზაძის თუ შამანაძის?

— ნუგზარ ბაზაძის, — გამიმეორა თითქოს ჯიუტად. გავვოცდი დედაბერს გადავხედე მოპირისპირე ეზოში, ჩვენსკენ რომ იყურებოდა. მივესალმე და ნუგზარზე სიტყვა ჩამოვუგდე. მან წარბები შეკრა და ნაღვლიანად მიპასუხა: ნუგზარმა ჟორას მიერ სიმამრისადმი მიცემული სიტყვა გატეხა, შამანაძეობა უარყო და ბაზაძეობაზე გადავიდაო.

ალგეთი

შალვა ამინაშვილი საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მუშაა. ათეული წლები აქვს გატარებული ფიზიკურ შრომაში და მაინც ლიტერატურის სიყვარულით ცხოვრობს ამქვეყნად.

ახალგაზრდობაში საბავშვო მოთხრობებს აქვეყნებდა. პერიოდულ პრესაში დაბეჭდილია მისი ლიტერატურული წერილები. მთელი სიცოცხლე წიგნებს აგროვებს. ამიტომ მოიყარა მის ბიბლიოთეკაში თავი 18000 წიგნმა, უამრავმა პერიოდულმა გამოცემამ. ბოლო წლებში ქართული მწერლობის ენციკლოპედიურ ლექსიკონზე მუშაობს. შედგენილი აქვს ორიათასი მწერლის ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფიული ცნობები (მეხუთე საუკუნიდან დღემდე).

იგი განსაკუთრებით მივიწყებულ სახელებს ეძებს, ცდილობს, შუქი მოჰფინოს იმ ადამიანთა შემოქმედებას, რომელთაც გარკვეული კვალი დატოვეს ჩვენ- ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

მკითხველს ვთავაზობთ შალვა ამინაშვილის თვალსაზრისს ტოპონიმ „ალგეთის" თაობაზე.

ტოპონიმიკა საკმაოდ რთული მეცნიერებაა და ადვილად არ ექვემდებარება ზერელე ანალიზსა და ჰაიჰარა დასკვნებს. არც ზეპირი გადმოცემების ნდობა შეიძლება ყოველთვის, რადგან იგი ზოგჯერ ძველთაძველი რომ გვგონია, სინამდვილეში ვინმე დილეტანტის ნააზრევია მხოლოდ. სავალალოდ სწორედ ეს დილეტანტური მოსაზრებები ვრცელდება და მკვიდრდება სწრაფად.

ალგეთის ხეობაში გავრცელებულია სრულიად ყალბი და მცდარი მოსაზრება, თითქოს მდინარე ალგეთს ეს სახელწოდება თათრებმა დაარქვეს და ნიშნავს „აიღე და წადი". არ არის ეს მართალი და, რაც მთავარია, შეურაცხყოფს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას.

ამ ყალბი მოსაზრების მომხრეებს ავიწყდებათ ან არ უწყიან, რომ მდინარე ალგეთს — ალგეთი ერქვა მაშინაც კი, როცა თათრები (ოსმალები) სულაც არ არსებობდნენ ჩვენს მეზობლად და ჩვენთან არც მტრობა შეეძლოთ და არც მოყვრობა. თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ოსმალების წინაპრები — ოღუზები დასახლდნენ XI საუკუნეში, ხოლო საქართველოში შემოსევებს ისინი XV საუკუნიდან იწყებენ (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 12-13). მდინარე ალგეთს კი სახელწოდება „ალგეთი" მოჰყვება მთელი ათასწლეულებით, ადრე, ვიდრე საქართველოში თურქეთის შემოსევები დაიწყებოდა. ამის დასამტკიცებლად რად ღირს მარტო ამირანის ეპოსი: „ადგა ამირან წავიდა, ამირან და ძმანი მისნი, ცხრა მთა გადაიარეს და მეათენი ალგეთისნი". ამირანის ეპოსი კი, როგორც გამოჩენილი ისტორიკოსები, მკვლევარები, მეცნიერები და მწერლები (ივ. ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, მიხეილ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია) ერთხმად ადასტურებენ, შექმნილია ანტიკურ ხანაში, ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე. ამ მკვლევარებს ზურგს უმაგრებთ ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტესაგან და ბერძენი პოეტის აპოლონიოს როდოსელისაგან მომდინარე ცნობებიც ამირან-პრომეთეს შესახებ.

ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ნათქვამია: „კლდეკარი აღაშენა ლიპარიტ ბაღუაშმან (IX საუკუნე. შ. ა.) და, არს მაღალს მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი. არა არს უწყებული. რით ეწოდა ალგეთი". („ქართლის ცხოვრება". ტ. IV. 1973 წ. გვ. 325). ამრიგად, ვახუშტთან არ დასტურდება ალგეთის სახელწოდების თათრული წარმომავლობა და გავრცელებული მოსაზრება მცდარია.

თამარ მეფის ისტორიკოსი თავის თხზულებაში, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ჰქვია, ახსენებს ალგეთის ხეობას, „ალგეთის პირს": „დიდთა ლაშქართა შემყრელნი დადგეს დახოთა შინა, რომლისა სიმრავლითა აღივსნეს მტკურის პირი, ალგეთის პირი, კციის პირი და ქურდვაჭრის პირი, ესე ოთხივე მდინარენი ტფილისით ყარჩლამდის" („ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1855 წ. ტ. II; გვ. 64).

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ესპანეთის ბასკეთშიც, რომელიც ქართველების მონათესავე ტომად ითვლება, აღმოფილა ტოპონიმი „ალგეთი", მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ მდინარე ალგეთის სახელწოდება მომდინარეობს ორ ათასი წლის წინა დროიდან.

საქმეში ჩაუხედავები თურქულ სიტყვა „გეთ"-ს ეჭიდებიან, იმას კი ველარ ითვალისწინებენ, რომ „გეთი" და „ეთი" სოფლის, ადგილმდებარეობის, ქვეყნის და სხვა ტოპონიმების ჩვეულებრივი, წმინდა ქართული დაბოლოებაა და სადაურობის მიმთითებელია. საქართველოში ხომ ტოპონიმების დაბოლოების ყველაზე გავრცელებული ფორმაა „ისი" და „ეთი" „ისი"-თ ბოლოვდება: „თბილისი, კრწანისი, ბოლნისი, დმანისი, კლდეისი, დელისი, წავკისი, კუმისი, ნიჩბისი, მანგლისი, ფარცხისი, შინდისი და სხვა. გაცილებით მეტია, უთვალავია „ეთი"-თ დაბოლოებული ტოპონიმები: თიანეთი, ზომლეთი, ხვედურეთი, არგვეთი, აჯამეთი, თელეთი, დუშეთი, თონეთი, გომარეთი, კიკეთი, გოლთეთი, წყნეთი, ბურნაშეთი, ბესლეთი, ბარალეთი, კარალეთი, ასურეთი და უამრავი სხვა. ასეთივე დაბოლოება აქვს ქართულად მთელ რიგ ქვეყნებს, მხარეებს, კუთხეებს, სახელმწიფოებს: კახეთი, იმერეთი, ჯავახეთი, სვანეთი, არაბეთი, ინდოეთი, უზბეკეთი, სომხეთი, მოლდავეთი, ალბანეთი, ჩინეთი, რუმინეთი, პოლონეთი, უნგრეთი და ა. შ. აქ „ეთი"-ა მთავარი და არა „გეთი". თუკი გვაქვს „ბეთი" (არაბეთი), „კეთი" (ტაჯიკეთი), „ზეთი" (ყირგიზეთი), „ქეთი" (თურქეთი), „ნეთი" (საბერძნეთი), „ვეთი" (ქაშვეთი), „ლეთი" (ბაზალეთი), „ხეთი" (ქვიშხეთი) და სხვა, რატომ არ უნდა გვქონიყო „გეთი" (დაბოლოებული ტოპონიმები: ალგეთი, ოზურგეთი, ენაგეთი, ინგეთი (ახმეტის რაიონშია), საფრანგეთი და და სხვა.

ამრიგად, აშკარად მცდარი და წინდაუხედავია იმათი მოსაზრება, ვინც ალგეთს თათრულ წარმომავლობასთან აკავშირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოვლაბელები და კოსმოსი

კაცობრიობის განვითარებაში უცხოპლანეტელების მონაწილეობის (არქეოასტრონავტული) თეორიის პირველი ნაწილი — იდეა უცხოპლანეტელების არსებობისა, მრავალი საუკუნის წინათ ჩამოყალიბდა. რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ტიტუს ლუკრეციუს კარუსი თავის ლექსში „საგანთა თვისებების შესახებ“ წერდა სხვა პლანეტებზე მცხოვრები სხვაგვარი ადამიანებისა და ცხოველების არსებობის შესახებ. თუმცა იგი პირველი არ ყოფილა. სხვა პლანეტებით უაღრესად იყვნენ დაინტერესებულები ანტიკური ხანის მოაზროვნეებიც. კოპერნიკის, ჯორდანო ბრუნოს რევოლუციური იდეები სამყაროს აგებულების და განსაკუთრებით უცხოპლანეტელების არსებობის თაობაზე განავრცეს რაციონალისტმა ფილოსოფოსებმა ვოლტერმა და კანტმა. XIX საუკუნეში უკვე სერიოზულად მსჯელობდნენ მთვარესა და მარსზე სიცოცხლის არსებობაზე. ეს ტენდენცია ლიტერატურაშიც აისახა. მაგალითად, ნერუდას „კოსმოსური სიმღერებში“.

XIX საუკუნეშივე განვითარდა არქეოასტრონავტული თეორიის მეორე შემადგენელი ნაწილი — იდეა კაცობრიობაზე უცხოპლანეტელების გავლენის შესახებ. იგი გამოთქვა ინგლისელმა მწერალმა ჰერბერტ უელსმა რომანში „სამყაროთა ბრძოლა“ (გამოიცა 1894 წელს), სადაც აღწერილია მარსელების თავდასხმა დედამიწაზე.

არქეოასტრონავტული თეორიის ჩამოყალიბებლად ითვლება ამერიკელი შარლ ჰოი ფორსტი. მან ოთხ სქელტანიან წიგნში მოუყარა თავი ზღვა მასალას, რომლითაც ფაქტობრივად ადასტურებდა თავის თეორიას. ფორსტის თეორიის ძირითადი იდეა ის იყო, რომ დედამიწა და მისი მცხოვრებლები უცხოპლანეტელთათვის საცდელი ტერარიუმი თუ ლაბორატორიაა.

ფორსტმა 1931 წელს დაარსა ჟურნალი (ეს ჟურნალი დღემდე გამოდის შეცვლილი სახელწოდებით „ეჭვები“), რომელსაც წაუმძღვარა სიტყვები: „დაიცავით მეცნიერება მეცნიერებისაგან“.

ფორსტის თეორიას იზიარებდა ცნობილი ფრანგი ფიზიკოსი და ქიმიკოსი ჟაკ ბერქე. იგი შეეცადა, უცხოპლანეტელთა კვალი დედამიწაზე არქეოლოგიაში, რელიგიაში, მისტიკურ მოვლენებში მოენახა. ინტერესის ახალი ტალღა გამოიწვია დესმონდ ლესლის და ჯორჯ ადამსკის წიგნმა „მფრინავი თეფშები დაეშვნენ“. წიგნი გამოვიდა 1953 წელს და დაიკანონა ტერმინი VFO (ამოუცნობი მფრინავი ობიექტი).

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს არქეოასტრონავტული თეორიის საბოლოო ვარიანტი ჩამოაყალიბა ერიხ ვან დენიკენმა წიგნში: „მოგონებები მომავალზე“ (გამოიცა 1968 წელს).



დენიკენის მცდელობა დააგვირგვინა ამერიკელმა იურისტმა გენე ფილიპსმა, რომელმაც 1937 წლის 14 სექტემბერს, ჩიკაგოში, ჩამოაყალიბა წარსულის კოსმონავტიკის შემსწავლელი საზოგადოება. დღეისათვის მსოფლიოს ეს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ცენტრი აერთიანებს მრავალი ქვეყნის იმ საზოგადოებებს, რომლებიც ცდილობენ, დაამტკიცონ უცხოპლანეტელების გავლენა ცივილიზაციის განვითარებაზე.

ვან დენიკენის თეორიის ძირითადი პოსტულატებია:

ა) უხსოვარ დროში დედამიწას რამდენჯერმე ესტუმრნენ უცხოპლანეტელები;

ბ) უცხოპლანეტელებმა ხელოვნური მუტაციის გზით ჰუმანოიდის სახე მისცეს დედამიწის მაშინდელ მობინადრეებს;

გ) უცხოპლანეტელების ვიზიტები დედამიწაზე აისახა უძველეს რელიგიებში, რიტუალებში, ლეგენდებში, ზღაპრებში, აგრეთვე საკულტო საგნებსა და ნაგებობებში.

ამ მოსაზრებების პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ჯერაც არ არის მიგნებული, მაგრამ ერიხ ვან დენიკენი თვლის, რომ უცხოპლანეტელებს კარგად ესმოდათ, თუ რა საშიშროებები ემუქრებოდა (მიკროორგანიზმები, დრო, კატაკლიზმები, ომები, ცვლილებები ადამიანების მსოფლმხედველობაში) მათ მიერ დატოვებულ კვალს და ამიტომ, თავიანთი ნიშნები „გადაინახეს“ ადამიანის გენში, მეზობელ „მკვდარ“ პლანეტებზე (კლდოვანი წარმონაქმნები კეპლერის კრატერში, ლუბნიცკის კრატერის პირამიდები მთვარეზე, მარსის პირამიდები), ჩამწერ სატელიტებში ჩვენს გალაქტიკაში, რომლებიც აღნუსხავენ დედამიწიდან წამოსულ სატელევიზიო და რადიო გადაცემებს, ასტეროიდების სარტყელში (ფრანგი მეცნიერის მიშელ პაპაგანისის თეორია), ატომურ აფეთქებებში (ინგლისელი ასტრონომის დუნკან ლუნანის თეორია) „დააკოდირეს“ ადამიანის ნახელავში (შენდობის გუმბათი ისრაელში, ქალაქ აქსუმის ნაშთები მარიანის კათედრალის ქვეშ ეთიოპიაში, მუსულმანთა წმინდა ქვა ქააბში, ჯიმუს დინასტიის ლითონის სარკეები იაპონიაში და სხვა).

დენიკენის აზრით, ყველა ამ მოვლენას აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი — მათ ყველას ძებნა სჭირდება! მართლაც დედამიწის ორი მესამედი წყლითაა დაფარული, ნაწილი უდაბნოებით, გაუვალი ტყეებით, ყინულით, თითქმის არაფერი ვიცით კოსმოსზე.

სწორედ უცხოპლანეტელების კვალის ან მემკვიდრეობის მისაგნებად შეიქმნა სპეციალური პროექტები: უცხოპლანეტელ ცივილიზაციათა და უცხოპლანეტელთა ნარჩენების ძიება.

კაცობრიობის განვითარებაზე უცხოპლანეტელთა გავლენის თეორიის მიმდევრებმა თავიანთი დამამტკიცებელი არგუმენტები გაანაწილეს რამდენიმე ჯგუფში (ადამიანები, ბუნება, ხელოვნების ნიმუშები, ლეგენდები და ა. შ.). პირველ ჯგუფში თავმოყრილია ცნობები უძველესი ცივილიზაციების არსებობასა და იმ ბუნებრივ კატაკლიზმებზე, რომლებმაც ეს ცივილიზაციები აღგავეს პირისაგან მიწისა.

XIX საუკუნეში სორბონის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველებისა და ანატომიის ფაკულტეტის პროფესორმა ჯორჯ ლეოპოლდ დე კუვემ თავის ნაშრომში „დედამიწის ზედაპირის გლობალური ცვლილებების შესახებ“ ჩამოაყალიბა ახალი თეორია კონტინენტების და სიცოცხლის წარმოშობაზე. კუვეს აზრით, დედამიწაზე ცივილიზაციის რამდენიმე ეტაპი არსებობდა, ყოველი მომდევნო წინამორბედზე უფრო განვითარებული იყო და ისინი განადგურდნენ ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად. ასეთი კატაკლიზმა რამდენიმე მოხდა. უკანასკნელია ბიბლიური წარღვნა.

თეორიას კატაკლიზმებზე ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შორის ყველაზე ცნობილია ამერიკელი მკვლევარი იმანუილ ველიკოვსკი. მან გააერთიანა ასტრონომიული, გეოლოგიური, ისტორიული და მითოლოგიური მონაცემები კატაკლიზმების შესახებ და მივიდა დასკვნამდე, რომ 3500 წლის წინათ პლანეტა ვენერა ძალიან მიუახლოვდა დედამიწას (ეს თარიღი ემთხვევა ებრაელების გადასახლებას ეგვიპტიდან), აზვირთებულმა წითელმა ზღვამ წალეკა ეგვიპტე; 52 წლის შემდეგ ვენერა კვლავ მიუახლოვდა დედამიწას, გადახარა მისი ღერძი, რის გამოც მზე აღარ ჩადიოდა (ეს აღწერილია ძველ აღთქმაში). გავიდა საუკუნეები, ვენერამ შეცვალა მარსის მოძრაობის ტრაექტორია, ახლა მარსი მიუახლოვდა დედამიწას, რასაც ახალი გლობალური ცვლილებები მოჰყვა.

არსებობს სხვა, მეტ-ნაკლებად განსხვავებული თეორიები კატაკლიზმების შესახებ. ყველაზე გავრცელებული ასეთი თეორიის ავტორები არიან ინგლისელი მწერალი, მკვლევარი უოლტერ რაიმონდ დრეიკი და ამერიკელი ენათმეცნიერი,

ანთროპოლოგი როჯერ უილიამს უესკოტი. მათი თეორია ეყრდნობა უძველეს ლიტერატურას, არქეოლოგიურ მონაპოვრებს და ამიტომ ითვლება იგი ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ თეორიად კატაკლიზმებზე.

დედამიწის გარსის გაციებიდან ორი-სამი მილიარდი წლის შემდეგ ხმელეთი ერთ მთლიან კონტინენტს — პანგეას წარმოადგენდა. მას გარს, ერტყა ასევე ერთადერთი ოკეანე — პანტალასა. ლითოსფეროში მიმდინარე ცვლილებების ზემოქმედებით პანგეა ორ ნაწილად გაიყო. მათ შუა გაჩნდა პირველი ხმელთაშუა ზღვა — ტეთისი. ტეთისის ჩრდილოეთით აღმოჩნდა კონტინენტი ლაურასია — დღევანდელი ჩრდილო ამერიკა, ევროპა, ჩრდილო და შუა აზია, სამხრეთით გონდვანა — დღევანდელი სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ანტარქტიდა, ინდოეთი, ავსტრალია. უძველესი ლეგენდების თანახმად, დედამიწაზე პირველი ცივილიზაცია აღმოცენდა შორეულ ჩრდილოეთში გაცილებით ადრე, ვიდრე იგი ყინულოვან უდაბნოებად იქცეოდა. ადამიანის ღვთიური წინაპრები ზეციდან „ღმერთთა მიწაზე“, „უკვდავების კუნძულზე“ ჩამოვიდნენ, მოგვითხრობენ ლეგენდები და ეს იმას მოწმობს, რომ დედამიწაზე პირველი ჰუმანოიდები უცხოპლანეტელები იყვნენ.

ცივილიზაციის მეორე ციკლში ადამიანები ცხოვრობდნენ კონტინენტ ჰიპორბორეაზე, იქ, სადაც მზე არასოდეს ჩადიოდა. აპოლონი თეთრგედებშებმული ეტლით ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ჰიპორბორელებს, რაც შეიძლება საპლანეტთაშორისო ხომალდის სიმბოლოდაც ჩაითვალოს. ლეგენდები გადმოგვცემენ, რომ ისინი იყვნენ ახოვანნი, მბრწყინავ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ჰქონდათ ქერა თმა, თეთრი კანი და ცისფერი თვალები. ეს ადამიანები თეთრი რასის წინამორბედები არიან. როცა მზემ შეიცვალა მდებარეობა, დედამიწის ღერძი გადაიხარა და აყვავებული უკვდავების კუნძული უდაბნოდ იქცა.

კაცობრიობის მესამე თაობა ჩაისახა კონტინენტზე, რომელსაც ოკულტისტები უწოდებდნენ ლემურიას ან მუს. იგი ჰიმალაებიდან ავსტრალიამდე და ამერიკიდან ფილიპინებამდე იყო გადაჭიმული. პირველი ლემურიელები, ნახევრად ადამიანი გიგანტები, ტროპიკულ ტყეებში ცხოვრობდნენ. კანიონში ჰავი სუპაი ჰავაის კუნძულებზე მიაგნეს კლდის ნატეხს, რომელზედაც გამოსახულია მამონტს შერკინებული გიგანტური ადამიანი. კალიფორნიაში აღმოაჩინეს ოთხი მეტრის სიმაღლის გოლიათის ძვლები, რომელსაც ფეხზე ექვსი თითი ჰქონდა. ეს მიგვანიშნებს იმას, რომ მრავალი მილიონი წლის წინ დედამიწაზე ცხოვრობდნენ უძველესი რასის ადამიანები ან უცხოპლანეტელები.

დიდი თეთრი კუნძული მასზე გაშენებული ფანტასტიკური ქალაქით — შამბალა, მდებარეობდა უდიდესი ტბის შუაგულში. ეს ტბა გაწოლილი იყო ჰიმალაებიდან ავსტრალიამდე. მისი ფსკერია დღევანდელი გობის უდაბნო. გობის ჩინელები ჰან-ჩაის, დამშრალ ზღვას უწოდებენ. შამბალა მსოფლიოს სასულიერო კულტურის ცენტრი იყო. ღვთის ქერათმიანი შვილები — განმანათლებლები, ჯადოქრები, პლანეტა ვენერას მკვიდრნი ყოფილან. უძველესი ინდური ტექსტები, რომლებიც სანსკრიტამდე დაიწერა და შემდგომ ითარგმნა, მოგვითხრობენ შამბალელ ღმერთ-კაცებზე. მაგიური სახელები სვეტადვიპა (წმინდა მიწა), ჰირაიდვიპა (ოქროს მიწა), სპარსული შაჰნამე (მეფეთა წიგნი) მიგვანიშნებენ ცივილიზაციის არსებობაზე, რომელსაც შუმერები იხსენიებენ სახელით — დილმუნი და ტიბეტელები ეპოსში „ბარდო ტოდოლი“. ტიპურ ლემურიელს ჰქონდა უზომოდ დიდი თავი, ბრტყელი შუბლი, შუბლზე კი თხილისოდენა გამონაზარდი (მას მესამე თვალსაც უწოდებენ), რომელსაც ისინი იყენებდნენ ტელეპატიისათვის. მესამე თვალი გამოხატავდა კოსმოსური კავშირისათვის აუცილებელ მეექვსე გრძნობას. ეს გრძნობა დღევანდელ ადამიანს ძილშიღა შემორჩა. ლემურიელები პლანეტა ვენერიდან ჩამოსული მასწავლებლების დახმარებით სწავლობდნენ ვიბრაციულ ძალებს, შექმნეს მზისა და კოსმოსური ენერგიით მომუშავე რადიოტექნიკა, იყენებდნენ ელექტროენერგიას, ფლობდნენ ნახევარგამტარებს და ლაზერს. მათ ნათურებში არასოდეს ქრებოდა ცივი სინათლე. ლემურიელებმა იგრძნეს კატასტროფის მოახლოება და თავიანთი ცოდნა გაუზიარეს ატლანტიდელებს. ამერიკაში, ინდოეთსა და ჩინეთში გაავრცელეს თავიანთი კოსმოსური მოძღვრება, რომელიც მოგვიანებით ადამიანებმა რელიგიად აქციეს.

ატლანტიდა ყოველთვის იყო მიუწვდომელი, იდუმალებით მოცული ცივილიზაციის სიმბოლო. თუმცა ბრწყინვალე სასახლეების, ტაძრების, უძლეველი ფლოტის, არმიის, ატლანტიდელი ქალებისა და კაცების კვალი დღესაც მიუგნებელია. ლეგენდების თანახმად, ერთი მილიონი წლის წინათ დიდების ზენიტში მყოფი ატლანტიდის საზღვრები მოიცავდა ტერიტორიას ისლანდიიდან სამხრეთ ამერიკამდე. არსებობს რუკები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ ამ კონტინენტიდან როგორ დარჩა სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად რვაასი ათასი წლის წინ მხოლოდ ორი კუნძული — რუტა და დაიტია. ოთხმოცი ათასი წლის წინანდელი გლობალური გეოლოგიური ცვლილებების შემდეგ გადარჩა მხოლოდ რუტის ნაწილი — პოსეიდონისი, რომელიც ასევე ჩაიძირა 9564 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე. მაშინ ბრიტანული კუნძულები ევროპის, საჰარა კი ატლანტის ოკეანის ნაწილს შეადგენდნენ. თავიდან ატლანტიდელები ცხოვრობდნენ დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე.

გარეგნობით ისინი ძველ ბერძნებს ჰგავდნენ. მათ ჰქონდათ უაღრესად განვითარებული ფსიქიკა, ფლობდნენ სულიერ და მენტალურ ძალებს. ატლანტიდას მართავდნენ მეფე-ქურუმები თეოკრატიული მეთოდებით. ასეთი საზოგადოებრივი წყობა შემდგომ გავრცელდა ეგვიპტეში. ატლანტიდელების კოსმოსური რელიგიით სიკვდილი ნანატრი მოსვენების, სულიერი ამაღლების სიმბოლო იყო (ქრისტიანობა ჯერ სად იყო!?). პლატონი თავის დიალოგებში მოიხსენიებს თავის წინაპარს სოლონს, ძველი საბერძნეთის შვიდი ბერძნიდან ერთ-ერთს. მას 600 წელს ჩვ. წ. აღრიცხვამდე უმოგზაურია ეგვიპტეში. ქალაქ საისში იგი შეხვედრია ძველ ამბავთა ჟამთააღმწერლებს.

ჟამთააღმწერლებს მოუყოლიათ ჩაძირული კუნძულიდან ლტოლვილ[illegible] ფილოსოფოსი კრანტორი [illegible] აცხადებს, რომ 310 წელს ჩვ. წ. აღრიცხვამდე ეგვიპტეში უნახავს სვეტი, რომელზედაც ამოტვიფრული იყო ჩაძირული ატლანტიდის ისტორია. ატლანტიდელები აგებდნენ გაუგონარი სილამაზის სასახლეებს, გზებს, ნავსადგურებს, პირამიდებს, ქმნიდნენ გენიალურ ტექნიკურ შედევრებს, განსაკუთრებით ბრწყინვალე ყოფილა პოსეიდონის და კლეიტოს ტაძრები.

ტაძრებისკენ მიმავალი გზა თუჯით მოკირწყლული, გუმბათები კი სუფთა ოქროსაგან გამოკვეთილი. ლეგენდების თანახმად, ატლანტიდელებს ჰქონდათ მფრინავი აპარატები, ფოტო და ვიდეომოწყობილობა, იცნობდნენ რენტგენის სხივებს, ლაზერს. ფლობდნენ საშინელი ძალის კოსმიურ იარაღს. დაახლოებით ათი ათასი წლის წინათ ქრისტეს შობამდე კუნძული ვულკანმა გაანადგურა. იმასაც ამბობენ, რომ ბერმუდის სამკუთხედში თვითმფრინავების და გემების გაქრობის მიზეზი ის რადიაციაა, რომელსაც ასხივებს კუნძულთან ერთად ჩაძირული ატლანტიდების რადიაციული კრისტალი.

გასულ საუკუნეში ჰანს შინდლერ ბელამმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ატლანტიდა ჩაძირა უზარმაზარმა ტალღებმა, რომლებიც გამოიწვია დედამიწის გრავიტაციულ ველში მთვარის მოხვედრამ.

მკვლევართა შორის ატლანტიდის მდებარეობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ატლანტიდან მიიჩნევენ კუნძულ ჰელგოლანდემს, ჩრდილოეთის ზღვაში. მასზე მდებარეობდა ბრინჯაოს ხანის იმპერიის დედაქალაქი. სხვების აზრით, პლატონის ატლანტიდა სხვა არაფერი იყო, თუ არა პატარა კუნძული — სანტორინი. ეს კუნძული დაახლოებით 1500 წელს ჩვ. წ. აღრიცხვამდე ხმელთაშუა ზღვაში ჩაიძირა ვულკანის ამოფრქვევის შედეგად.

მეცნიერების აზრით, უძველესი ცივილიზაციები დღესაც შეგვახსენებენ თავს წინაისტორიული არქეოლოგიური ნაშთების გასაოცარი გამოსხივებით, მაგნიტური ველის კვანძებით. თეოლოგები და მითოლოგები ფიქრობენ, რომ კაცობრიობის უძველესი რელიგია იყო მზის თაყვანისმცემლობა, გაერთიანებული ვარსკვლავების ღმერთებთან და ნაყოფიერების კულტთან. არქეოლოგებმა კი ამ საერთო საკაცობრიო რელიგიის არსებობის დამამტკიცებელი საბუთები აღმოაჩინეს ამერიკიდან იაპონიამდე. მათი აზრით, ესაა უცხოპლანეტელების კოსმოსური რელიგიის ნარჩენები. პოლონელი მკვლევარები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ მათ ქვეყანაზე გავლებულია ელექტრომაგნიტური ველების უძველესი ხელოვნური ქსელი და, რომ სწორედ ამ ქსელის თავისუფალი სივრცეებიდან იჭრებიან ატმოსფეროში ამოუცნობი მფრინავი ობიექტები. იქნებ ეს ღმერთი-მასწავლებლები არიან, რომლებმაც თავის დროზე შექმნეს ლემურიის და ატლანტიდის ცივილიზაციები და ახლა უბრუნდებიან თავიანთ მემკვიდრეებს?!

დავით დემეტრაშვილი

I — III სს. რომაული ქალაქის ჰელიოპოლისის ნანგრევები ამჟამინდელ ბაალბეკში, ლიბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ღამის, აქოს, კუნძულის ფიგურები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა—

1918—1921

კინო-ფოტო არქივის

მასალებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- „სახალხო“ გვარდიელები ჯავსნოსან მატარებელთან.
- ვ. გოგუაძე „სახალხო“ გვარდიელებთან ერთად ჯავსნოსან მატარებელზე.
- მენშევიკური „სახალხო“ გვარდიელთა ყრილობის წევრები.
- მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლისთავი. ტრიბუნაზე მარცხნიდან-მარჯვნივ: საქ. მთავრობის დამფუძნებელი კრების წევრი ნ. ყორდანია (თავმჯდომარე), ს. მდივანი და სხვები.
- წითელ არმიასთან შეჯახების დროს დახოცილი მენშევიკების „სახალხო“ გვარდიელები.
- „სახალხო“ გვარდიელები საბრძოლო მდგომარეობაში.
- მენშევიკების „სახალხო“ გვარდიელები სადგურ წნორისწყალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილი ლარნაკში იგივეა, რაც ბულბული გალიაში ან თევზი აკვარიუმში.

ყვავილი, რაც უფრო ველურია, მით უფრო მშვენიერია.

ყვავილი უფრო მეტად და უპრეტენზიოდ გრძნობს მომვლელის ხელს, ვიდრე შვილი — დედისას.

ერთი ცალი ყვავილიც კი მთელ დედამიწას სჯობია და იცი რატომ? იმიტომ, რომ დედამიწაზე მისი წყალობაა შვიდივე საოცრება, ანუ ყვავილი წუთისოფლის მარადიული თილისმაა.

ყვავილებს უყვართ მხოლოდ დილის მზე, შუადღის მზე მათთვის იგივეა, რაც ადმიანისათვის აგვისტოს ხვატი.

ყველა ყვავილს ყოველ დროში თავი ბულბული ჰგონია. ბულბულს კი თავისი გალობის მიზეზ-საფუძვლად სამარლიანად მხოლოდ ვარდი მიაჩნია და არა თავისი ბულბულობა. ამიტომაც არსებობს მცნება — ვარდ-ბულბულიანი და არა პირიქით.

ძველი ებრაელები მოწინააღმდეგესთან დაზავების ნიშნად ტყის ყვავილთა თაიგულებს იყენებდნენ. დღეს კი, ხელოვნურმა სათბურის ყვავილების სიმრავლემ თავიანთი მომვლელ- მომყვანები ერთმანეთის მტრებად თუ არა, მეტოქეებად მაინც აქცია. აი, ესეც ყვავილის მერვე თანამედროვე საოცრება.

ნაზი ჰედია.

არნოლდ გეგეჭკორი

მდინარეთა დედოფლები

საქართველო მთიანი ქვეყანაა, მდინარეებით უხვად დაქსელილი. მთით დაქანებულნი თავიანთ გზაზე ზოგჯერ ისეთ ქარაფებს ხვდებიან, კალაპოტს კარგავენ და უფსკრულში ზათქით ეშვებიან. ასე იბადებიან ჩანჩქერები — მდინარეთა დედოფლები.

ბუნების ამ იშვიათობათა გაცნობა ნებისმიერი ჭეშმარიტი ნატურალისტის ოცნებაა. ზოგიერთი მათგანი სიმაღლით იქცევს ყურადღებას, ზოგი — მიუდგომლობით ანდა განსაკუთრებული სილამაზით, სხვები — ლეგენდების ბურუსში არიან გახვეულნი...

საქართველოში წყალვარდნილებს უფრო მეტად სამეგრელოში, მარტვილის რაიონში ვხვდებით. მათ შორის სამი — ოჩხომურის, აბაშისა და ტობას წყალვარდნილები, როგორც არაორგანული ბუნების იშვიათი ძეგლები, საქართველოს „წითელ წიგნშია“ შეტანილი. სამივე მათგანი ანკარა კარსტული მდინარეებიდანაა დაბადებული. ყველაზე მეტად ტობას ჩანჩქერი დამამახსოვრდა. მდინარე ტობა— მდინარე აბაშის მარცხენა შენაკადია, ასხის კირქვულ მასივში იგი რამდენიმე წყალვარდნილს ქმნის. ზოგჯერ მდინარე კარსტულ მღვიმეებში უჩინარდება და ერთ-ერთ მღვიმეში წარმოქმნის ოცდაერთი მეტრის სიმაღლის ჩანჩქერს.

ყველაზე მიმზიდველი მაინც ტობას ის ჩანჩქერია, რომელიც სოფელ მეორე ბალდიდან მეოთხე კილომეტრზე წარმოიქმნება. ოფიციალური ცნობით, მისი სიმაღლე 234 მეტრია. მისი ნახვა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სოფელ მეორე ბალდამდე, უხეირო გზით, მძლავრი, ხეტყის გამომტანი მანქანით ავდივართ, შემდეგ ჩანჩქერამდე რამდენიმე კილომეტრი ცხენებით მივემგზავრებით. სანამ გრუნტი ნიადაგის საკმაო ფენისაგან შედგება, ფართოფოთლოვანი ტყეები იზრდება, მთის შუა სარტყელში კი ნიადაგის საფარი სულ უფრო თხელდება და კირქვიანი რელიეფი მძლავრობს. ეს უკანასკნელი კოლხური ბზის ტყეებითაა დაფარული. ბზა ტიპიური კირქვის მოყვარულია. აქ ზოგიერთი ხის ზრო ამ მცენარისათვის რეკორდულად მსხვილი იზრდება.

ასეთ ეგზემპლარებზე პირდაპირ ნადირობდნენ. მისი ძვირფასი მერქნისათვის უცხოეთის კონცერნები ზღაპრულ ფულს იძლეოდნენ. ბზა კუბური მეტრებით კი არ ფასობდა... კილოგრამობით ყიდდნენ.

ბზის ტყე სულ ერთიანად ხავსშია ჩაფლული. ხავსს დაუფარავს ხის ზრო, დედატოტები, ძირს ნაცვენი, ხმელი ღეროტოტები, კირქვის ქვალოდები და თვით ნიადაგიც კი. აქაურობას პირველყოფილი არქაული იერი დაჰკრავს.

ასიმეტრიანი კლდეები გზას უღობავენ მზის სხივებს. ნახევრად სიბნელე და ჭარბი სინოტივე აძნელებს მოძრაობას. კლდეთა კედლებიდან იღვრებიან წყლის ჭავლები. გზადაგზა აყორილ ქვაყრილებსა და ქარნაქცევ ხეებს ცხენები დიდი სიფრთხილით უვლიან გვერდს.

დამთავრდა ბზის ტყის მორიგი მონაკვეთი. როგორც იქნა იელებით გადაწნულ ველობსაც გავარიდეთ თავი. კლდეთა ექოთი გაძლიერებული მდინარის ხმაგადაიზარდა. და აი, ჩვენს წინაა მორუხო-თეთრ კლდეზე ძალუმად დაშვებული ჩანჩქერი. მართლაც რომ დიდებულია უბიწო ბუნებაში ჩაკარგული ეს მზეთუნახავი. ცხენიცა და კაციც ხარბად დავეწაფეთ ტაფობში ნაკადულებად გაშლილ ცივსა და გემრიელ წყალს...

კირქვიანი რელიეფი ბევრ სიურპრიზს უმზადებს ბუნების მოყვარულთ. ერთ-ერთი მათგანი ჩანჩქერებია. აფხაზეთში, არაბიკას კარსტულ მასივში, მდინარე გეგას სათავეებია. გეგა ვერც კი ასწრებს დაბადებას, რომ კარსტების მიწისქვეშა ლაბირინთებში იკარგება. ასე, დღის სინათლეს მოკლებული აგრძელებს გზას რამდენიმე კილომეტრზე, სანამ რიწის ტბის მახლობლად, კირქვის ჰორიზონტალური ნაპრალიდან კვლავ არ გამოჩნდება სამზეოზე. აქ მდინარე სამ ვეებერთელა ნაკადად ეშვება. ორმოცდაათი მეტრი სიმაღლის ჩანჩქერი წარმოუდგენელ სილამაზეს ჰქმნის.

აფხაზეთშივე, მდინარე კოდორის სათავეებში, ტურისტებს შორის დიდათ პოპულარულია „აფხაზეთის ნიაგარად“ წოდებული ასევე მეტად ლამაზი წყალვარდნილი.

არაერთი ადამიანი მოხიბლულა ჩანჩქერებით ლაგოდეხის ნაკრძალში. ერთ-ერთმათგანია მდინარე შრომის ხეობის წყალვარდნილი. იგი თუმცა არ არის მაღალი, მაგრამ კოხტაა და იშვიათი ბუნებითაცაა გარშემორტყმული. ზამთარში, ქარაფზე დაშვებულ წყალს ყინვის არტახები ერთ ნაწნავად ჰკრავს.

პირიქით ხევსურეთში, გაცდები თუ არა სოფელ ლებაისკარს, გზიდან მარჯვნივ აღმართული ფერდობიდან ეშვება ქათქათა თეთრი წყალი. არც ნაკადულია ეს და არც ღელე. ღელე-ნაკადული მთელი ინერციით ვერ უერთდება არღუნს. საქმე ის არის, რომ გზიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ფერდობი კარგავს შვეულ ფორმას და რამდენადმე ვაკდება. გავაკებული გრუნტი ღრუბელივით ისრუტავს წყალს. ტენით გაჯირჯვებულ ნიადაგზე ლაღობენ და ყელყელაობენ ქონდარა ისლი, ბაია, უფრო მასობრივად კი ხავსი. დაქანებული წყალი ხავსის რბილ „სამოსზე“ იფრქვევა. ცალკეულ მძივებად ნაწილდება და გადაბრუნებული ლამბაქის ფორმის ფერდიდან ურიცხვ ჭავლებად ჩამოედინება. არღუნის ხეობას მზე გარკვეული კუთხით დაანათებს თუ არა, ჩანჩქერის თითოეულ ჭავლზე თითო ცისარტყელა იბადება. მოგზაურებმა ამ ადგილს „ტურისტის ცრემლები“ უწოდეს.

გარემოს მსგავსი ფენომენები იმდენად ესთეტიკურია, რომ ადამიანს ირეალური სამყაროსაკენ უბიძგებს, ლეგენდებსა და ზღაპრებს ათხზვევინებს.

დარიალის ხეობაში ყველაფერია იმისათვის, რომ ადამიანმა ყოველდღიურ მოსაწყენ ერთფეროვნებას დაალწიოს თავი და მშვენიერები სამყაროში ამაღლდეს. ალექსანდრე ყაზბეგის რომანტიკულ სამყაროს არც ჩანჩქერები აკლია. გველეთის ჩანჩქერი უფრო ხელმისაწვდომია მაგრამ არშის ჩანჩქერთა მთელი კასკადი რომ იხილო, საჭაოდ მაგარი მუხლი უნდა გქონდეს. სამაგიეროდ კმაყოფილი დარჩები. ბუნებაც ნეტარი სილამაზით დაგაჯილდოვებს, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები, მასთან დაკავშირებულ ლეგენდას გაგანდობენ.

არშას წყალვარდნილთა კასკადი სამი ჩანჩქერისაგან შედგება. მარტო მათი სახელები რად ღირს: „ქალწულის თმები“, „ჭაბუკის ცრემლები“, „წვერი“. სამივე ეს სახელი ერთ ლეგნედასთანაა დაკავშირებული.

... სოფელ ტოტში, მრავალი ასეული წლის წინათ, ცხოვრობდნენ ქალიშვილი და ჭაბუკი. მათ ძალზე უყვარდათ ერთმანეთი. ქორწინებაც გადაუწყვეტიათ, მაგრამ მაჭანკალს მეზობელი სოფლიდან ქალის ოჯახისთვის სხვა სასიძო შეუთავაზებია. ქალიშვილის მამა დათანხმებულა, მაგრამ გოგონას სტუმრები სათოფეზე არ გაუკარებია. რას არ დაპირებიან ნათესავები, მაგრამ ამაოდ. გოგონას მტკიცედ მოუჭრია: — თუ თავს არ დამანებებთ, ან კლდიდან გადავიჩეხები, ან თავს თერგში დავიხრჩობო. მუქარას არ უმოქმედია. ნუ ღელავთ, განუცხადებია მშობლებისთვის მაჭანკალს, თერგი შორსაა, ხოლო კლდიდან გადავარდნას ვერ გაბედავს, შეუშინდებაო. გოგონას თავი გაუწირავს. სახლიდან გამოვარდნილა და მთებისთვის მიუცია თავი. შეყვარებული დადევნებია. ამაო შეიქმნა ხვეწნა. გოგონა სწრაფად მირბოდა. ბოლო წამებში ჭაბუკს მხოლოდ ნაწნავის ბოლო მოუხელთებია. გოგონა მაინც გადაშვებულა კლდიდან, მაგრამ იმ ადგილზე ჩანჩქერი — „ქალწულის თმები“ გაჩენილა. სასოწარკვეთილ ჭაბუკს დაუტოვებია იქაურობა და საჯიხვეებისაკენ წასულა. ჩამომჯდარა ქვაზე და მწარედ აქვითინებულა. უბედურს იმდენი ცრემლი დაუღვრია, რომ მთაზე ახალი ჩანჩქერი — „ჭაბუკის ცრემლები“ აბობოქრებულა.

გასულა წლები. ჭაბუკი მოხუცებულა. სანამ მუხლი ერჩოდა, თურმე ყოველ ცისმარეს მიდიოდა ამოჩემებულ ადგილზე და მწარედ ტიროდა. წვერი ეზრდებოდა. სულ გათეთრებულა. ასე შექნილა „წვერი“ მესამე ჩანჩქერი...

ბუნებაში აგრეთვე ჩნდება დროებითი ჩანჩქერებიც. მანგლისისკენ მიმავალი, სოფელ პანტიანს გაშორებული მგზავრი, აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას ვეებერთელა მორღვეულ ფერდობს. მასზე შრეებად დაყოფილი, მთელი გეოქრონოლოგიური შკალა იკითხება. ზემოდან ფერდობს ეფემერა ყვავილებით მორთული მშვენიერი კორდით შემკული მუხნარი ტყე დასცქერის. გაზაფხულის ღვარცოფა წვიმების დროს წყალი კორდზე ღარს იკეთებს და იქიდან ზათქით ეშვება უფსკრულში. ამ დროს მორღვეული ფერდობი, როკუელ კენტის გრაფიკულ შედევრს რომ მოგვაგონებს, დროებითი წყალვარდნილის თეთრი ძაფებით იქარგება. ხანმოკლეა გაზაფხულის კოკისპირული წვიმა. ეფემერულია შავ ქარაფზე თეთრად დადენილი წყალვარდნილიც.

არჩილ ჯორჯაძე: ქრონოლოგია

XIX საუკუნის დასასრულსა და XX-ის დამდეგს, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებებისა და გარდაქმნის ხანა დადგა. დიდი ალმასვნის განიცადა საზოგადოებრივმა. და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ისპარავზზე გამოვიდნენ პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობები, რომელთა რიცხვმა თითქმის ორ ათეულს მიაღწია: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ანარქისტები, ესერები, კადეტები, ეროვნულ-დემოკრატები, რადიკალეები, ირაციონალური წარმოშობის ორგანიზაციები. „ფრიად მდიდარი და საუურადღებო თემაა ამ მოკლენათა სერიის შესწავლა, — წერდა ა. ჯორჯაძე. — გამოკვლევა იმის, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ყველა ამ მოკლენათ ერთმანეთში და რა ხასიათისაა ფეზზონომია თვითეულისა, რაგვარად არიან ისინი დაკავშირებულნი ჩვენს ცხოვრებასთან და რა მომავალი მოელის თვითეულ მათგანს ჩვენი ხალხის ზოგის მსელელობაში".

ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში საჭირო გახდა შესაფერისი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამის შემუშავება. არჩილ ჯორჯაძე სკადა შეექმნა ახალი დროისათვის შესატყვისი ეროვნულ-სოციალური მოძღვრება — სოციალიზმ-ფედერალიზმი.

სოციალიზმ-ფედერალიზმის ძირითადი ფორმულა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა იყო. ამ მხრივ ა. ჯორჯაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ილია ჭავჭავაძის გზას აგრძელებდა. „არ შეიძლება არა ვსთქვათ. — წერდა ა. ჯორჯაძე ილიას შესახებ, რომ მისი პიროვნული ბანი ეროვნული პროგრამა არაფე თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს დღეკანდელ მდგომარეობას. პირიქით, იგი სრული გამმახარებელია ამ მდგომარეობისა. ამისათვის, ჩვენ თითქმის შეუცდენლად ვიღებთ მას სახელმძღვანელოდ".

არჩილ ჯორჯაძის, როგორც გამოჩენილი ეროვნული მოღვაწის მეორე დიდი დამსახურება იყო სოციალიზმ-ფედერალიზმის, ან როგორც თვით უწოდებდა — „ქართული სოციალიზმის" თეორიის პრაქტიკულად განმახორციელებელი პოლიტიკური ორგანიზაციის, მისი რეალიზატორის — საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსება.

1904 წელს, ესე იგი ფორმალურ შექმნამდე. ფედერალისტურმა პარტიამ იდეური და ორგანიზაციული განვითარების წინაპარტიული პერიოდი განვლო. 1895 წელს „ივერიაში" თავმოყრილი ეროვნულ-რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდა ინტელიგენტები ჯგუფი, ერთის მხრივ. სოციალ-დემოკრატიული „ავალს" დაუპირისპირდა, ხოლო, მეორე მხრივ, მანვე უარყო „ივერიის" ძველი თაობის წარმომადგენელთა პოლიტიკური ლიბერალიზმი, აღნიშნული ჯგუფი. რომელსაც ჩვენ „ახალგაზრდა ივერიელთა" ჯგუფს ეუწოდებთ, გასული საუკუნის 90-ანი წლების მიწურულს შეეფოდა ცურნალ „ბოამბის" ირგვლივ შემოკრებილი ეროვნულ-ბურჟუაზიული მიმდინარეობის წარმომადგენლებს და XX საუკუნის დამდეგს. მათთან ერთად შექმნა ერთიანი ეროვნული რადიკალ-დემოკრატიული მიმდინარეობა საქართველოში. ეროვნულმა რადიკალ-დემოკრატებმა გაზეთ „ცნობის ფურცლის" გარშემო მოიყარეს თავი. თავად არჩილ ჯორჯაძის თქმით, „ივერიაში" შეხიზნული ახალგაზრდები თანაუგრძნობდნენ „ივერიელთა" ეროვნულ პროგრამას, მაგრამ სხვა საკითხების განმარტებაში მათ და „ივერიელთა" შორის თანდათან უთანხმობა ღვიდებოდა. „ცნობის ფურცლის" ჯგუფში შედოდნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი, კიტა აბაშიძე, გიორგი დეკანოზიშვილი და სხვ.

ჯერ კიდევ 1897 წელს „მოამბეში" გამოქვეყნებულ წერილში კ. აბაშიძემ აღიარა, რომ „ივერიის" ახალმა თაობამ ვერ შესძლო სამოქმედო პროგრამის ნათლად ჩამოყალიბება. „ამ ჯგუფის ახალგაზრდობას თვითონაც არა აქვს მტკიცედ გარკვეული პროგრამა ცხოვრების მოქმედებისა. ვერც მის წარმომდგენელ პუბლიცისტს გამოუტანია ეგი". იდეურ-პოლიტიკურ გამოუკვეველობასთან ერთვოდა ორგანიზაციული სისუსტე. მართალია „ცნობის ფურცლის" ჯგუფში პარტიის შექმნის აზრი ტრიალებდა, მაგრამ ორგანიზაციაში ჩამოყალიბება ნელა მიმდინარეობდა. ჯგუფის ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ახალი პარტია უნდა შექმნილიყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან, როგორც მისი პარტიული ორგანიზაცია. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდნენ ძველი ხალხოსნები. რუსეთის პარტიასთან გაერთიანების წინადადებით საქართველოში ჩამოსულნი იყვნენ და მოლაპარაკებასაც აწარმოებდნენ ესერთა პარტიის ცნობილი მოვაწეები მარკ ნატანსონი, ა. გედეონოვსკი, გ. გერშუნი და სხვ. „ცნობის ფურცელთა" ახალგაზრდული უმრავლესობა რუს ესერებთან გაერთიანების სასტიკი წინააღმდეგი იყო. გ. ლასხიშვილის თქმით, რუსებთან გაერთიანების მოწინააღმდეგეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა პედაგოგი ვლადიერ ლორთქიფანიძე. „რას ჰკადე ეს! — ამბობდა იგი, — რუსეთისაგან ვიდოთ თავი გაინთავისუფლოთ და რუსულ პარტიას კი ეშორნენ ებეთ. რომელი რუსული პარტია იქნება. გაულწრფელი მომხრე საქართველოს განთავისუფლებისა?"

1901 წლის გაზაფხულზე „ცნობის ფურცელში" თამაშმრთქმლა დაიწყო არჩილ ჯორჯაძემ. იგი თავიდანვე მიეგმარი დამოუკიდებელი ეროვნული პარტიის შექმნის მომხრე ახალგაზრდულ უმრავლესობას და „ცნობის ფურცლელთა" მოაკარი იდეოლოგი და თაკკაცი გახდა. ჯგუფის აქტივისტები თავს იყრიდნენ ვალერიან გუნთას, ნიკო ქართველიშვილსა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ბინებში, ბჭობდნენ, ახალი პარტიის შექმნის ღონისძიებებზე მსჯელობდნენ, დამთობდნენ. 1901 წელს შემოდგომის ერთ-ერთ შეკრებაზე ჯგუფის მესვეურებმა ახალი პარტიის შესაქმნელად ჩასატარებელი სამუშაოებისათვის ე. წ. პირველი კომიტეტი აირჩიეს. მის შემადგენლობაში ხუთი კაცი შეკედა: არჩ. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, ვლ. ლორთქიფანიძე, ა. დეკანოზიშვილი და გ. ლასხიშვილი.

პირველი კომიტეტი ენერგიულად ამოქმედდა. მისი ინიციატივით მოიწვიეს

დიმიტრი ფეფლიძე

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიიდან

„ცნობის ფურცლის" ჯგუფის მომხრეთა და თანამეძრნობ პატრიოტ მოღვაწეთა კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებმა ფართო პროპაგანდა გააჩაღეს თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში ახალი ეროვნული პარტიის შესაქმნელად. ჩამოთაყალიბეს ადგილობრივი კომიტეტები. პირველმა კომიტეტმა ა. ჯორჯაძეს, გ. დეკანოზიშვილს და გ. ლასხიშვილს დაავალა, შეეფუშავებინათ მომავალი პარტიის მოკლე, ზოგადი პროგრამა. 1902 წელს არჩ. ჯორჯაძე და გ. დეკანოზიშვილი კომიტეტის დავალებით საზღვაგარეთ გაეემგზავნენ არალეგალური ორგანოს გამოსაცემად, რის შედეგადაც 1903 წლის 1 მაისს პარიზში გამოვიდა ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო".

„საქართველო" უპირველეს ყოვლისა თავისი ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმის დასაბუთებას შეუდგა. ქართველ სინამდვილეში მან პირველმა წამოაყენა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საპროგრამო მოთხოვნა. გაზეთში ფედერალიზმი წყობილება

მ ა ა მ უ ლ ი
ეროვნულ-
ეროვნული
ფედერალ
ალმასი
ეროვნ
ეროვნ
ეროვ
ეროვ
ეროვ

კარლო კობერიძე

კარუსელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი სამსახურიდან დაბრუნდა, სამუშაო ოთახში შევიდა, სავარძელში ჩაჯდა და საზურგეზე მიესვენა. სხვა დროს ხმაურით შედიოდა შინ, ახლა კი სიტყვა არ დაუძრავს, არც ახალი გაზეთი მოუთხოვია. ამით მიხვდა ცოლი: ან გადაღლილი იყო, ანდა გაბრაზებული.

ერთ ხანს სამზარეულოში იტრიალა ქალმა, მაგრამ გული ვერაფერს დაუდო და თითქოს სხვათა შორის ჰკითხა ქმარს:

— მოხდა რამე?

— ბავშვები სად არიან? — წინ გადმოიხარა კაცი და იატაკს დააჩერდა.

— ბიძასთან გადავიდნენ.

— ყველანი?

— დიდი და პატარა.

— ჰო, ასე ფლანგონ დრო და, დიდის ნაცვლად მე ლექციებზე ვივლი, პატარის ნაცვლად კიდევ შენ იარე გაკვეთილებზე.

— დღეს აკი ჩემი ძმისწულის დაბადების დღეა? ერთი საათით გადავიდნენ, უხერხულია, რომ არ მიულოცონ.

— შენს შვილებს თუ მოულოცავენ ხოლმე? ეკა სადღაა?

— შინ არის, მეცადინეობს.

— არ იმეცადინებს და გარეთ დარჩება ისევ. აქ მობრძანდეს.

— ეკა, მამამ, ჩემთან მოვიდესო! — თავიც არ მოუბრუნებია, ისე გასძახა შვილს.

— ქვეყნის შეყრა რომ მდომებოდა, შენზე დაბალი ხმა არა მაქვს, მგონი.

ცოლს არაფერი უთქვამს, შვილს ჩამოეცალა და სამზარეულოში გავიდა.

ეკა ღიმილით შევიდა მამასთან, გაშლილი წიგნი გულზე ჰქონდა მიხუტებული.

— მანდ დაჯექი, — მეორე სავარძელზე ანიშნა მამამ.

— ვიდგები.

— როგორც გინდა. ჰო, დღეს შენი მასწავლებელი შემხვდა მეტროში.

— რომელი მასწავლებელი? — ეკამ მაგიდაზე დადო წიგნი და მამას დააჩერდა.

— მაცალე. მეოთხე კლასში მშობლიურ ლიტერატურას რომ გასწავლიდა, ისა.

— ვიცი, რასაც გეტყოდა, — გაეღიმა ეკას.

— მერე? — მოიღუშა მამა, — რითი აპირებ თავის მართლებას?

— საინტერესოა, შენ როგორ გითხრა?

— რაო?

— უკვე ათჯერ უსაყვედურა დედას. არა, მაინც როგორ გითხრა?

— თვალს მარიდებსო, პირისპირ რომ შევეფეთო, მაშინაც არ მესალმებაო.

— არც მივესალმები! — აილეწა ეკა. — ტყუილი იმედი აქვს, არ მივესალმები! ძალიან კარგად იცის, მაგის მიზეზით რომ გადაველ სხვა სკოლაში!

— უყურე ამას! — წამოდგა მამა, — მე კი მეგონა, რაკი ახლოა, იმიტომ დაიყენე გადასვლა!.. რატომ აქამდე არ თქვი?!

— ალბათ არ იყო საჭირო... არ ვიცი, ვინ დააკანონა, მასწავლებლებზე აუგის თქმა არ შეიძლებაო და, რაზე აღარ ვხუჭავთ თვალს. ყველა მასწავლებელს რომ მასწავლებელი ეთქმოდეს, რაღა გვიჭირდა!

— ასე არ ლაპარაკობენ მასწავლებელზე!

— სწორედ ესაა ჩვენი უბედურება!.. ცნება მშვენიერია, მაგრამ ხშირად საწინააღმდეგოს გვეუბნება ცხოვრება.

— ნეტა ისეთი რა დაგიშავა, ამდენი წლის შემდეგაც რომ ვერ ამოიღე გულიდან?

— მე რა შუაში ვარ — საკუთარ თავს დაუშავა! შურისძიებაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ არ მსიამოვნებს მასთან შეხვედრა და ამისი უფლებაც არა მაქვს? ბოლო-ბოლო, როდემდე უნდა მთვლიდეთ ბავშვად?

— ეგ არ მითქვამს, — ჩაფიქრდა მამა, — აზრად არ მომსვლია მაგისი თქმა. მოხუცია უკვე და უნდა მოერიდო მის წყენინებას.

— მაშინ უნდა ეფიქრა თავის სიბერეზე, როცა ეგონა, სულ ბავშვი ვიქნებოდი... სულ ბავშვები იქნებიანო. არც სხვა მასწავლებლები გვანებივრებდნენ, მაგრამ მაგ ერთის წყენინება არასოდეს დამავიწყდება.

— საოცარია, — თქვა მამამ, — რატომ აქამდე არ ვიცოდი!.. რატომ დამიმალე?

— აკი წელანაც გითხარი, ალბათ საჭირო არ იყო-მეთქი. ახლავე მოგიყვები, რაც მოხდა, — გვერდითა ოთახში გავიდა ეკა. მამას ესმოდა — საწერი მაგიდის უჯრებს აღებდა.

სავარძელში ჩაეშვა მამა, არ უნდოდა ეფიქრა, მაგრამ ისევ მკაფიოდ ესმოდა მასწავლებლის ნათქვამი: „ვინაიდან ხელოვანი ბრძანდებით, უფრო ამიტომ არ ეკადრება თქვენს შვილს ჩემს მიმართ ასეთი დამოკიდებულება. ალბათ გასაგებია, რასაც ვამბობ ამით“.

ეკა მამის ოთახში დაბრუნდა და მაგიდაზე ორი ფოტოსურათი დადო. მამა წამოდგა, სურათებს დააჩერდა და ვიდრე იტყოდა რამეს, შვილმა უთხრა:

— ამ სურათების ისტორიას მოგიყვები და თუ გამამტყუნებ, მაშინვე წავალ, შინ მივაკითხავ იმ მასწავლებელს და ბოდიშს მოვუხდი.

მამამ ფოტოსურათებს დახედა და მხრები აიწურა.

ეკა მიუხვდა გაკვირვების მიზეზს:

— მართალია, უცნაური არაფერი ჩანს — ჩვეულებრივი ფოტოსურათებია, მაგრამ რამდენჯერაც დავხედავ ხოლმე, იმდენჯერ მახსენდება მაისის ის დღე, ეს სურათები რომ გადავიღეთ. იცანი ალბათ: მეორე მწკრივის თავში, მარჯვნით რომ დგას, ეს კიდევ ჩვენი ჯგუფელის მშობელია. ჯგუფში ოცდაათნი ვიყავით, ამ სურათში კი ოცდათერთმეტნი ვართ. პირველ რიგში ჩამუხლული ბიჭების წინ რომ ბიჭუნა ჩანს, ჩვენი კლასელის ძმაა — დედამისმა წამოიყვანა. ამ მეორეში კი ექვსნი ვართ, ექვსივე გოგო. ხედავ ალბათ, რაღაც გვიხარია, ძალიან გვიხარია! ამ ექვსში ერთი მე ვარ, — გაეღიმა ეკას, — დანარჩენი ხუთი მოძებნე ჯგუფურ სურათში და, ყველას რომ იპოვნი, დამიძახე, — ეკამ წიგნი აიღო და აჩქარებული გავიდა ოთახიდან.

მამა საწერ მაგიდას მიუჯდა და დანარჩენი ხუთი ბავშვის მოსაძებნად დააკვირდა ჯგუფურ სურათს, დააკვირდა და მაშინვე კედელს მიარტყა ხელი:

— გამოდი, ეკა!

— უკვე იპოვნე? — კარი მიხურა ეკამ და ისიც ჯგუფურ სურათს დააჩერდა.

— ყველანი მეორე მწკრივის ცენტრში დგახართ.

— ჰოდა, მთავარიც ეს არის!.. მესამე კლასში ვიყავი მაშინ. აი, ეს მასწავლებელი იყო ჩვენი დამრიგებელი. მაისის ბოლო შაბათს, გაკვეთილების შემდეგ გამოგვიცხადა, ხვალ ვაკის პარკში მივდივართ და მანეთ-მანეთი წამოიღეთო. ისე, გასასეირნებლად, გასართობად მივდიოდით, ასე ვთქვათ, ექსკურსიაზე. იმ ხანებში ბაღების, პარკების მცოდნე, საქვეყნოდ აღიარებული უცხოელი იყო ჩამოსული თბილისში, იმისი ინტერვიუ წავიკითხე: მთელი მსოფლიო მომივლია, მაგრამ მსგავსი საოცრება არსად მინახავს — ყველა ბაღსა თუ პარკში შედიან, აქ კი ჩადიანო. ეს სწორედ იმ პარკზე თქვა, მეორე დღეს რომ უნდა აგვეკლო ჟრიამულით. სიხარულმა ადრე გამაღვიძა და ადრეც მივედი სკოლაში, მაგრამ უფრო ადრე სხვები მოსულიყვნენ. ავტობუსიც უკვე იდგა სკოლის ეზოში. ზოგ ჩემს ჯგუფელს დედა გამოჰყოლოდა. შენ მაშინ სოფელში იყავი, ვენახი გქონდა მისახედი. ხომ იცი დედაჩემის ამბავი, კაპიკებს გაეტირება ხოლმე — მანეთიანი მომცა, ვეხვეწე, ერთი მანეთიც მომეცი, თუ არ დამჭირდა, ისევ დაგიბრუნებ-მეთქი. რაკი

მასწავლებელმა ბრძანა, მანეთ-მანეთი წამოიღეთო, ეს იმას ნიშნავს, მეტი არ არის საჭიროო... ვაკის პარკს რომ მივუახლოვდით, მასწავლებელმა შოფერს უთხრა:

— ასე, სამი საათი ვიქნებით პარკში. თქვენ ალბათ წახვალთ და იმ დროისათვის დაბრუნდებით.

— არსადაც არ მივდივარ, — თქვა შოფერმა, — დღეს თქვენ უნდა მოგემსახუროთ, საგზურის ფურცელშიც ასე მიწერია. ავტოინსპექტორმა სხვაგან რომ წამტაცოს ხელი, ვერაფრით გავიმართლებ თავს, ჰოდა, დამამშვიდობებს საჭეს.

— როგორც გენებოთ.

— მაგრამ სხვა წესსაც დაცვა უნდა.

— რომელ წესზე ამბობთ? — დაინტერესდა მასწავლებელი.

— ასეთ დროს, ქალბატონო, ყოველ მოსწავლეზე მანეთს ვიღებთ.

— რაკი ასეა, ჩვენც დავიცავთ ამ წესს, — გაეღიმა მასწავლებელს, — თუმცა წინასწარ არავის გავუფრთხილებივარ.

— ახლა დაგვიანებულია ვითომ?

— გვემუქრები? — მოიღუშა მასწავლებელი.

— რაო? არ შეიძლება მანქანა რომ გამიფუჭდეს? თანაც მოძველებულია უკვე, წლებით დაღლილია და ხშირ-ხშირად წაუძინებს ხოლმე.

— ამ ბავშვების ხარჯზე გინდა იცხოვრო? — გაბრაზდა მასწავლებელი.

— უფრო პატარებიც მყავს შვილები და ფულიც სწორედ მათთვის მინდა.

გაუგებელი ვინმე ჩანდა შოფერი, ამიტომ აღარ ჰკადრა მასწავლებელი. ავტობუსი ბაღის ჩასასვლელთან რომ გაჩერდა, შევაგროვეთ მანეთ-მანეთი და მივეცით შოფერს... მოკლედ, ფული აღარ დამრჩა, არც მე დამრჩა და არც ამ ხუთს, — ეკამ თითი დაადო სურათს, — ჩემთან ერთად რომ ჩანან სურათში. როგორც ადრე ვთქვი, ზოგს დედა გამოჰყვა და, ბუნებრივია, აღარც მანეთის იმედზე იქნებოდნენ, ანუ ჩემსავით უფულოდ აღარ დარჩებოდნენ. ზოგი კიდევ ჩემზე მდიდარი იყო, უფრო სწორად, დედაჩემზე „წინდახედული“ მშობლები ჰყავდა.

ჩავედით ბაღში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან დავეწყეთ: ჯერ ლექსები ვთქვით, მერე ვიმღერეთ. ამის შემდეგ მთელი ბაღი შემოვიარეთ: ხან დავრბოდით, ხან დამალ-დახუჭობანას ვთამაშობდით — ისეთსავე ნათელ გუნებაზე ვიყავით, როგორც ის მზიანი მაისის დღე იყო. თითქმის ყველანი პირველად ვიყავით ვაკის პარკში და, ერთმანეთი არ დავკარგოთო, არც ჩვენ გავდიოდით შორს, და არც მასწავლებელი და ბავშვების მშობლები გვაშორებდნენ თვალს. დაახლოებით ერთი საათი რომ გავიდა, მასწავლებელმა კარუსელთან მიგვიყვანა. რიგში ჩავდექით. რიგში ჩავდექით და გამახსენდა კიდევაც, ფული რომ აღარ მქონდა: ნაბიჯ-ნაბიჯ, ჭურდულად გამოველ რიგიდან და მოშორებით დავდექი. ამ ხუთიდან ა ეს ოთხიც გამომყვა. რომ ვკითხე, არც თქვენ გინდათ კარუსელზე ტრიალი-მეთქი, ფული აღარა გვაქვსო. ჩვენს გარდა სხვაც იყო უფულო, მაგრამ ზოგი მასწავლებლის მეზობლად თუ უბნელად ითვლებოდა, ზოგიც იმ მოსწავლეებისა, მშობლები რომ გამოყვნენ. დაიწყეს კარუსელით ტრიალი, ისეთ ყოფაში არიან, სიცილ-ყრიამულით იკლებენ იქაურობას. მერე ეს გოგონა აცრემლებული გამოვიდა რიგიდან, მასწავლებელმა მითხრა, თუ კარუსელით ტრიალი გინდოდა, ფულს წამოიღებდიო. ზოგმა ორჯერ, სამჯერაც იტრიალა, ჩვენ კი გაბუტულებივით ვდგავართ განზე, თან აქეთ-იქით ვიხედებით, იქნებ შინაური ვინმე გამოჩნდესო. არ გამოჩენილა. რამდენიმეჯერ გამოგვხედა მასწავლებელმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. კარუსელის ოდნავ მოშორებით, მოძველებულ ტაბურეტზე შენი ხნის კაცი იჯდა და ხშირად იხედებოდა ჩვენკენ. მერე გავიგეთ, თურმე ფოტოგრაფი იყო ის კაცი. ჩემი გულჩვილობის ამბავი ხომ იცი — კინაღამ ცრემლი მომერია. მაგრამ ჩემმა ჯგუფელებმა კარუსელი რომ მოისურვილეს და ახლა ნაყინს წაესივნენ, მაშინ კი ავტირდი. სხვებსაც ცრემლი მოადგათ თვალზე. ერთმა მშობელმა რაღაც უთხრა მასწავლებელს, თან ჩემზე ანიშნებდა. მოვიდა მასწავლებელი, ორი შოკოლადიანი ნაყინი ეჭირა ხელში, მოვიდა და მეკითხება, რა გატირებს, დედა ხომ არ მოგენატრაო. ოდნავ შებრუნდა გვერდზე და ორივე ნაყინი, — დიდ სურათს დახედა ეკამ, — აი, ამ ბიჭს მიაწოდა, უკანა რიგში რომ დგას მარცხნიდან მეორე. ამ ბიჭის მამა, ჩემი ძველი სკოლის უკან რომ სასურსათო მაღაზიაა, იმის დახლიდარი იყო მაშინ. მასწავლებელმა სხვებსაც უყიდა ნაყინი, კარუსელის ბილეთებიც აუღო სხვებს, ჩვენ კი, ჩვენ... ნიშნის დაწერის დროსაც იცოდა ასეთი გამორჩევა. იმ წლის მესამე მეოთხედში ამომიჩემა — არც ერთხელ არ მკითხა გაკვეთილი, ზოგი კი სამჯერაც გაიძახა. არ ვიცოდი, რას მემართლებოდა... მანამდე არ ვიცოდი, ვიდრე ერთხელ ჩემს გასაგონად არ უთხრა ფრანგულის მასწავლებელს — მაგის შვილს მე ვასწავლი, „ქართული პროზის“ გამოწერაში კიდევ სხვას ეხმარებაო. ეს სიტყვები სწორედ ვაკის პარკში გამახსენდა. გამახსენდა და დავრწმუნდი, რომ ეს ხუთივე ჩემი ჯგუფელი ჩემი მიზეზით დარჩნენ უნაყინოდ და უკარუსელოდ. ეს იყო და ეს — დავიფიცე, ამ სკოლაში აღარ გავჩერდები-მეთქი და, როგორც იცი, ავასრულე კიდეც. თუმცა აჯობებს, თავდაპირველ სათქმელს დავუბრუნდე. ის კაცი, მოძველებულ ტაბურეტზე რომ იჯდა, გაღიმებული მოგვიახლოვდა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მასწავლებელმა არ აცალა, სად გვირჩევ სურათის გადაღებასო. მაშინვე აფუსფუსდა კაცი, სამფეხა ფოტოაპარატი ... შადრევანთან... ხედავ, შადრევანი ... უკან და საფეხურებზე დაშვებული ჩანჩქერი. ისე დადგნენ ბავშვები, როგორც მასწავლებელმა ბრძანა.

მასწავლებელმა ხელი დაგვიქნია, მოდითო. მივედით:

— ბავშვებო, უკანა რიგში დადექით. ფულს მერე გადაიხდით.

— ესენი შედარებით პატარები არიან, მოციცქნულები, — თქვა ფოტოგრაფმა, — სილამაზის, ანუ კომპოზიციის ნიადაგზე ცენტრში უნდა დადგნენ.

მართლაც ცენტრში დაგვაყენა. რაღაც ჩაულაპარაკა მასწავლებელმა, მაგრამ ფოტოგრაფმა ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ვერ გაიგო თუ ვერ მიუხვდა ნათქვამს, სამჯერ ჩააჩხლაკუნა აპარატი და თქვა — ყველაფერი რიგზეაო. დავიშალენით. ვინ ნაყინს ეცა ისევ, ვინ კიდევ — კარუსელს. რა გქვიაო, მკითხა ფოტოგრაფმა. გვარიც ვუთხარი, სახელიც. ყოჩაღო, გაეღიმა, ახლა ეგ ხუთივე გოგონა აქ მომიყვანეო. მივუყვანე. მათაც ჰკითხა გვარი-სახელი და მერე თქვა:

— კარგი გოგოები ჩანხართ, ამიტომ საჩუქრად უნდა გადაგიღოთ სურათი.

აი, ასე დაგვაყენა და გადაგვიღო სურათი, მანამდე არ გადაგვიღო, ვიდრე არ გაგვაღიმა. მერე წაგვიყვანა და ნაყინი გვიყიდა. ღმერთო, რა გემრიელი იყო ის ნაყინი! თვითონაც ჭამდა ნაყინს, თან გვიყვებოდა:

— თქვენხელა რომ ვიყავი, მეც ძალიან, ძალიან მიყვარდა ნაყინი, მაგრამ ღარიბად ვცხოვრობდით და, სად იყო ნაყინი! მაშინ ნაყინი, ასე მგონია, უფრო გემრიელი იყო. ახლა თქვენხელა შვილები მყავს და ახლა იმათ უყვართ ნაყინი, ძალიან, ძალიან უყვართ! ამიტომაც ხშირად ვაძლევ ხოლმე ნაყინის ფულს. მე რომ ხშირად ვერ ვჭამდი ნაყინს, ის ვერ ამიტანია და შვილებს მოვანატრებ? თუმცა პატარაობისას კარუსელით ტრიალიც მიყვარდა, მაგრამ ნაყინისა რომ არ მქონდა, კარუსელის ფული როგორღა მექნებოდა? ამ ნაყინით ხომ გავიხსენე ბავშვობა, ახლა კიდევ კარუსელითაც უნდა გავიხსენო.

მივედით კარუსელთან, ბილეთებს რომ სინჯავდა, იმ კაცს უთხრა:

— რაო, გიორგი, ჩვენი რიგი არ მოვიდა?

— კაცო, სერგო, სადა ხართ აქამდე, ბარე ორჯერ გავიდა თქვენი რიგი! — თქვა და გააჩერა კიდევაც კარუსელი.

— მოიცა, ყველაზე გამძლე რომელია?

— ცხენი.

— ჰოდა, ცხენზე მე შევჯდები.

მაგრამ ვინ აცალა: ვიღაც ორდენებიანმა კაცმა დაუძახა, წამოდი, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან სურათი გადაგვიღეო.

— ვიდრე არ მობეზრდებათ, მანამდე უნდა იტრიალონ ამ ბავშვებმა... დათვალე — ექვსნი არიან. შენ მარტო დრო დაინაზენ... გაიგე, გიორგი?

— გავიგე, კაცო, აქ რა არის გაუგებარი!

— აჯანშენოს!

გარკვეული დრო რომ გაიკლის, ან უნდა ჩამოხვიდე კარუსელიდან, ანდა ისევ აიღო ბილეთი. სხვები რომ ჩამოდიან, გიორგი ძალა კი გვეუბნება, თქვენ დარჩითო. მეორედ რომ ჯაჭირდა კარუსელი, მასწავლებელმა გვითხრა, გეყოფათო.

— თუ ჯერ არ მიბრძანდებით, იყვნენ, ჭალბატონო, მე ვიხდი ფულს, — უთხრა ფოტოგრაფმა.

— თავბრუ რომ დაესხათ?

— მაშინ თვითონვე მოიფიქრებენ ჩამოსვლას.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ დატრიალდა კარუსელი. დავიღალეთ და ჩამოვედით. ღიმილით შემოგვეგება ფოტოგრაფი:

— ეს დღე არასოდეს არ დავავიწყდებათ! ხომ ასეა? — მაინცდამაინც მე მკითხა.

— არც ეს დღე დამავიწყდება და არც თქვენ დამავიწყდებით, — ვუპასუხე.

— რას იზამ, შვილო, ცხოვრება ამოტომაცაა კარგი, ათასნაირი ადამიანი რომ შეგხვდება. მეც არასოდეს დამავიწყდებ ეს დღე. მოდი, თითო ნაყინიც მივიღოთ...

ისევი მოსიყვარულე, კეთილი თვალით გვიყურებდა ფოტოგრაფი, ავტობუსში რომ ვსხდებოდით, მასწავლებელმა მკითხა:

— შენი ნათესავი იყო?

— არა, პირველად ვნახე, დღეს გავიცანი.

— დაჯერებელი ამბავია!

რა იყო დაჯერებელი, ვერც მაშინ გავიგე და არც ახლა მესმის, თუმცა მიხვედრის მშვენიერად ვხდები უკვე... უკანა სკამზე ვისხედით ექვსივენი. ის-ის იყო, ავტობუსი დაიძრა და ფოტოგრაფიც ამოვიდა კიბეზე:

— ეკა, შვილო, ზეგ პირველ საათზე ამოვალ სკოლაში და დამხვდით ექვსივენი, მე უნდა მოგართვათ სურათები!

— დიდი მადლობა, სერგო ძია!

— აბა, ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!..

●

— გასაგებია, — თქვა მამამ და წამოდგა

— რას მირჩევ, წავიდე და მოვუხმოდეთ მასწავლებელს?

— მერე, შეიძლებოდა იმ ფოტოგრაფის დაკარგვა?

— აკი არც დამიკარგავს—იმასთან ვიღებ ხოლმე სურათებს. ოღონდ ახლა ატელიეში მუშაობს.

ეკამ ოფიცრა, ისევ სერგო ძიაზე მკითხავს რამესო, არადა სულ სხვა თქვა:

— ახალი გაზეთები შემოგიტანე.

დალი ჯოხარიძე და ნერსესა ზაქარიანი

ლიუვარული ბზაკ და ჭილად...

იამზე ბასილია

თელავი. რუსთაველის ქუჩა.

ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი.

გზა ერთთან გამიგრძელდა. ძმიმე ფიქრმა თუ შებორკა ნაბიჯები. ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული... რომელი უფრო ძნელია, ნეტავი, ობლობა თუ დაუსრულებელი ლოდინი, ბაღებიდან ღამეები, მერე მოჩვენებითი, წმიდური სიხარული ფეიერკის ფოდა და იმედის გაცურება, მეხსიერებაში ჩარჩენილი ცივი, არაფრისმთქმელი თვალები...

ეს მხოლოდ იმ ბავშვებმა იციან. მათ იციან, ვინც მშობლიური სითბოსა და ალერსს სხვა, უცხო ადამიანებისგან იღებენ.

აი, სამსართულიანი შენობაც, ფართე ეზო, სიმწვანე, სიფაქიზე. ისინი ჩვეულებრივი ერიამეულით გამოიშალნენ.

— რა გქვია. ბიჭიკო, შენ? ეეკითხები მალანაზოვალებინან ბატარას.

— შაკრი.

— რა გვარი ხარ?

— ფეიქრიშვილი.

ვიცი, რომ სკოლა-ინტერნატის დირექტორიც ფეიქრიშვილია, ომარ ფეიქრიშვილი. ჯერ უბრალო დამთხვევა მეგონა, მაგრამ...

— შაკრი თბილისს ჩვილ ბავშვთა სახლიდან გადმოიყვანეს. მისი გვარი მამიდაშვილია. მამა ყავს და ბებია, — საუბარში ჩაერთო დალი ჯოხარიძე, — დირექტორის მოადგილე, — ომარს განუმარტავს აქვს, თავისი გვარი მისცეს და ქართული წესით მონათლოს, რა თქმა უნდა, თუ მამა დათანხმდა.

ბავშვი შვილი თვალებით გვიყურებს. ხან ერთს, ხან მეორეს, მერე გამართული ქართულით ამბობს.

— მე ომარი მამასთან მინდა!

ომარ ფეიქრიშვილი აქ 1983 წლიდან მეშაობს. იგი მოცეკვავე იყო. მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური ოლიმპიადისა და ფესტივალის ლაურეატი. სკოლის დირექტორობის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა, მაგრამ პირველად რომ მოვიდა, წამდაუწუთ გული უჩუყდებოდა. ბავშვის სევდიან, მოწყენილ სახეს რომ დინახავდა, ვფეკაცი ცრემლს ვეღარ იკავებდა. მერე ეს ცრემლი უსაზღვრო სიყვარულად იქცა. ამ სიყვარულმა კი შეუძლებელი შეძლო — სკოლა-ინტერნატი ერთ დიდ, ღიღინერ, თბილ ოჯახად შეკრა, სადაც ბავშვებს არც საჭმელი აკლიათ, არც ჩასაცმელი, არც მშობლიური მზრუნველობა. მათ ნიჭსა და შესაძლებლობებსაც ფართო გზა ეძლევა საკლასო თუ წრეობრივი მუშაობის პირობებში.

თუ მოზარდს სპორტი იტაცებს, მასაც ყველა გზა ხსნილი აქვს. განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობს თავისუფალი ჭიდაობის სექცია. რაიონის ნაყრები ძირითადად ინტერნატის აღსაზრდელებით არის დაკომპლექტებული. ისინი მონაწილეობენ რესპუბლიკურ პირველობაში, საკავშირო ტურნირებზე. მაგალითად, კახა გადიშვილს უკვე რესპუბლიკა იცნობს. ყოფილი მოსწავლე, ამჟამად თელავის ინსტიტუტის სტუდენტი თამაზ მუთოშვილი კი სპორტის ოსტატია, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, საქართველოს ჩემპიონი. ეს არც არის შემთხვევითი. მათი მწვრთნელი ცნობილი სპორტსმენი ოთარ ქოზაშვილია. იგი დიდ დროსა და ენერგიას იხმარს აღსაზრდელთა პიროვნული და სპორტული ღირსებების სრულყოფას.

...საკოლა-ინტერნატში ამჟამად სხვადასხვა ეროვნების 240 ბავშვია. მათ შორის ძალიან ცოტაა ისეთი, რომელსაც არც დედა ჰყავს და არც მამა.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები ცალკე არიან. მათთვის უზრუნველია . თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს და მათი სათამაშო მოედანი მზატკვრულად გაუფორმებიათ.

კერამიკის სასწავლო სახელოსნოში ბავშვები ხელოვან თემურ კვლიშვილთან ეუფლებიან. მას სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული. თავად შემოქმედებითად უდგება საქმეს. მისი მოწაფეებიც მასწავლებელს ბაძავენ. შედეგი გამოფენა-გაყიდვებზე აჩენს ხოლმე თავს. თანხა მათ სახელზე გახსნილ შენახვილი სალაროს წიგნაკებზე ირიცხება.

1989 წლის ივლისში მოსკოვში, ახალგაზრდა მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სკოლების და პიონერთა სასახლეების მოსწავლეთა ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. მასში თელავის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. მათ ვერცხლის მედალი და ფულადი პრემია დაიმსახურეს. წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში წაიდეს მოსწავლეთა ნახელავს.

ამჟამად სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე ბაშენებული ხარაჩოებია აღმართული. მალე ბავშვებს ექნებათ დიდი, კეთილშენყობილი სპორტული დარბაზი და ცალკე სასწავლო კორპუსი, რაც კიდევ უფრო სანტრესოს და მრავალფეროვანს ბაღდის მათ ცხოვრებას. ადვილი როდი იყო ამ საქმის წამოწყება. შაბათობების დროს მშრომელთა გამოძუვებული თანხით შეუდგნენ ამ შენებლობას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

სკოლა-ინტერნატს მზრუნველი შეფებიც ჰყავს. სხვადასხვარად როგორ შეძლებენ ბავშვებისთვის სასურველი გარემოს შექმნას.

მექანიკური ქარხნის დირექტორი თეიმურაზ სულხანიშვილი და მთავარი ინჟინერი მიხეილ მარგალიტაშვილი ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობენ — ამბობს ომარი. იგი დიდი სიკეთით იხსენებს აგრეთვე სამკერვალო ფაბრიკის კოლეკტივს.

...წლების მანძილზე მოდიან და მოდიან პატარები. მათ თვალებში ჯერ გაურკვეველ შიშსა და მოლოდინს წაიკითხავთ. მერე თანდათან მშვიდდებიან, საიმედოდ გრძნობენ თავს და პედაგოგ-აღმზრდელების, ძიძების თუ სხვა კეთილი ადამიანებისაგან გადაცემული სითბო მოეკი სიცოცხლე მისდევთ.

მადლობები, მადლობები. მადლობები აღსაზრდელების, მათი ახლობლებისაგან.

— ომარი ნამდვილ მშობლად მოვევლინა ჩემს პატარებს. თითოეული აღმზრდელის, ბავშვებლების კეთილსინდისიერება დამშვიდების უფლებას მაძლევს. მადლობა მშობლიური მზრუნველობისათვის, — წერს „ალაზნის გასთიადში“ (1986 წ. 9 X) ოთხ შვილიშვილის ბებია მარო შაშვიაშვილი.

— სამართლიანმა სულისკვეთებამ, თანადგომამ მომაფლის იმედი ჩამისახა, — წერს ლეილა გასიეკა.

— ზოგჯერ დედამ არც კი იცის, სად არის მისგან მიტოვებული შვილი, — ამბობს დალი ჯოხარიძე, — მჭონდა შემთხვევა, დედამ მოგვიანებით ნახა შვილი, მერე წავედა და წავიდა, აღარც გამოჩენილა.

ზრდიან, აფრთიანებენ და უშვებენ. ეს კიდევ ცალკე ტკივილია. ზოგს წასასვლელიც არა აქვს. ასეთთათვის დალი და ომარი მშობლები არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სწავლის გაგრძელებაში ეხმარებიან, ზრუნავენ მათი დაბინავებისა და დოკუმენტებისათვის.

ანა ქავთარაშვილი სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ სამედიცინო ტექნიკუმში აბარებდა. დალი მასწავლებელს სულ გვერდში ედგა ისე, რომ ყველს დედა ეგონა. სახლშიც მასთან იყო. მერე ინტერნატში გამოუყვეს კუთხე, რა ექნათ, ღუთის ანაბარას ხომ არ მიატოვებენ ქალაშვილს. იგი ბინის აღრიცხვაზეა, მალე საკუთარი ჭერი ექნება, ინტერნატი კი მისთვის მედგამ მშობლიურ სახლად დარჩება.

„იქნებ ჩემი სახელი დაგავიწყდა, დედი... იქნებ დაგავიწყდი, დედი, რა იქნება, ჩამოხვიდე და ერთხელ მაინც დამენახავ, ვინ იცის, გზაზე რომ შემხვდე, ვერ მიცნო“ — ეს დედისადმი შიწერილი ანეკდოტ ჯიოვვის ბარათიდანაა. დედის გული კი არა და არ გალღვება. ექვსი წლის იყო, უკანასკნელად დედა რომ ნახა.

— ომარი და დალი მასწავლებელმა გამზარდეს. როცა რაიმე მოუნატრებიათ — ომარი მასწავლებლის სახლში გაიარეთ. გასაიარი ჭერნდა და ყოველთვის შეგეძლო შესვლა. ახლაც ასეა. [illegible] ალკოვანი ხმით ამბობს [illegible]

ბან 52-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დამამთავრა. მერე ისევ მშობლიურ კერას დაუბრუნდა. ინტერნატში მუშაობს. მისთვისაც გამოინახა საცხოვრებელი.

ინტერნატში ამჟამად ოთხი და-ძმა ნერსესაზაშვილები ცხოვრობენ — ნანა, იზა, მაია, ნოდარი. მათ დედა არა ყავთ. ახალგაზრდა მამას გაუჭირდა ხუთი შვილის გაზრდა. მეხუთე ჰყავს მხოლოდ შინ.

დირექტორი ვერ მოისვენებს, იმათ თუ არ გადახედა, არ მიუალერსა.

ვინ გვიკვირს ყველაზე ძალიან და ომარი მასწავლებელია, ბუღალტერინი მითხრეს ბავშვებმა. იზა ფრიადოსანია, ეკაკაფ მერიის, ნანა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება. მასაც დალი და ომარი მასწავლებელი დაეხმარებიან, ბზას გაუკაფავენ.

...აცხოვრობენ, სწავლობენ. თითქოს ყველაფერი აქვთ. ღიმილიც დასთამაშებთ სახეზე, ცელქობენ კიდეც, როგორც ყველა ჩვეულებრივი ბავშვი, მაგრამ მათ მაინც დიდი რამ აკლიათ, დიდი და აუანაზაურებელი. აკლიათ ის, რაც დედმამამ არ უნდა მოაკლოს შვილს თუ ცოცხალია, არსებობს და სული უდგას. აკი ომარ ფეიქრიშვილმაც თქვა:

— მე თვითონ მამა ვარ, პაპა. თუ ჩემს შვილს და შვილიშვილს სჭირდება სითბო და სიხარული, ისე სჭირდება სხვასაც. ბავშვი რა შუაშია, თუ ოჯახი დაინგრა, თუ დედას სხვაგან გაერბის თვალი, თუ მამა არამამაა. ბავშვის გული, მთელი არსება თხოულობს სითბოსა და სიყვარულს და რა მამა ან რა დედა იქნები საკუთარი შვილებს, თუ ამგვარ ბავშვებს სიცოცხლე არ გაულამაზე და გაყინული გული არ გაუთბე... ყველა მხარეში გვიდგას, ბევრი საქმის გაკეთება შეგძელია, ბევრიც ჩანაფიქრშია, მაგრამ უმჯობესი ის იქნებოდა, რომ ამგვარი სახლები საერთოდ არ იყოს.

მშობელი შვილისთვის შეუცვლელია... თუ მშობელი ხარ, შვილს სითბო და ყურადღება არ უნდა მოაკლო.

იქნებ ოდესმე ასეც იყოს. დღეს კი... დღეს ჯერ, სამწუხაროდ, არიან და ბლომადაც არიან ისეთი ბავშვები, ვისაც მშობლიური მზრუნველობა სჭირდება. ამქვეყნად ყველაზე საჭირონი კი ის ადამიანები ჰრიან, ვისაც ბედმა, ცხოვრებამ თუ საკუთარმა გულმა არგუნა ამგვარი პატარების გვერდით ყოფნა და მათზე ზრუნვა.

ღმერთი იყოს მათი შემწე ამ კეთილშობილურ საქმეში.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ოსტატი გასროდ ბიბლიოგრ. თოვის
ზეგიდელთან

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲐᲠᲐᲜᲔᲜᲔᲑᲘ

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ

ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲝᲑᲝᲚᲘ

ერთ ცოლ-ქმარს ვიცნობდი, უდაძმონი და უშვილძირონი იყვნენ. ოცი წელი ერთად იცხოვრეს და ცალ-ცალკე ოცი საათიც კი არ გაუტარებიათ. ერთად დადიოდნენ სამსახურში, კინოთეატრში, მუზეუმში. ქუჩაში... ვინც იცნობდა, გულში ფიქრობდა, აი, სიყვარულიც ამას ჰქვიაო.

ქალი მოულოდნელად გარდაიცვალა, უსიტყვოდ და უსაყვედუროდ დალია სული.

დაკრძალვაზე მისულ თითო-ოროლა ნაცნობსა და ნათესავს გულწრფელად უკვირდა. შავხავერდშემოკრულ კუბოში ქალი მარტოკა, უქმროდ რომ იწვა. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, მგლოვიარე კაცს ფერწახულ ღაწვებზე წვეთი ცრემლი რომ არ ჩამოგორებია.

მხოლოდ გვიან, ნაშუაღამევს, როცა ხაბოლოოდ მიხვდა — ამ ღამის გათენება მარტოს მომიწევსო და ასეთი ღამე ამიერიდან კიდევ ბევრი იქნებაო, კაცი ცივ სარეცელზე დაემხო და მწარედ აქვითინდა.

თხელი კედლის იქით გულჩვილ მეზობელ ქალს, რომელსაც უძილობა სჭირდა, იმ ქვითინმა და დაქვრივებული მამაკაცის საცოდაობამ ობოლი ცრემლი მოჰგვარა.

ეჰ, რა იცოდა კეთილმა ქალმა, რომ ქვრივს თავისი მომავალი მარტოობის შიში და დარდი ატირებდა...

ᲜᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲐ

საწოლთან ვეებერთელა დათვის ტყავი ეფინა. ყოველ დილით, ლოგინიდან რომ ადგებოდა, მარჯვენა ფეხს წაბლისფერი ტყავის იმ ადგილს დაადგამდა ხოლმე, რომლის ქვემოთაც ოდესღაც დათვის მძლავრი გული დუგდუგებდა. კედელზე ვეფხის ტყავი ჰქონდა აკრული, ზედ წყვილი ხევსურული სატევარი გადაეჯვარედინებინა. მოპირდაპირე კედელზე უზარმაზარი ირმის რქა იყო მილურსმული. ზედ ბელგიური სისტემის მშვენიერი ორლულიანი თოფი ეკიდა.

ერთხელ სიმთვრალეში გამომიტყდა: ამ ძლიერ ნადირებს, ამ ძველებურ იარაღს რომ ვუყურებ, მეც ძალა მემატება და თავი ყოვლისშემძლე მგონიაო.

მართლაც-და, თითქმის ყოვლისშემძლე იყო ცხოვრებაში.

თუმცა არც ერთი იმ ნადირთაგანი თავად არ მოუკლავს და არც სატევარი სჭერია ხელში ოდესმე.

ᲐᲕᲣᲜᲗᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ

მე ტყიბულიდან გწერთ. თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი ვარ. მასში მუდამ ვპოულობ დიდ ადამიანურ სითბოს, სიკეთეს. ამიტომაც გავბედე ჩემი ტკივილი თქვენთვის გამეზიარებინა.

ბედნიერება მართლაც ჰაერივით ყოფილა. როცა სუნთქავ, ვერ ატყობ. მეც მთელი სისრულით არც კი მესმოდა, რა ბედნიერი ვყოფილვარ, როცა შევედი ოჯახში და ყველანი კეთილად დამხვდნენ. მეუღლის დედა, მამა, ძმები, რძალი...

ვცხოვრობდი სათნო, უბრალო ადამიანთა შორის და არც ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ შემიყვარდნენ ისინი.

მაგრამ მოხდა უბედურება, უეცრად გარდაიცვალა ჩემი მამამთილი, დამსახურებული პედაგოგი, კაცი უზომოდ შეყვარებული პოეზიაზე. ის ადამიანების სიყვარულით ცხოვრობდა ამქვეყნად.

ჩვენ თითქოს ფრთები დაგვეკეცა. თუმცა მისი სამი შვილი — ტარიელი, ავთანდილი და ჩემი მეუღლე — ფრიდონი უფრო ღონივრად შეეჭიდნენ თავიანთ საქმეს.

ჩემმა მეუღლემ, ფრიდონმა, ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა და ამჟამად შახტში მუშაობს. ყველას გულით გვინდა, მამას სიცოცხლე ღირსეულად გავაგრძელოთ. არ ვიცი, შევძლებთ თუ არა. მე კი ერთი სურვილი მაქვს, ჩემს საყვარელ ჟურნალში ჩემი მამამთილის ერთი ლექსი მაინც ვნახო დაბეჭდილი. ასე მგონია, მაშინ გაცოცხლდება, კვლავ შემოვა შინ გაღიმებული, კვლავ სითბო და სიკეთე იზეიმებს.

ამას რომ გწერთ. ისიც კარგად ვიცი, რომ კარგა ხანია, „დროშის“ ფურცლებზე აღარ ჩანს ლექსი. მაინც ვბედავ. ვბედავ და გესაუბრებით როგორც ახლობლებს“.

ამ უაღრესად ადამიანურ ბარათშიც და ტყიბულის რაიონული გაზეთის გვერდებზეც, რომელიც მოყვარულ რძალს, ნინო ჩივაძეს, კონვერტში სათუთად ჩაუდვია, ერთი რამ გვეხება ყველას — დიდი ძალა აქვს ადამიანურ სიყვარულსა და სიკეთეს.

ბარაქალა მასაც, ვინც ამგვარ სანთელს აანთებს ამქვეყნად და მასაც, ვისაც შეუძლია მისი დანახვა და დაფასება. არადა რა ხშირად ვივიწყებთ, რომ ქრისტიანულ მცნებათაგან ერთ-ერთი მოყვასის სიყვარულია. ამქვეყნად ყველაზე ამაღლებული და დიადი ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით დაწყებულა, რამეთუ სიძულვილს ქვეყნად არასოდეს აუშენებია ტაძარი...

ჩვენი ერის სანუკვარი ოცნებაც ქართველთა ერთობის, სიყვარულის და სიკეთის გზით თუ არ მოვიდა, ბოროტებასა და სახსლზე დაფუძნებულის ნგრევას რა აზრი ექნება...

გვერდში მდგომი ადამიანის სევდა და გასაჭირი ვისაც გულს არ ტკენს, იგი მთელი ერის მაჯისცემას ვერასოდეს გაიგებს.

გულცივობამ კი რატომღაც იმატა. ეს გულცივობა ზოგჯერ მკვლელობას უდრის. ამიტომ შეძრა რედაქცია უცნობი ქალიშვილის სასოწარკვეთილმა ხმამ: „ერთი რამ მინდა გკითხოთ, შეგიძლიათ სულის სიღრმის წვდომა? შეგიძლიათ დააძლევინოთ ვინმეს მარტოობა? შეგიძლიათ თვითმკვლელობისაგან ვინმე იხსნათ?

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

როცა მას კეთილი ბარათით გამოვეხმაურეთ, მოგვწერა: „აი, თურმე რა ცოტა რამ ყმარა დიდი სიხარულისთვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის. ეს ცოტა რამ, დღეს ყველაზე მეტად გვაკლია, სულგრძელობაა ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა. ეს ცოტა რამ იმის ცოდნაა, რომ ყოველი ადამიანი ახალი ალმოჩენაა, თავისებურად ლამაზი და მიმზიდველი. ეს ცოტა რამ სულის სიღრმის წვდომაა, იშვიათად რომ შეგვიძლია ადამიანებს“.

და ქალიშვილმა უმალ თქვა სათქმელი. გვიამბო თავის გაუბარელ ბავშვობაზე, ოჯახურ ხევდაზე და დაიხატა ადამიანური სული, რომელსაც ძალიან სჭირდება სიკეთე და მეგობრობა.

... ქალიშვილს დასჭირდა სულიერი მეგობრების ძებნა უცხო ადამიანთა შორის. თუმცა ჰყავს თანამშრომლები, ამხანაგები, თანაკლასელები, თანასოფლელები...

განა ასეთი ძნელია, ავუნთოთ ერთმანეთს სიკეთის სანთლები?

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲒᲘᲐᲜᲘ

„ფეხბურთის მეფე“ თანაუმეწილის როლში

„ფეხბურთის მეფე“ პელე ახლა ახალ როლში გამოდის. მან ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელობის თხოვნით იკისრა ერონული ნაკრების მთავარი მწვრთნელის სებასტიანო ლაზარონის თანაშემწეობა და ამ თანამდებობაზე მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე იქნება.

პელეს ამ ახალ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით მას ძალიან ხშირად ეწვევიან ხოლმე ჟურნალისტები. გთავაზობთ „ფეხბურთის მეფის“ საუბრის რამდენიმე ნაწყვეტს პარიზის ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ კორესპონდენტთან.

— ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ თქვენ ახალი როლი დაგვაკისრათ...

— კონფედერაციის პრეზიდენტმა ტაქსეირამ მთხოვა, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში დავეხმარო ნაკრებს. დარწმუნებული იყავით, ბრაზილიის ფეხბურთისათვის მაქსიმუმს გავაკეთებ.

— რაში გამოიხატება თქვენი მუშაობა?

— ბრაზილიის ფეხბურთის წინაშე რთული პრობლემა დადგა. იმის გამო, რომ წამყვანი მოთამაშეების დიდი ჯგუფი ამჟამად საზღვარგარეთის კლუბებში გამოდის. მე შევეცდები, ნაკრების ხელმძღვანელობას დავეხმარო ამ პრობლემის გადაჭრაში. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ოფიციალური თანამდებობა არ მიკავია — ჩემი აქცია, შეიძლება ითქვას, მეგობრობის აქციაა. რაც შეეხება ჩემს მუდმივ სამუშაოს, კვლავ დაკავშირებული ვარ ნიუ-იორკის ფირმა „ვარნერ კომუნიკეიშენთან“. ეს ფირმა რომ არ დაგვხმარებოდა, ვერ შევძლებდით სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის გამართვას.

— ახლა ზოგი რამ იმ ფუნქციებზე, ნაკრებში რომ გაკისრიათ:

— მთავარ მწვრთნელს უნდა დავეხმარო ნაკრების მოთამაშეების შერჩევაში, გარდა ამისა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ხელი შევუწყო ფსიქოლოგიურ მომზადებაში, ერთი სიტყვით, მონაწილეობა უნდა მივიღო მოთამაშეების საბრძოლო მომზადებაში.

— ადევნებთ თუ არა თვალყურს იმ მოთამაშეებს, უცხოეთის კლუბებში რომ გამოდიან?

— ხშირად ვმოგზაურობ საზღვარგარეთ, გარდა ამისა, იმ ქვეყნებში, სადაც ბრაზილიელები თამაშობენ, ინფორმატორებიც მყავს. ამის შემდეგ მოხსენებას წარვუდგენ ხოლმე ლაზარინის, ვუხასიათებ ამ ფეხბურთელების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნას, შეუძლიათ თუ არა მათ ნაკრების ღირსების დაცვა.

ბრაზილიელების ტურნემ ევროპაში კატასტროფული შედეგები მოიტანა. მიგაჩნიათ თუ არა, რომ გამარჯვებამ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე მნიშვნელოვნად შეიცვალა სიტუაცია?

— ძნელი დასასახელებელია მეორე ისეთი ქვეყანა, ჩვენსავით ნიჭიერი ფეხბურთელები რომ ჰყავდეს, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ გვაკლია შეთამაშება, ორგანიზაციული ხარვეზებიც გვაქვს. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის წინ ჩვენ საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ვერ ითამაშებდნენ დაშავებული კარეკა და ჟორჟინიო, მარსელის „ოლიმპიკმა“ არ გაათავისუფლა მოზერი, „მონპელიემ“ კი — ჟულიო ცეზარი. ამის მიუხედავად მაინც ისეთი არჩევანი გვქონდა, რომ ნაკრებში ვერ მოხვდა მიულერი, თუმცა ჩვენ ჩემპიონატისათვის 20 მოთამაშე შევარჩიეთ.

— რომელ ფეხბურთელებს აქვთ კარგი შესაძლებლობა, რომ მოხვდნენ ნაკრებში?

— ევროპულ ტურნირში ნაკრებს არ ახლდნენ ბებეტო, ალდაირი, ჟორჟინიო, გალვაო, რომლებიც ამ დროს რიო-დე-ჟანეიროს შტატის ფინალში მონაწილეობდნენ. ისინი, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატში გამოხვლის პრეტენდენტებად უნდა მივიჩნიოთ. როცა ჩვენი ფეხბურთელი კლუბში გადადის, კონტრაქტში აუცილებლად უნდა შევიტანოთ მუხლი იმის შესახებ, რომ ნაკრების პირველივე მოთხოვნისთანავე ამ მოთამაშეს მყისვე გაათავისუფლებენ.

— გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ მწვრთვნელი ლაზარონი უნდა შეიცვალოს ესპინოზათი ან დიდით.

— ეს უაზრო ნაბიჯი იქნებოდა. ლაზარინი ღირსეული მწვრთნელია.

თავის დროზე ჟურნალისტებს განუცხადეთ, რომ გინდოდათ, სპორტის მინისტრი გამხდარიყავით.

— ასეთი სამინისტრო ამჟამად ბრაზილიაში არ არსებობს. ამ საკითხზე ადრე მესაუბრა ბრაზილიის პრეზიდენტი ტანკრედო ნევესი. შესაძლოა, სამინისტრო შეიქმნას კიდეც, თუ არჩევნებში ლეონელ ბრიზოლა გაიმარჯვებს.

— გინდათ თუ არა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეთ?

— აქამდე რამდენჯერმე ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელი ვიყავი, მაგრამ პროფესიული კლუბის სათავეში არასოდეს ვმდგარვარ. ასე რომ, ნაკრების მწვრთნელობაზე პრეტენზია არა მაქვს.

— თქვენ ევროპის წამყვან კლუბებში არასოდეს გითამაშიათ.

— მექსიკაში მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მილიონერმა აგნელიმ, რომელიც ტურნირის „იუვენტუსის“ მეპატრონეა, ამ კლუბში მიმიწვია. ზუსტად ამავე დროს მადრიდის „რეალმა“ ფანტასტიური ფინანსური პირობები შემომთავაზა. სხვათაშორის, იგივე „რეალმა“ ამასწინათაც მიმიწვია მწვრთვნელის პოსტზე. ყველა ეს წინადადება ვუარვყავ, რადგან მირჩევნია, ვიცხოვრო სტრესის გარეშე.

— თქვენი 19 წლის ვაჟი ედინიო, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობს, მეკარედ თამაშობს.

— როცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვხვდები, ვუმტკიცებ ხოლმე, რომ გუნდის ყველა რგოლში თამაში თანაბრად საპატიოა. ჩემს შვილს სხვანაირად ველაპარაკები: სჯობს გოლი თვით გაიტანო, ვიდრე კარი დაიცვა-მეთქი.

— თქვენ მეკარეების რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ?

— არა, რატომ! მე გუნდში ნებისმიერ ადგილას მითამაშია. ჩემი პირველი კარიერის მანძილზე მეკარედაც კი სამი მატჩი მაქვს ჩატარებული.

მოამზადა გივი გამრეკელმა

უბერებელი სიჭაბუკე

სწორედ სიმღერის უბერებელმა სიჭაბუკემ ხელახლა შემოანათა ჩვენს სულში იმ მუსიკალური შინაარსის წყალობით, დღეს ფირფიტის სახით ხელთ რომ გვიპყრია. საიდან მოაღწია ჩვენამდე სიცოცხლის სიხალისის, ჰანგის სიმშვენიერის, წარმტაც ვნებათა ერთხმოვანების ჯადოსნურმა შეგრძნებამ? ვინ არიან ისინი, ვინც საკუთარი სულის სიმების აჟღერებით მოგვანიჭა განუზომელი სიამოვნება და ლირიკულ ემოციათა უშრეტი აკორდებით აგვავსო?

ქართველი ხალხის კულტურული და სულიერი ყოფის განუყრელ, კეთილშობილურ თანამგზავრად იქცა გიტარა გასული საუკუნის დასაწყისშივე და სალონურ-ინდივიდუალური სარგებლობიდან უკვე ჩვენი ასწლეულის 30-იან წლებში ესტრადებზე, კინოფილმებში, გრამფირფიტებით გამოჩენის ღირსეული პრიორიტეტი მოიხვეჭა. ქართულმა გიტარამ, ამ უნაზესი, კეთილხმოვანი და საოცარი დიაპაზონის მქონე საკრავზე ვირტუოზული დაკვრის წყურვილმა დაამეგობრა ომისშემდგომ წლებში ორი თბილისელი ჭაბუკი — ედუარდ სეფაშვილი და კონსტანტინე მაკარიძე. საერთოდ, ქართულ საესტრადო ჟანრებში მომუშავე პროფესიონალ მსახიობთა კონტინგენტი, თითქმის, უპირატესად, სტუდენტ ახალგაზრდობათა მხატვრული თვითმოქმედებით საზრდოობს.

სეფაშვილ-მაკარიძის ვოკალურ-საკრავიერმა დუეტმაც პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედებიდან ძალიან მალე გაითქვა სახელი და დაიმკვიდრა ადგილი პროფესიულ ესტრადაზე. 50-იანი წლების დასაწყისში კი ვაჟთა დუეტს შეემატა პოპულარული ქართველი მომღერალი ქალი მარეხ გოძიაშვილი და დაიწყო გოძიაშვილ-სეფაშვილ-მაკარიძის საოცარი მოგზაურობა ჩვენი რესპუბლიკის, მთელი კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალურ აუდიტორიათა წინაშე. სწორედ ეს წლები შეიძლება ჩაითვალოს ამ ბრწყინვალე ტრიოს „ოქროს ხანად" — სარეპერტუარო შესრულების დიდებული აღიარებითა და პოპულარობით! აბა, ერთი დაინტერესდით და მოძებნეთ შესაფერის მუსიკალურ ფონდებში იმდროინდელი ტრიოს ნამღერი „წაღვერი და თბილისი", „თოლია", „ირემი", „შემირიგდი", „გამიღიმეთ, ყვავილებო", „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ", „რა საეჭვოდ იღიმები", „ჩიტუნია" და მრავალი სხვა. ჭეშმარიტად, ირწმუნებთ სიყვარულის, სევდიანი მოგონების, უზომო სიხარულისა და საოცარი ბედნიერების მასაზრდოებელ ძალას ძველი, უჭკნობი ხელოვნებისა.

„მოსკონცერტში" სამუშაოდ გადასული ედუარდ სეფაშვილი ნოვოსიბირსკის გასტროლების დროს ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ფეხი დაკარგა. მაგრამ მას ესტრადის სიყვარული და სცენაზე კვლავ გამოსვლის ვაჟკაცური ჟინი როდი დაუკარგავს. შთაგონებული ხელოვნების ყოვლისშემძლე ძალამ კვლავ ფეხზე დააყენა მუსიკოსი და საბედისწერო შემთხვევიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ უკვე მშობლიური თბილისის ფილარმონიის საზაფხულო დარბაზი ოვაციებით შეეგება მას — მოღიმარს... ეს იყო დიდი ხნის წინათ. ის ზემოხსენებული ჯგუფი მუსიკოს-შემსრულებელთა კი, იმ დროისათვის, უკვე სხვადასხვა შემადგენლობითა და სხვადასხვა სახელწოდების ანსამბლებად გამრავლებულიყო. მცირე საესტრადო კოლექტივებს სჩვევიათ ხშირი სახეცვლილებანი. თუმცა ჟანრებისა და მუსიკალურ იდეა-განწყობილებათა ბოლომდე ერთგული გატანაც ახასიათებთ. მეტად დიდია „ძველი ტრიოს" დამსახურება ქართული საბჭოთა ესტრადის წინაშე. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა დროს ედუარდ სეფაშვილთან და კონსტანტინე მაკარიძესთან ერთად სწორედ ტრიოში უმღერიათ საქვეყნოდ განთქმულ შემსრულებლებს — ამირან და სოსო ებრალიძეებს, მარეხ გოძიაშვილს, გიული ჩოხელს, ვენერა მაისურაძეს, ნაზი დუმბაძეს, ჯულიეტა მურადელს, რობერტ ბარძიმაშვილს, გიზო დათუაშვილს და სხვებს... დიახაც რომ განუზომლად დიდია ხელოვანთა ღვაწლი გიტარასთან დაკავშირებული ჟანრების, საკომპოზიციო ფორმათა, საუკეთესო ქართული, რუსული, საბჭოთა სიმღერების პოპულარიზაციის საქმეში.

... 1981 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლმა ვერ დაიტია ყველა მსურველი. სცენა და მაყურებელთა დარბაზი ერთ მთლიანობად ქცეულიყო. საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობა საზეიმოდ აღნიშნავდა ესტრადის მსახიობ ედუარდ სეფაშვილის შემოქმედებით საღამოს, მიძღვნილს მისი დაბადების ორმოცდაათი და საშემსრულებლო მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავისადმი. ყველა ცნობილი კომპოზიტორი, ძველი თუ ახალი მოღვაწე-მუსიკოსი და სიმღერა-გიტარის მრავალი ტრფიალი ვიხილეთ მაშინ იქ, საამო მღელვარებით შეპყრობილ მოზიმზიმე თავყრილობაზე. რა მგრძნობიარე და საყვარელ საზოგადოებას შევხვდით!.. რარიგ ბედნიერი იყო თავად იუბილარი, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე მოუხმო ძველ მეგობრებს და მათთან ერთად აღადგინა, ხელახლა დაამუშავა, დახვეწა და მოიტანა ჭაბუკობისდროინდელი გამაჟრიალებელი ხელოვნება იმაოდენ ფართო ასპარეზზე ღერებლად, ვისაც ამ ჰანგთა თვალსაზრისით განევლო სიყმაწვილეც, [illegible] ნამდვილი, დამუხტული ცხოვრების პერიოდები და დღეს, 80-იან წლებში, ელექტროსაორკესტრო-რიტმული ესტრადის ხმაურიან ხანაში კვლავ გაიხსენა ის, რასაც სიბერე არ უწერია.

იუბილარს იმ საღამოს მარცხნივ ედგა ისევ კონსტანტინე მაკარიძე — შესანიშნავი ინსტრუმენტალისტი და მომღერალი. მოსკოვისა და ვენის ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალების მონაწილე და ლაურეატი, გასტროლებით რომ მოიარა ინგლისი, შოტლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, ეგვიპტე, ნეპალი, პოლონეთი... კაცი, რომელმაც პროფესიული გიტარა ჟურნალისტის პროფესიულ კალმოსნობაზე გაცვალა, მაგრამ მეგობარს და ძველ სიყვარულს (თანაც ასეთ დღეს!) აბა როგორ გაექცეოდა! ხელმარჯვნივ გურამ ბალარჯიშვილს მიეკრა გულზე გიტარა — იშვიათი ვოკალური ალღოსა და საშემსრულებლო ტექნიკის მქონე მუსიკოსს, თავდაპირველად საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი რომ იყო, შემდეგ, დღევანდელ იუბილართან ერთად გამოდიოდა სცენაზე, ბოლოს მხატვარ-გრავიორის პროფესიულ ცხოვრებაში ჩაერთო, მაგრამ... სიმღერამ და გიტარამ კვლავ მოუხმეს გრძნეული ძახილით სცენისკენ, და ისინიც ძველებურად მხარდამხარ, მოლაპლაპე საკრავებით ხელში დაუდგნენ ერთმანეთს ხალხის, ხელოვნების, მშვენიერების შუაგულში!.. და ის, რომ უკვე ხალხურად ქცეული „ყაყაჩოს" პირველი აკორდის აღებისთანავე გახსენების სიხარულით ცრემლმორეულმა დარბაზმა იქუხა ოვაციებით, ძველი ტრიოს წევრის იუბილე ამ ტრიოს ჭეშმარიტ ტრიუმფულ ბენეფისად იქცა მაშინ, და დღეს, ყველა საქმე გვერდზე გადაადებინა მის ახლანდელ შემადგენლობას; ის, რომ სწორედ ამ ანსამბლმა ოფიციალურად საესტრადო სცენის, რადიო-ტელევიზიის მეშვეობით, ამჟამინდელი რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთული გასტროლებითაც ახალი სიცოცხლე შთაბერა ყოფიერების გამლამაზებელ უბერებელ ჰანგებსა და მუსიკალურ განწყობილებას, ნამდვილად ხალასი და შთაგონებული სიყვარულის საბოლოო გამარჯვებაზე მეტყველებს საგიტარო-ვოკალური კეთილხმოვანების საუფლოში. ამ სტრიქონების ავტორი კი თავს ბედნიერად გრძნობს, რადგან მას საშუალება მიეცა, თქვენ გაგახსენოთ ანსამბლი, რომლის სამივე წევრის მიერ შესრულებულ ყოველ სიმღერას ქართული ეროვნული მუსიკის სიღრმეში გაუდგამს ფესვი და დღეს საკავშირო ფირმა „მელოდიის" დიდებული გრამფირფიტის ენერგიით დაუწყია ახალი, დალოცვილი, ლამაზი სიცოცხლე!

ვასილ მჭედლიშვილი

ყველაფერი იუმორი

სარფიანი კლიენტი

დაცარიელებულ რესტორანში მეტრდოტელი ოფიციანტთან მივიდა, მაგიდასთან ჩაძინებულ კლიენტზე მიუთითა და ჰკითხა:

— ეგ ტიპი ადარ უნდა გააგდო? ხომ მაინც არაფერს გიკვეთავს.

—არავითარ შემთხვევაში, ყოველთვის მიხდის ფულს, როცა კი გავადვიძებ ხოლმე.

შემთხვევა სადალაქოში

კანადელმა ტუხისმჭრელმა ჯიმიმ გადაწყვიტა, ადგილობრივ სადალაქოში პირი გაეპარსა. ხელოსანს უამრავი კლიენტი ესია და დაუდევრად პარსავდა. ჯიმს ჯერ მარცხენა ლოყა გაუჭრა, მერე მარჯვენა, შემდეგ ნიკაპი და ცხვირიც კი. ჯიმი გმირულად დუმდა. კლიენტის თავშეკავებით განცვიფრებულმა დალაქმა წამოიძახა:

— მითხარით ერთი, ხომ არ მჭონია თქვენი წინათ გაპარსვის პატივი?

— არა, — მიუგო ჯიმიმ, — ხელი სამხერხაოში დავკარგე.

მასაჟარადზე

— შეხედეთ, შეხედეთ. მშვენიერო, აი იმ მახხარას პაპიე-მაშეს დიდი ცხვირი რომ აქვს!

— ჯერ ერთი, მახხარა კი არა, ჩემი ქმარია, და მეორეც, პაპიე-მაშესი კი არა, მისი საკუთარია.

საშობაო ვალსი

ბატონი ლუნდბერგი საშობაო ნავაჭრით ბაზრიდან რომ გამოვიდა, ვერა და ვერ დაქოქა თავისი ავტომობილი. მერე დასაქოქი სახელური გამოაძრო და ხელით დაუწყო ძრავას ტრიალი. ამ დროს მას ბეცი მოხუცი მიადგა, ვერცხლის მონეტა გაუწოდა და ჰკითხა:

— უკაცრავად, კეთილო კაცო, თქვენი არღანი „საშობაო ვალსს“ ვერ დაუკრავს?

მისალოცი დეპეშები

ქარხანა „ცისარტყელამ“ წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მეორე დღეს ყველა მუშამ და მოსამსახურემ უკლებლივ მიიღო ქარხნის ხელმძღვანელობის მისალოცი დეპეშები.

— მაგრამ დეპეშებით რატომ მოგვილოცეს? — გაუკვირდა ხარატ კელერს.

— ეს უდაოდ დირექტორის ცოლის იდეაა. — გამოთქვა თავისი მოსაზრება ბრიგადირმა ბაუერმა.

— ის ხომ საჭალაქო ფოსტამტს განაგებს, — შენიშნა კელერმა, — და ჩვენს ქარხანასთან არავითარი დიმოკიდებულება არა აქვს...

— აქვს, აქვს, — მიუგო ბრიგადირმა. — ჩვენ რომ არა, მისალოცი დეპეშების გეგმა ჩაუვარდებოდათ...

სიურპრიზი

ფრანც მიულერი ახალ ბინაში რომ გადავიდა, მეორე დღეს სამსახურში კოლეგებმა ჰკითხეს:

— რამდენი დაუმთავრებელი რამ აღმოაჩინე ახალ ბინაში?

— ჯერჯერობით ერთი.

— იღბალი გქონია. მაინც რა?

— შესასვლელი კარი ვერასგზით ვერ გავაღე.

თადარიგი

— უკვე შეატყობინეთ რესტორნის დირექტორს ჩემი მოსვლის ამბავი? ჰკითხა რევიზორმა მიმტანს.

— რასაკვირველია. იგი ნახევარ საათში დაბრუნდება.

— სად წავიდა?

— ცოლ-შვილთან გამოსამშვიდობებლად.

თაღლითობა

— ჩემს მეუღლეს მშვენიერი მარგალიტის ყელსაბამი ვუყიდე, — უთხრა ამერიკელმა ბიზნესმენმა მეგობარს.

— მაგრამ მას ხომ საჩუქრად ახალი მანქანა უნდოდა?!

— მერე, სად გინახავს, რომ ყალბ ავტომანქანებს ყიდდნენ?

ნუგეში

საბო მეორედ დაქორწინდა. ქორწილის მერე თავის ახალგაზრდა ცოლს უთხრა:

— საყვარელო, ახლა ერთი ჩემი დიდი ნაკლი მინდა გაგიმხილო.

— განა რა ნაკლია?

— სამწუხაროდ, ხშირად უმიზეზოდ ეჭვიანობ.

მშვენიერმა ცოლმა მომხიბლავი ღიმილით მიუგო:

— ნუ ღელავ, ძვირფასო, ჩემ გამო უმიზეზოდ ეჭვიანობა არ მოგიწევს.

გამოცდილება

საკმაოდ გალეშილმა ბატონმა ბერგმანმა, რომელიც გათენებისას მეჯლისიდან ბრუნდებოდა, პოლიციელს მიმართა:

— მომიტევეთ, ჩემო ბატონო, ვერ მეტყვით რამდენი კოპი მაქვს შუბლზე?

— ხუთი.

— ჩინებულია. მაშასადამე, სახლამდე კიდევ ზუსტად სამი ბოძი დარჩა.

ჩიხში მოქცევა

— ძვირფასო, არ მომეხმარები ჭურჭლის დარეცხვაში? — უთხრა მონიკამ მეუღლეს.

— არა, საშინლად მეძინება.

— მე მხოლოდ შენი გამოცდა მინდოდა. ჭურჭელი დიდი ხნის დარეცხილია.

— ვიხუმრე, ჩემო კარგო. სიამოვნებით მოგეხმარებოდი.

— დიდებულია. მეც ვიხუმრე. ჭურჭელი ჯერ ისევ დასარეცხია!

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

მიკ ტაისონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არც პირველი გახლავთ და, ეტყობა, არც უკანასკნელი. მომავალში არაერთმა გამოჩენილმა მოკრივემ ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში „იმოგზაურა“ ციხეში, არც შემდეგში შეუწყვეტია კავშირი დამნაშავეთა სამყაროსთან. გავიხსენოთ თუნდაც მსოფლიო ჩემპიონი სონი ლისტონი...

მიკ ტაისონი, რომელიც ამერიკელ ზანგთა ოჯახში გაიზარდა, უკვე 10 წლისა ქურდებს დაუკავშირდა და სულ მალე ბავშვთა კოლონიაში აღმოჩნდა. განთავისუფლებით კი გაათავისუფლეს, მაგრამ, ცხადია, ისევ საპატიმროში ამოყოფდა თავს ერთ შემთხვევით აყალმაყალს რომ არ გადაჰყროდა. ქუჩაში ატეხილი მუშტი-კრივის შემდეგ ტაისონი გაქცევას შეეცადა, მაგრამ მას პოლიციელი, ოდესღაც პროფესიონალი მოკრივე ბობ სტიუარტი დაეწია და დაუნდობლად სცემა. პოლიციის უბანში კი ადარ წაუყვანია — ასეთ ხულიგანს მაინც ვერაფერი გამოასწორებსო.

ერთი სიტყვით, მომავალმა განთქმულმა მოკრივემ პირველად მიიღო, თუ კრივის არა, ქუჩაში მუშტი-კრივის სასტიკი გაკვეთილი. ახლა უკვე ტაისონმა გადაწყვიტა კრივის შესწავლა, რათა იგი ასე იოლად არავის ეცემა. გაბოროტდა, სამაგიეროს გადახდის სურვილმა შეიპყრო და კრივის მასწავლებელს მიაკითხა.

სპორტში იღბლისა და გამართლების „ხვედრითი წონა“ ხშირად ძალიან დიდია. მოხდა ისე, რომ ტაისონი მდიდარი ინტუიციით დაჯილდოებული მწვრთნელის კეს დ'ამატოს ხელში აღმოჩნდა. ვინ არ იცნობდა დ'ამატოს პროფესიული კრივის სამყაროში! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსოფლიო ჩემპიონები ფლოიდ პატერსონი და ხოსე ტორესი სწორედ მან აღზარდა. ვინ იცის, რამდენი ბავშვი მოდიოდა დ'ამატოსთან, რამდენს უწევდნენ რეკომენდაციას, მაგრამ გამოცდილმა სპეციალისტმა თვითონ იცოდა, ვინ კარგად უნდა ემეცადინებინა და ვინ — არა. რაც შეეხება ტაისონს, მისი არაჩვეულებრივი გამძლეობა და ნიჭიერება ეჭვს არ იწვევდა. მწვრთნელმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ბიჭი თითოეულ ილეთს იოლად ეუფლებოდა, ბევრი ჩიჩინი არ სჭირდებოდა. დიდი ინტუიცია ჰქონდა და მარჯვედ იცავდა თავს. მაშინ დ'ამატომ გადაწყვიტა, მისთვის ეს თვისება რაც შეიძლება მეტად განევითარებინა. ტაისონი მწვრთნელის მეთვალყურეობით ატარებდა მეტად თავისებურ სპარინგ-მატჩებს, რომლის დროსაც მას მარტო მეტოქის შეტევა უნდა მოეგერიებინა. საპასუხო დარტყმის მიყენების უფლება კი არ ჰქონდა.

1984 წლისათვის ტაისონი უკვე საკმაოდ ცნობილი მოყვარული მოკრივე იყო და, შეიძლება ითქვას, ყველაფერს დ'ამატოს უმადლოდა. სრულიად გაუთლელი ჭაბუკი მწვრთნელმა თითქოს იშვილა, ძალიან უწყობდა ხელს. ჟურნალისტებს უყვარო სენტიმენტალური ამბების მოგონება, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა განთქმულ პიროვნებებზეა ლაპარაკი. და აი, კრივის ერთი მიმომხილველი თვით ტაისონის ნათქვამს იმოწმებდა და ამტკიცებდა, მიკმა სიცოცხლეში პირველად მაშინ იტირა, როცა დ'ამატო გარდაიცვალაო. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება ეს მართლაც ასე იყო. ის კი ფაქტია, რომ ტაისონი დ'ამატოს ფოტოსურათს არასდროს იშორებს და მატჩის დაწყების წინ თავის კუთხეში ჰკიდებს. ეს მისი თავისებური თილისმაა.

აშშ-ის მოყვარულ მოკრივეთა ფედერაცია ლოს-ანჟელესის ოლიმპიადაზე გასაგზავნი გუნდის კანდიდატებს არჩევდა. ტაისონი შესარჩევ მატჩში ჰენრი ტილმენს შეხვდა, დამარცხდა და... პროფესიონალი გახდა. 1984 წელს, როცა ტილმენმა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მან, ცხადია არ იცოდა, რომ იგი უკანასკნელი მოკრივე იქნებოდა, რომელმაც ტაისონს სძლია.

ტაისონის წარმატებები პროფესიულ რინგზე ფენომენალურია! აქ მან მოიგო ყველა (!) მატჩი და თავისებური მეტსახელიც დაიმსახურა: „მანქანა, რომელიც ნოკაუტში ისტუმრებს“.

როცა ტაისონი პროფესიონალი გახდა, მსოფლიო ჩემპიონის წოდება ერთბაშად სამ მძიმეწონასან მოკრივეს ჰქონდა. კრივის სამყაროში ხომ სამი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს, რომლებსაც ერთმანეთთან, რბილად რომ ვთქვათ, ცივი ურთიერთობა აქვთ და თავიანთი ჩემპიონები ჰყავთ. ვინ იფიქრებდა, რომ ტაისონი სამივე მათგანს აიძულებდა, რათა ის ჩემპიონატად ეცნოთ. მაგრამ ამისათვის მას სამივე ორგანიზაციის კერპების დამხობა მოუხდა. 1986 წლის 22 ნოემბერს ახალგაზრდა პრეტენდენტი შეხვდა მსოფლიო ჩემპიონს „უორლდ მოქსინგ კორპორეიშნის“ ვერსიით ტრევორ ბერბიკს, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ თავის დროზე მუჰამედ ალის სძლია. უკვე მეორე რაუნდში ალის მძლეველი ნოკაუტში აღმოჩნდა! ყოფილი ქურდი და განგსტერი მიკ ტაისონი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

1987 წლის 7 მარტს ტაისონი შეხვდა კიდევ ერთ მსოფლიო ჩემპიონს, ამჯერად უკვე „უორლდ ბოქსინგ ასოშეიშნის“ ვერსიით, „ძველების მკვნეტელად“ წოდებულ ჯეიმს სმითს. 12 რაუნდის შემდეგ სამივე მსაჯმა გამარჯვებულად ტაისონი აღიარა. 1987 წლის 1 აგვისტოს ტაისონმა მესამე მსოფლიო ჩემპიონიც დაამხო („უორლდ ბოქსინგ ფედერეიშნის“ ვერსიით) — ტონი ტაკერი. ამრიგად, სამივე ორგანიზაციამ ერთი მსოფლიო ჩემპიონი აღიარა — მიკ ტაისონი. ამას ტაისონმა სულ რაღაც 9 თვეში მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კროსვორდი



თარაზულად: 2. ჰოლანდიის ფეხბურთელთა კლუბი; 4. მექსიკის უდიდესი სტადიონი; 7. დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელთა კლუბი; 8. ჩოგბურთის მსგავსი თამაში პლასტმასის ძაბრისებრი ბურთით; 10. ჭადრაკის თამაშში — ისეთი მდგომარეობა, როდესაც მეფეს მოწინააღმდეგის რაიმე ფიგურით ან პაიკით თავდასხმა ელის; 12 ქვეყანა, სადაც 1966 წელს მოეწყო მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში; 15. სპორტული ნაგებობა ველო-და მოტოსპორტში შეჯიბრებისათვის; 17. ბელგიის ფეხბურთელთა კლუბი; 19. იაპონური შაში; 21 სპორტულ შეჯიბრებათა დასკვნითი ნაწილი; 22. გამოჩენილი პორტუგალიელი ფეხბურთელი; 24. უვარლის ფეხბურთელთა გუნდი; 25. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 27. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 28. მსოფლიოს უდიდესი სტადიონი; 30. იტალიის ფეხბურთელთა კლუბი; 31. სპეციალურად მოწყობილი ადგილი ცხენოსნობაში შეჯიბრებლად; 32. ევროპის სახელმწიფო; 35. საბერძნეთის ფეხბურთელთა კლუბი; 37. სოფელ ადგილას მცხოვრები ცალკე ოჯახი; 42. 60-იანი წლების ბალტიისპირელი მსაჯი ფეხბურთში; 44. რისამე ჩამოთვლა, სია; 46. ნიმუში, რის მიხედვითაც ამზადებენ რისამე დეტალს; 47. ინგლისის ფეხბურთელთა კლუბი; 48. ქ. ლონდონის ფეხბურთელთა კლუბი.

შვეულად: 1. ირლანდიის „უეტერფორდის" ფეხბურთელი; 2. იატაკზე დასაფენი ჭილოფი, სადაც იმართება ჭიდაობა ძიუდო; 3. ამერიკის სახელმწიფო; 5. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 6. თამაში ჭადრაკის დაფაზე თეთრი და შავი კოჭებით; 7. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი; 8. საფრანგეთის ფეხბურთელთა კლუბი; 9. ლათინური ანბანის მეათე ასოს სახელი; 11. პორტუგალიის ფეხბურთელთა კლუბი; 12. იტალიის ფეხბურთელთა კლუბი; 13. გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 14. დიდი კინო ან ტელეფილმის ნაწილი, რომელსაც ჩვეულებრივ დამოუკიდებლად უჩვენებენ; 16. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 18. ბურთის გადაცემა თავისი რომელიმე მოთამაშისათვის; 19. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 20. მოჭიდავის გაფრთხილება ჭიდაობა ძიუდოში; 23. ჭადრაკის სწრაფი თამაში; 26. ჭადრაკის მსოფლიო ფედერაცია; 28. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისში; 29. კვადრატით შემოკავებული კვადრატული ფორმის მოედანი; 33. მთავარი მსაჯი; 34. ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრების ნახევარმცველი; 36. ქალაქი და ნავსადგური ავსტრალიის კავშირში; 38. ბალტიისპირეთის რესპუბლიკა; 39. საქართველოს რეგბისტთა გუნდი; 40. უველაზე მაღალი მთების წყება მანგიშლაყის ნახევარკუნძულზე; 41. აზიის სახელმწიფო; 43. ფულის ერთეული იტალიასა და თურქეთში; 45. განსაკუთრებული ჯიში ბილიარდის სათამაშოდ.

შეადგინა ალექსანდრე გორგიშელმა

მე-4 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. აღჯანაბადი; 9. ინდიკატორი.

შვეულად: 1. ავტორიტეტი; 5. ინდიკატივი.

დიაგონალურად: (ზევიდან ქვევით, მარცხნიდან მარჯვნივ) 1. ატრაქციონი; 2. ჯავახეთი; 3. ნოველა; 4. ბაკი; 6. ტარასოვი; 7. რეგატა; 8. ტომი.

გარეკანის პირველ გვერდზე: დემოკრატიული საქართველოს სიმბოლო. მონტაჟი თენგიზ სამსონაძისა.
მეოთხე გვერდზე: ჩანჩქერი. ფოტო არნოლდ გეგეჭკორისა.

გადაეცა წარმოებას 27.03.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.05.90. უე 07949. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,62. ტირაჟი 54500. შეკვეთა 754. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებათა გამგეების—93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული ბასალა ავტორს არ უბრუნდება.

ამჭვეტყნად ყველაზე საჭირონი ის ადამიანები არიან, ვისაც ბედმა, ცხოვრებამ ოუ საკუთარმა გულმა არგუნა ამგვარი პატარების გვერდით ყოფნა და მათზე ზრუნვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტო ბონდო დვალიშვილისა

თელავის სკოლა-ინტერნატის დირექტორი ოგმარ ფეიქრიშვილი პატარა ზაქირთან და ოგმართან ერთად.